საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
13 - 19 ოქტომბერი, 2021
№36 (601)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## 18-19 პუტინის გზა




## პოლიტიკურ საწამლავად ქცეული სააკაშვილი 2



## «სააკაშვილი უკვე ზედმეტი ბარგია, რომლის მოცილებასაც ყველა ერთნაირად ცდილობს»



ალექსანდრე ჭაჭია:

## საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ არ გადასცემს სააკაშვილს უკრაინას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს საკითხი არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში 3



## ბატონებო, რატომ არ აყენებთ სააკაშვილს ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც სხვა პატიმრები არიან? დაინდო მიშამ ვინმე, როცა დააკავა? 8





## მოქალაქეების აზრით, საქართველომ ალექსანდრე ჭაჭიას ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამოცდილება და გავლენები უნდა გამოიყენოს 4-5

## პური (ე.ი. ცხოვრება) გაძვირდა და ახალ წლამდე კიდევ გაძვირდება 11



## ნგრევა შენებით




6-7



## ბრიტანეთი ენერგეტიკული კოლაფსის ზღვარზე: იქ უკვე შეიმუშავეს რჩევები მკაცრი ეკონომიისთვის. ასეთი რამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა 20



## 21 საფრანგეთი მსოფლიო პოლიტიკის მეორე ლიგაში

აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რადგან სააკაშვილი ციხეშია და ვერ მართავს პოლიტიკურ პროცესებს, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ არეულობას და უმართავი პროცესების მცდელობების საფრთხეს ავცდით. გარეთ მყოფი მისი გარემოცვაც ისევეა ამ ყველაფერზე ორიენტირებული, როგორც სააკაშვილი, ამიტომ, სანამ არსებობს „ნაცმოძრაობა“ იმ ფორმით, როგორითაც ის დღესაა წარმოდგენილი, არეულობის საფრთხე რეალურია“.**

**მიხეილ სააკაშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვას მისი პოლიტიკური გუნდი ამაოდ ცდილობს. ექსპრეზიდენტი ციხეში მეცამეტე დღეს ატარებს, მაგრამ ხალხი მის მხარდასაჭერად კვლავ არ გამოდის ქუჩაში. თაკო ჩარკვიანის ამალის ამარა დარჩენილ ყოფილ უმაღლეს მთავარსარდალს თანაგუნდელებიც აღარ სწყალობენ. ნიკა მელია, რომელიც არჩევნების მეორე ტურისთვის ემზადება, ყოფილ პრეზიდენტს უკვე თითქმის აღარ ახსენებს.**

# პოლიტიკურ საწამლავად ქცეული სააკაშვილი



### გიორგი ახვლედიანი:

## სააკაშვილი უკვე ზედმეტი ბარგია, რომლის მოცილებასაც ყველა ერთნაირად ცდილობს

**«სააკაშვილის პატიმრობის საკითხი ნელ-ნელა გაქრა მისი პარტნიორების დღის წესრიგიდანაც. ოკეანის გაღმაც და გამოღმაც სააკაშვილის თავისუფლებაზე მეტად ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულების აუცილებლობაზე. მეტიც, ზოგიერთი დასავლელი მაღალჩინოსანი ექსპრეზიდენტს უკვე პირდაპირ აკრიტიკებს, ზოგიც ამბობს, რომ მან შეცდომა დაუშვა და ამით საკუთარი თავი, როგორც პოლიტიკოსმა, პრაქტიკულად, დაასრულა»**

სააკაშვილის პატიმრობის საკითხი ნელ-ნელა გაქრა მისი პარტნიორების დღის წესრიგიდანაც. ოკეანის გაღმაც და გამოღმაც სააკაშვილის თავისუფლებაზე მეტად ყურადღებას პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულების აუცილებლობაზე ამახვილებენ. მეტიც, ზოგიერთი დასავლელი მაღალჩინოსანი ექსპრეზიდენტს უკვე პირდაპირ აკრიტიკებს, ზოგიც ამბობს, რომ მან შეცდომა დაუშვა და ამით საკუთარი თავი, როგორც პოლიტიკოსმა, პრაქტიკულად, დაასრულა.

ევროპარლამენტარმა **მარინა კალიურანდმა** ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლით კანონმდებლობა დაარღვია. მისი თქმით, ექსპრეზიდენტმა ყველაფერთან ერთად პოლიტიკური ძალაუფლებაც დაკარგა, რაც ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა მის მოწოდებაზე ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა. ციტატა: „მინდა, მკაფიოდ აღვნიშნო: როდესაც სააკაშვილი დაბრუნდა საქართველოში, მან დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, რაც ნიშნავს, რომ პასუხისმგებელია ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლაზე...“ „...სააკაშვილმა მოუწოდა ასიათასობით ადამიანს რუსთაველის გამზირზე გამოსვლისა და ნების გამოხატვისკენ, ხალხმა ეს არ გააკეთა. ჩემთვის ეს იყო სიგნალი, რომ სააკაშვილმა დაკარგა ის პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მას ქვეყანაში მანამდე ჰქონდა...“

**კიდევ უფრო მწვავე და კრიტიკული იყო საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი, იან კელი, რომელმაც „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის კინკლაობა ქვეყნისთვის ერთნაირად დამაზიანებელ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკად შეაფასა. მან სააკაშვილს პოლიტიკური საწამლავი უწოდა და აღნიშნა, რომ იგი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირად ძალაუფლებას აყენებს... პოლიტიკურ საწამლავად ქცეული სააკაშვილი, როგორც ჩანს, უკვე მისი დასავლელი პარტნიორებისა თუ გარანტორებისთვისაც ზედმეტი ტვირთია.** მხარდაჭერა, რომელსაც ის ელოდა, ვერ მიიღო, მათ შორის ვერც საკუთარი გუნდისგან და ვერც ელექტორატისგან. ციხის ოთხ კედელთან პირისპირ დარჩენილ რეჟიმის ყოფილ ბელადს ახლა, ალბათ, საკმარისზე მეტი დრო აქვს ამ ყველაფრის გასააზრებლად, თუმცა რა იქნება და როგორ მომავალში, დრო გვიჩვენებს.

**რატომ ვერ მიიღო სააკაშვილმა დასავლეთისგან საკმარისი მხარდაჭერა და რა მიზანს ემსახურებოდა მისი საქართველოში ჩამოსვლა თუ ჩამოყვანა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ჟურნალისტი და მედიაპოლიტიკის ექსპერტი გიორგი ახვლედიანი.**

**— ბატონო გიორგი, ორი კვირის წინათ, როცა სააკაშვილი ყველასთვის მოულოდნელად ბათუმში გაჩნდა და თითქმის ერთდღიანი ძებნის შემდეგ სამართალდამცველებმა დააკავეს, იყო მოლოდინი, რომ დასავლეთი სერიოზულ წნეხში მოაქცევდა ხელისუფლებას. ცხადია, ამ მოლოდინს აჩენდა ის, რომ, როცა, ვთქვათ, ნიკანორ მელია დააკავეს ან იგივე გიგი უგულავა, პირდაპირ სანქციებით იმუქრებოდნენ შეერთებული შტატებიდან... ამ შემთხვევაში მსგავსი რამ არ ჩანს, პირიქით — მოვისმინეთ განცხადებები, რომ სააკაშვილი კანონის დარღვევით შემოვიდა ქვეყანაში, რომ მან პოლიტიკურად თავი დაასრულა და ა.შ. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— მოდი, ჯერ შევადაროთ ერთმანეთს, რა განსხვავებაა დასავლური პოლიტიკური წრეებისთვის სააკაშვილსა და თუნდაც მელიას შორის. **მათთვის მელიაც, უგულავაც და სხვებიც, ვინც მოქმედ პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენენ ოპოზიციურ სპექტრში, არიან აქტიური მოკავშირეები და მათი დაცვა ერთგვარი ვალდებულებაა,** რაც შესრულდა კიდეც, ეს ერთი; და მეორე — **ამ ადამიანების პოლიტიკური მფარველობა, ცხადია, არის საშუალება, მოხდეს გარკვეული თემებით სპეკულირება და ატეხონ ერთი ამბავი, თითქოს ქვეყანაში დემოკრატია დაინგრა.** რაც შეეხება სააკაშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ, უკვე დიდი ხანია, პარტიის მოქმედი თავმჯდომარე აღარ არის და, პრაქტიკულად, მიმდინარე პროცესების მიღმაა, უკვე ისეთი ფასეული აღარ არის. გარდა ამისა, ის თავისი ირაციონალური ქმედებებით, არაადეკვატური პოლიტიკური სვლებითა და ნაბიჯებით პრობლემად იქცა. **შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი მათთვის დამღლელია და ეს ხდება იმ დროს, როცა არანაირი პოლიტიკური სარგებელი მისგან აღარ მოდის...**

**— გამოდის, დასავლეთისთვის სააკაშვილმა პოლიტიკური ფუნქცია დაკარგა?**

— არა მხოლოდ ფუნქცია დაკარგა, დასავლეთში დაინახეს, რომ ამ ადამიანის ნდობა არ შეიძლება. მასთან რაზეც არ უნდა შეთანხმდე და ილაპარაკო, მეორე დღეს მაინც ყველაფერს უკუღმა გააკეთებს. სხვათა შორის, ამის ნათელი მაგალითი იყო მისი არა მხოლოდ ოპოზიციაში, არამედ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდიც. **რას არ ეუბნებოდნენ მას, რომ მოეთოკათ და დაეშოშმინებინათ, რამდენი უჩიჩინეს, რომ არ გადაედგა ნაბიჯები სამხედრო ესკალაციისკენ ცხინვალის მიმართულებით, არ დაერბია მიტინგი, არ შევარდნილიყო ტელევიზიაში და ა.შ., მაგრამ რა...** რაც შეეხება საქართველოში ჩამოსვლას, დაახლოებით ორი კვირით ადრე სააკაშვილს შეხვდნენ ევროპარლამენტარები და არწმუნებდნენ, რომ ამ ვითარებაში ის საქართველოში არ უნდა ჩასულიყო...

**— თუმცა არის კულუარული ინფორმაცია, რომ გარკვეული წრეები მას ჩასვლას ურჩევდნენ... გამორიცხავთ მსგავს წაქეზებას?**

— გამორიცხვით, ცხადია, ვერ გამორიცხავ. შეიძლება იყვნენ მის გარემოცვაში ადამიანები, რომლებმაც მას რაღაც ილუზიები შეუქმნეს, მაგრამ ფაქტია: **დღეს დასავლეთი დაინტერესებულია, რომ საქართველოში მშვიდობიანად ჩატარდეს არჩევნები. ამ პოზიციას ღიად გამოხატავს ყველა დასავლელი მაღალჩინოსანი, იქნება ეს ევროპარლამენტარი თუ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენელი. აი, ეს იყო სააკაშვილისთვის, როგორც ჩანს, ყველაზე მიუღებელი და გამაღიზიანებელი, იმიტომ, რომ სააკაშვილის გეგმაა ვითარების არევა, დესტაბილიზაცია და მერე ამ მღვრიე წყალში ძალაუფლების ხელში ჩაგდება.** მოლოდინს რაც შეეხება, ალბათ, მას ჰქონდა იმედი, რომ მისი დაკავების შემთხვევაში ატყდებოდა ერთი ამბავი და ხელისუფლებას უპრეცენდენტო მასშტაბის წნეხში მოაქცევდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. სხვათა შორის, **ზუსტად ასე დაიჯერა მან 2008-შიც, რომ ცხინვალს შტურმით აიღებდა და მერე დასავლეთის მძლავრი ზემოქმედებით რუსეთს საპასუხო მოქმედებების საშუალება არ მიეცემოდა, მაგრამ მივიღეთ სამ დღეში წაგებული ომი და დაკარგული ტერიტორიები.**

**— სააკაშვილის დაკავებას მრავალათასიანი გამოსვლები რომ მოჰყოლოდა, დასავლეთი ასეთ შემთხვევაში დაუჭერდა მას მხარს? რატომ გეკითხებით: ევროპარლამენტარმა მარია კალიურანდმა განაცხადა, სააკაშვილის მოწოდებაზე ხალხის არ გამოსვლა ჩემთვის სიგნალია, რომ მან პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგაო...**

— რთული სათქმელია. რაღაც მხარდაჭერას გარკვეული ძალებისგან, ალბათ, მიიღებდა, რადგან მრავალათასიანი მიტინგების შემთხვევაში პოლიტიკური პროცესები შეიცვლებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი შეძლებდა ხალხის ქუჩაში გამოყვანას, რომ არა მისი უმტკივნეულოდ და უხმაუროდ დაკავება, რაც ნამდვილად არის დასაფასებელი. ისე, **რადგან სააკაშვილი ციხეშია და ვერ მართავს პოლიტიკურ პროცესებს, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ არეულობას და უმართავი პროცესების მცდელობების საფრთხეს ავცდით. გარეთ მყოფი მისი გარემოცვაც ისევეა ამ ყველაფერზე ორიენტირებული, როგორც სააკაშვილი, ამიტომ, სანამ არსებობს „ნაცმოძრაობა“ იმ ფორმით, როგორითაც ის დღესაა წარმოდგენილი, არეულობის საფრთხე რეალურია.** უბრალოდ, აქ ერთი მომენტია მათთვის ხელისშემშლელი და კიდევ ერთხელ მინდა, ამას ხაზი გავუსვა — **დასავლეთი დღეს მათთვის რევოლუციურ სცენარში მოკავშირე არ არის. დასავლეთი მხოლოდ ისეთი რევოლუციების მხარდამჭერია ხოლმე, რომლის განხორციელებასაც თვითონ უზრუნველყოფს. ეს ჩვენ არაერთხელ გვინახავს და, თუ მსგავსი რამ დასავლეთის კურატორობის გარეშე ხდება, მაშინ პროცესებს ალმაცერად უყურებენ...**

**— რა პოლიტიკური მომავალი აქვს სააკაშვილს, „ნაციონალურ მოძრაობას“ და საერთოდ, როგორ წარმოგიდგენიათ იმ პროცესების გაგრძელება, რომლებიც ბოლო პერიოდში განვითარდა საქართველოში?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალი ცხადი და გასაგები იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად გამოაჩინეს ბრჭყალები — დაიწყეს ადამიანების ხოცვა, გაუპატიურება, ტერორი და გაუგონარი ძალადობა. სხვათა შორის, მაშინაც ეგონათ, რომ, თუ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით დასავლეთის ერთგული მოკავშირეები იქნებოდნენ და საერთაშორისო მისიებში ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის სამხედრო კონტინგენტით ყველაზე დიდი კონტრიბუტორების ნიშას დაიკავებდნენ, ევროპა და ამერიკა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე თვალს დახუჭავდა, მაგრამ ძალიან შეცდნენ. **რაში შეცდნენ, იცით? იმაში, რომ საზოგადოებრივი განწყობების მნიშვნელობა არ გაითვალისწინეს.**

რაც შეეხება პირადად სააკაშვილს, დარწმუნებული ვარ, **სააკაშვილი ძალიან მალე დაინახავს ქმედებების უაზრობას „ნაცმოძრაობის“ ძველი გვარდიისა, რომელიც ახლა დარბის იმისთვის, რომ ბელადს ერთგულება დაუმტკიცოს. ამის შემდეგ პროცესები დაწყნარდება და დაძაბულობა ჩაცხრება. არავის არ სურს ქვეყანაში არეულობა და გადატრიალება, ერთი მუჭა ადამიანების გარდა. ეს არ სურს არც „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორატს, ცხადია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძალიან მცირე ნაწილს, რომელიც, სამწუხაროდ, ზომბირებულია ნაცებისა და მათი ანასხლეტების მიერ მართული ფეიკმედიების მიერ...**

**— სააკაშვილს სრულად მოუწევს სასჯელის მოხდა?**

— ვიმედოვნებ, რომ სააკაშვილს 6 წლის განმავლობაში კი არ მოუწევს ციხეში ჯდომა, არამედ გაცილებით დიდხანს. 6 წელი ძალიან ცოტაა იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მან 9 წლის განმავლობაში ჩაიდინა. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები, თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **ის საერთაშორისო მფარველობა, რომელიც მას ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნისა და ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, აღარ ექნება. სააკაშვილი უკვე ზედმეტი ბარგია, რომლის მოცილებასაც ყველა ერთნაირად ცდილობს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ყველაფერი გაკეთდა ისე, რომ სააკაშვილი არავის ეცნო, ეს გაკეთდა ფილიგრანული სიზუსტით, სუფთად — საზღვარზე გადაიყვანეს ისე, რომ არავინ არაფერი არ იცის, გაატარეს სხვადასხვა ქალაქში, ჩაიყვანეს თბილისში. ვინ გააკეთებდა ამას სპეცსამსახურების გარდა?! — არავინ. საქართველოს სპეცსამსახურები კი შევარდნაძის დროიდან ამერიკელთა მჭიდრო კურატორობით მუშაობენ. იქ ბუზიც ვერ შეფრინდება ამერიკელების გარეშე“.**

ანალიზი და პროგნოზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალექსანდრე ჭაჭია: საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ არ გადასცემს სააკაშვილს უკრაინას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს საკითხი არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში

**მუნიციპალური ორგანოების 2 ოქტომბრის არჩევნების წინა დღეს ყოფილი პრეზიდენტის, ქართული მართლმსაჯულების მიერ გასამართლებელი და რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული, უკრაინაში გაქცეული მიხეილ სააკაშვილის საქართველოში მალულად ტრაილერით უკანონოდ შემოსვლამ და ქართველი სამართალდამცველების მიერ თბილისში მისმა უხმაუროდ დაკავებამ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში გამოიწვია აჟიოტაჟი. რატომ, ვისი იმედითა და დახმარებით გარისკა მან საქართველოში ჩამოსვლა, როცა იცოდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები? რა მიზანს ისახავდა ის საქართველოში ჩასვლით, ხოლო უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის რისთვის დასჭირდა სააკაშვილის გამოსარჩლება და კრიმინალი ყოფილი პრეზიდენტის უკრაინისთვის გადაცემის მოთხოვნა? პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ ამ კითხვებს ტელეარხ „ტე-ვე-ცე“-ს საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „პოსტკრიპტუმის“ ეთერში ალექსეი პუშკოვთან საუბრისას უპასუხა.**

**— იმის გათვალისწინებით, რა ემუქრება მიხეილ სააკაშვილს საქართველოში, რისთვის დაბრუნდა ქვეყანაში?**

— მიხეილ სააკაშვილისთვის ეს ბოლო შანსია, როგორმე დარჩეს ქართულ პოლიტიკაში, შეიყვანოს და დატოვოს თავისი ხალხი ქართულ პოლიტიკაში. ამისთვის კი აუცილებელი იყო რაღაც არაორდინარული გადაწყვეტილების მიღება, ვითარების ამღვრევა, რათა ადამიანები რაღაცით გაეოგნებინა. სწორედ ასეთ აქტად იქცა სააკაშვილის დაბრუნება. მისი პარტია უკვე კარგავდა პოპულარობას, ნელ-ნელა წამოიზარდნენ ახალი პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. თვითონ სააკაშვილი და მისი კურატორები ხვდებოდნენ, რომ, თუ დააყოვნებდნენ და სწრაფად არ იმოქმედებდნენ, „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეებად განსხვავებული ორიენტაციის პარტიები იქცეოდნენ და ამ პარტიებს წარმატების იმედი ექნებოდათ. **ამიტომ რაღაც ისეთი უნდა გაკეთებულიყო, რაც პოლიტიკურ ველზე დატოვებდა ორ პოლიტიკურ ძალას — ივანიშვილის „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს იყო გამართლებული, სტრატეგიულად და ტაქტიკურად კარგად გათვლილი ნაბიჯი...**

**— ამბობთ, რომ ეს იყო სტრატეგიულად გათვლილი და გამართლებული ნაბიჯი, ამასთანავე, ვიცით, რომ სააკაშვილი მიდრეკილია ავანტიურებისკენ — გვახსოვს უკრაინის საზღვრის შტურმი და ა.შ. გინდათ თქვათ, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილს ეს ყველაფერი მხოლოდ თვითონ არ გაუკეთებია, ანუ ეს, ავანტიურისტის სასოწარკვეთილი ჟესტი კი არა, კარგად მოფიქრებული აქტი იყო და მას ვიღაც დაეხმარა? ვინ?**

— დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს დაეხმარნენ. ძალიან მცირეა ალბათობა იმისა, რომ მან ეს ყველაფერი თვითონ გააკეთა, გაბედა ამ ნაბიჯის გადადგმა თავის მუდმივ კურატორებთან კონსულტაციების გარეშე.

**— ამერიკელები გყავთ მხედველობაში?**

— დიახ, **ამერიკელები, რომლებიც, უკვე მრავალი წელიწადია, სააკაშვილს მართავენ და, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ მის შემოქმედებას. ამერიკელები სააკაშვილს არც უკრაინაში ტოვებდნენ უყურადღებოდ, როცა იქ იყო, და არც საქართველოში. ისინი იმ გარემოებასაც ითვალისწინებენ, რომ უკრაინაში სააკაშვილის კარიერა დასასრულს უახლოვდება, იმიტომ, რომ ყველგან, სადაც იმუშავა, ჩაფლავდა, ვერაფერი ვერ გააკეთა,** თუმცა, არც არავინ ელოდა, რომ რამეს გააკეთებდა ამ თანამდებობებზე. ახლა ამ რეფორმებმაც კრახი განიცადა, სამომავლოდ კიდევ რა უნდა გააკეთოს უკრაინაში? სადღაც ხომ უნდა გამოიყენონ მისი პოტენციალი, და სად უნდა გამოიყენონ?..

**— ვარაუდობთ, რომ ამერიკის სპეცსამსახურები დაეხმარნენ მას საზღვრის გადაკვეთაში?**

— მიხეილ სააკაშვილს დაეხმარნენ საზღვრის გადაკვეთაში. ნუთუ ვერც საბაჟოს თანამშრომლებმა, ვერც მესაზღვრეებმა — ვერავინ ვერ შეამჩნია მიხეილ სააკაშვილი? მას ხომ იქ ძაღლიც კი ცნობს. მეორე — არც ერთ ადამიანს არსად არ განუცხადებია, რომ სააკაშვილი ნახა. **ამას გარდა, ის 3 დღის განმავლობაში დახეტიალობდა თუ ბათუმში, თუ ქუთაისში, თუ თბილისში, დადიოდა ქუჩებში ღამით. მაგრამ ქუჩაში ღამითაც ხომ არიან ადამიანები, პატრული და ვიღაც აუცილებლად დაინახავდა. შეუძლებელია, ვერავის ვერ ეცნო, მაგრამ სამართალდამცველებისთვის არავის უცნობებია.** აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი გაკეთდა ისე, რომ სააკაშვილი ვერავის ვერ ეცნო, ეს გაკეთდა ფილიგრანული სიზუსტით, სუფთად — საზღვარზე გადაიყვანეს ისე, რომ არავინ არაფერი იცის, გაატარეს სხვადასხვა ქალაქში, ჩაიყვანეს თბილისში. ვინ გააკეთებდა ამას სპეცსამსახურების გარდა?! — არავინ. საქართველოს სპეცსამსახურები კი შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან ამერიკელთა მჭიდრო კურატორობით მუშაობენ. იქ ბუზიც ვერ შეფრინდება ამერიკელების გარეშე.

**— სარწმუნო ვერსიაა. სააკაშვილსა და მის კურატორებს მართლა ჰქონდათ იმედი, რომ ყოფილ პრეზიდენტს ხალხი გაათავისუფლებდა ციხიდან და აღტაცებული შეძახილებით დასვამდა საქართველოს ახალ მმართველად თუ ეს ყველაფერი ამაზე არ იყო გათვლილი?**




**«საქართველოში სააკაშვილს არ ჰყავს ასიათასობით მხარდამჭერი, რომლებიც ქუჩაში გამოვლენ. იმდენი ხალხი არ გამოვა, რამდენიც გამოვიდა 2003 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ყველას ყელში ამოუვიდა, ისინი უუნარო და არაკომპეტენტურები არიან. ეს აშკარაა»**

— ის არც მალავს, რომ გათვლა ასეთი ჰქონდა და კვლავაც აქვს. მან ადამიანებს მოუწოდა, არ დაეთანხმონ არჩევნების შედეგებს, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ გრანდიოზულ გამარჯვებას ვერ მიაღწევს, და გამოვიდნენ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე, ჩამოვიდნენ რეგიონებიდან, როგორც ეს იყო 2003 წელს, ე.წ. ვარდების რევოლუციისას. **ეს ანალოგიური სცენარია იმისთვის, რომ დაამხონ მოქმედი ხელისუფლება, რათა შემდეგ გამოაცხადონ რიგგარეშე არჩევნები და მოიპოვონ დამაჯერებელი გამარჯვება. სააკაშვილი არც მალავს, რომ ამისთვის ჩამოვიდა.**

**— ეს არის გათვლა, მაგრამ სწორი გათვლაა?**

— არასწორი გათვლაა. რატომ? იმიტომ, რომ **საქართველოში სააკაშვილს არ ჰყავს ასიათასობით მხარდამჭერი, რომლებიც ქუჩაში გამოვლენ. იმდენი ხალხი არ გამოვა, რამდენიც გამოვიდა 2003 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ყველას ყელში ამოუვიდა, ისინი უუნარო და არაკომპეტენტურები არიან — ეს აშკარაა. უარესდება ადამიანების ცხოვრების პირობები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმისადმი სიძულვილი ჯერ კიდევ ძალიან დიდია.** ის ფიქრობს, რომ ხალხი ისე მოიქცევა, როგორც მოიქცა 2003-ში, როდესაც შევარდნაძის რეჟიმისადმი სიძულვილმა პიკს მიაღწია. დიახ, ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობა დიდია, მაგრამ ხალხს ახსოვს სააკაშვილის რეჟიმი, მიუხედავად იმისა, რომ 9 წელი გავიდა.

**— გასაგებია. სახელმწიფო გადატრიალება არ იქნება, მაგრამ რა შედეგებს გამოიღებს მისი დაბრუნება?**

— ვფიქრობ, ახლა ისინი ხმების მნიშვნელოვან რაოდენობას მოიპოვებენ, იმიტომ, რომ სააკაშვილმა, ასე ვთქვათ, გაააცოცხლა პეიზაჟი — თავისი მომხრეების კონსოლიდაციას შეუწყო ხელი, მოტივაცია მისცა. ისინი უფრო შეუპოვარნი იქნებიან საარჩევნო უბნებზე.

## P.S.

**„როსია 24“-ის ეთერში გადაცემა „მე-5 სტუდიის“ წამყვანის, ჟურნალისტ დიმიტრი შუგორევის კითხვაზე, თუ რისთვის დასჭირდა უკრაინულ მხარეს, უკრაინის პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნა, იმიტომ ხომ არა, რომ ეს რაღაც დიპლომატიური ეტიკეტია, ალექსანდრე ჭაჭიამ უპასუხა:**

**— ვფიქრობ საქმე არა მხოლოდ ეტიკეტშია. საქართველოსა და უკრაინას საერთო კურატორი ჰყავს და ამ კურატორმა როგორმე უნდა მოაგვაროს სააკაშვილის საკითხი, იმიტომ, რომ მისი ყოფნა საქართველოს ციხეში, პირველ რიგში, ძირს უთხრის ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯს; იმიტომ, რომ ამერიკის მეგობრები, აგენტები, მსოფლიოში მიმოფანტული თანამგრძნობები შეიძლება დაეჭვდნენ — ძლიერია კი აშშ, როცა ასეთი ერთგული ამხანაგი მიატოვა და ვერ შეძლო მისი დახსნა?! ციხიდან სააკაშვილის გამოხსნა, უკრაინისა და საქართველოსთვის კი არა, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არის მნიშვნელოვანი საკითხი... სააკაშვილი ცნობილი ფიგურაა, რომელსაც ამერიკელები მხარს უჭერდნენ მრავალი წლის განმავლობაში, მის მიერ მართულ საქართველოს აცხადებდნენ დემოკრატიის შუქურად, თვითონ მას — დემოკრატიის ჩირაღდნად, ყველანაირად მხარს უჭერდნენ და ამიტომ ახლა, უბრალოდ, ხელები დაიბანონ და განაცხადონ, ეს ჩვენი საქმე არ არისო, შეუძლებელია. რაც შეეხება უკრაინას, მინდა, უკრაინის პრეზიდენტსა და უკრაინის ხელმძღვანელობას ვკითხო: როგორ გავიგოთ ის, რომ მათი მაღალჩინოსანი, უკრაინის მოქალაქე არალეგალურად იპარება სხვა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც არ არის, იქ ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას, რომ ხალხმა მხარი დაუჭიროს გარკვეულ პოლიტიკურ ძალას და, თუ არჩევნების შედეგები მისთვის მისაღები არ იქნება, აქუჩაში გამოვიდეს და დაამხოს მოქმედი ხელისუფლება? ამ ყველაფერს როგორ უყურებს პრეზიდენტი ზელენსკი? ხომ არ ფიქრობს, რომ ეს უხერხული ვითარებაა უკრაინის ხელისუფლებისთვის? ჩემი ვარაუდით, მიიღებენ გადაწყვეტილებას, სააკაშვილი როგორმე დაიხსნან, მაგრამ ამას რა სამართლებრივ საფუძვლებს მიუსადაგებენ, რთული სათქმელია. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადასცემს სააკაშვილს უკრაინას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს, უბრალოდ, ლაყბობად დარჩება, თუ “ზედა ინსტანციები” მიიღებენ გადაწყვეტილებას. იმიტომ, რომ ეს საკითხი არ შედის საქართველოს ხელმძღვანელობის კომპეტენციაში. უკრაინაში თავის დროზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები სააკაშვილის მიმართ (ვრცელდებოდა ასეთი ხმები) და შესაძლოა, ისინი თაროდან ჩამოიღონ, განაახლონ და მოითხოვონ მისი ექსტრადიცია იმის გამო, რომ უკრაინაში სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. ისე გააკეთებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას აიძულებენ, სააკაშვილი მათ გადასცეს. საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილი არ სჭირდება ქართულ ციხეში, რადგან ეს გამოიწვევს გამუდმებულ ხმაურს, მიტინგებს, მისი მომხრეების მობილიზაციას, რომლებიც იყვირებენ, იღრიალებენ და ა.შ.**

youtube.com-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით
მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

მოქალაქეების აზრით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გასაგებია, რატომ არ სურთ ე.წ. ქართული პოლიტიკური ბომონდის წარმომადგენლებს ალექსანდრე ჭაჭიას მსოფლმხედველობის გაზიარება — ისინი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მტრები არიან!“**

# მოქალაქეების აზრით, საქართველომ ალექსანდრე ჭაჭიას ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამოცდილება და გავლენები უნდა გამოიყენოს

**2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში რამდენიმე ადამიანმა დარეკა — მოქალაქეები მოითხოვდნენ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას ქართულ პოლიტიკაში გააქტიურებას. ადამიანები დაგვიკავშირდნენ სხვადასხვა რაიონიდან: აბაშიდან, მარტვილიდან, ზესტაფონიდან, საგარეჯოდან... საგარეჯოელმა შოთა მაისურაძემ გვითხრა: „არჩევნებზე ხალხი არ დადის, ხელისუფლება ქუჩაში გდია და მისი აღება არავის არ უნდა“...
რისი შიში აქვს ქართველ ამომრჩეველს — ნაცების დაბრუნების; რატომ და რისთვის ჩათვალეს ადამიანებმა, რომ ქვეყანას ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება და არის თუ არა ქართველი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი ალექსანდრე ჭაჭიას მისაღებად, რადგან მისი ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა აუცილებლად გამოიწვევს რადიკალურ ცვლილებებს — ამ და ალექსანდრე ჭაჭიასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრებიან ცნობილი პოლიტიკოსის თანამოაზრეები: სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ რეგიონული ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია; ეროვნული მთავრობის წევრი, მფრინავი ზაურ ბედია და პოეტი გიორგი სიჭინავა.**



ზურაბ კვარაცხელია

**„ნებისმიერი ჭკუათმყოფელისთვის ცხადია, რომ მეზობელ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაციაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება“**

**ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ რეგიონული ხელმძღვანელი:**

— „ქართული ოცნების“ ბოსები დღენიადაგ ტრაბახობენ რაღაც მიღწევებით, მაგრამ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის იმედი რომ ვერ გაამართლა, ნამდვილად არ არის საკამათო. საქართველო როგორი კვაზიქვეყანაც იყო **შევარდნაძისა** და **სააკაშვილის** მმართველობის წლებში, ისეთივე კვაზიქვეყნად რჩება „ქოცთა“ მმართველობის პერიოდშიც. **საქართველო დღესაც ტიპური კოლონიური ქვეყანაა და არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში თავს გაითავისუფლებს ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის კლანჭებისგან. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილით შეპყრობილი ე.წ. პოლიტიკური ელიტა მზადაა გარედან მიღებული მითითებების უსიტყვოდ შესასრულებლად.** ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები თანახმანი არიან, ქვეყანაში დააკანონონ ჩვენი ეროვნულ-ტრადიციული და მართლმადიდებლური მრწამსისთვის მიუღებელი ისეთი რამ, როგორიცაა, მაგალითად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება. ეჭვი არ მეპარება, რომ მარიონეტი პოლიტიკანები ამისთვის მზად არიან, მაგრამ ჯერჯერობით აბრკოლებთ ამ საკითხისადმი საპატრიარქოს დამოკიდებულება და ის, რომ ასეთი რამ ერის უმრავლესობისთვის მიუღებელია.

შემთხვევითი არ არის, რომ ნეოლიბერალური მეხუთე კოლონა ტოტალურად უტევს საპატრიარქოს და გაშმაგებული ლამობს მის დისკრედიტაციას. ხელისუფალთა მარიონეტული ბუნებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ ჩვენს მოსახლეობას უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში უხდება არსებობა, უმძიმესი და სავალალო მდგომარეობაა ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროშიც. ქვეყნის გამთლიანებას რაც შეეხება, ამაზე ხელისუფლებაც და ოპოზიციაც უნისონში სპეკულირებენ, რადგან ნებისმიერი ჭკუათმყოფელისთვის ცხადია, რომ მეზობელ რუსეთის ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაციაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება. დიახ, ილუზიაა, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრებაზე ბოდვებით აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნება. **გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის საკითხებში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა იციან, რომ საქართველოს მხრიდან საგარეო პოლიტიკური ვექტორის კარდინალურად შეცვლის გარეშე წინ უფრო სავალალო პერსპექტივა, ანუ, დიდი ალბათობით, სრული სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაცია გველოდება.**

რაც შეეხება საუბარს, რომ თითქოს ხალხი მზად არის „ნაცმოძრაობის“' ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, მართალია, ხალხი გაბრაზებულია ოცნების ხელისუფლებაზე, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ის თითქოს მზად არის ნაცცოცხისტების მმართველობაში კვლავ მოსაყვანად, არასწორად მიმაჩნია. **ამ არჩევნებმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სკეპტიკურადაა განწყობილი. ქართველი ამომრჩევლების უმრავლესობას არ სწამს, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოფუთფუთე ე. წ. პოლიტიკური პარტიები ხალხისა და ქვეყნის ინტერესებისთვის გასარჯელად არიან მოწოდებულნი.** მინდა, შევეხო სამეგრელოში ჩატარებულ არჩევნებს. ნაცხროვას სამეგრელოში არ ჰყავს იმდენი მომხრე, როგორც ამის წარმოჩენა სურს ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირსა და საინფორმაციო თუ სადეზინფორმაციო საშუალებას. **სამეგრელოს მოსახლეობის რაღაც ნაწილი იმ შლეგი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მხარდამჭერი რომ აღმოჩნდა, ეს აშკარაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამას გარკვეული სპეციფიკური მიზეზი აქვს. მოკლედ ვიტყვი, რომ ამის მიზეზი იმ ავადსახსენებელი 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებაში უნდა ვეძებოთ... უნდა ვეძებოთ, აგრეთვე, ჩემი კუთხის ხუთგზის თუ ექვსგზის დალაშქვრა-აწიოკებაში, მეგრელთა ერთი ნაწილის მიერ იმ „კრიშაზე“ ამძვრალის შევარდნაძე-ურჩხულის მძლეველ მზეჭაბუკად წარმოსახვაში, სამეგრელოს მოსახლეობის ინფორმაციულ ვაკუუმში მიზანმიმართულად მოქცევაში, ასევე, „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის იმედების მწარედ გაცრუებაში.**

ჩვენი სამშობლო, ფაქტობრივად, კოლონიაა და აქ პოლიტიკური პროცესები, ყბადაღებული კოაბიტაციის ჩათვლით, ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების მესვეურთა კარნახითა და ნება-სურვილით ვითარდება. სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა ეროვნულ სახელმწიფოებრივ პლატფორმაზე მდგომი მძლავრი და ავტორიტეტული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება.

ასე რომ, **„ნაცმოძრაობისადმი“ მეგრელთა მასობრივ და დიდ მხარდაჭერაზე მოარული ხმები ზღაპარია.** არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი სიცრუისა და ცილისწამების ტირაჟირება, შესაძლოა, გარკვეულ ძალებს აძლევდეს ხელს. **არ გამოვრიცხავ, რომ მეგრელთა ასოცირება ე.წ. მიშისტობასთან თავის დროზე შეთითხნილი „მეგრელთა საქმის“ ერთგვარი გაგრძელება თუ ვარიაცია იყოს, ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ გინდათ სიმართლე, ჩემი კუთხის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს არც ერთ ქართულ პოლიტიკურ ძალას.**

**— ბოლო არჩევნების შემდეგ, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში ხშირად რეკავენ მკითხველები — მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას ქართულ პოლიტიკაში აქტიურ ჩართვას მოითხოვს. თქვენ მას კარგად იცნობთ, რა შეგიძლიათ თქვათ?**

— ბევრჯერ გამოვთქვი სურვილი ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** ქართულ პოლიტიკაში უფრო აქტიურად ჩართვის თაობაზე. ღია წერილითაც მივმართე მას. **გულისტკივილს იწვევს ის, რომ ბატონ ალექსანდრეს არ მიეცა შესაძლებლობა, თავისი პოტენციალი სრულად გამოიყენოს საქართველოს საკეთილდღეოდ. უფრო ზუსტად კი, ქვეყანამ, ქართველმა ერმა სასიკეთოდ არ გამოიყენა მისი დიდი პოტენციალი, დიდი ინტელექტი, ღრმა განსწავლულობა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისთვის, ტერიტორიული გამთლიანებისათვის ესოდენ აუცილებელი მისეული ხედვა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოუყენებელი რჩება და მიმაჩნია, რომ ეს ქვეყნისა და ერის წინაშე დანაშაულია.**

უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი სამშობლოს მომავალი გამთლიანების და წინსვლა-განვითარების გასაღები არც ბრიუსელშია და არც ვაშინგტონში. ბევრჯერ მითქვამს და კვლავაც ვიტყვი: **მოსკოვთან ურთიერთკომპრომისების, ურთიერთინტერესების დაბალანსების, ურთიერთშეთანხმების გარეშე საქართველო გამთლიანდება კი არა, პირიქით, უდიდესი ალბათობით, მისი დეზინტეგრაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს.**

მრავალი წელია, რაც ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ამის შესახებ ქადაგებს, მაგრამ მისი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სამწუხაროდ, არც ერთი ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად მის მოსასმენად და მისი შეგონებების შესასმენად. პრინციპში, გასაგებია, რატომ არ სურთ ხელისუფალთ და ე.წ. ქართული პოლიტიკური ბომონდის წარმომადგენლებს ალექსანდრე ჭაჭიას მსოფლმხედველობის გაზიარება — ისინი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მტრები არიან!

**ქართველი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ნამდვილად არ სურს, ქვეყნისა და ერის ტრაგედიას მშვიდად და პასიურად უყურებდეს. პატრიოტ ადამიანებს უნდათ, გადარჩენისათვის როგორმე მოხერხდეს კონსოლიდაცია და ჯერ კიდევ შემორჩენილი ეროვნული ენერგიის მობილიზება-აკუმულაცია. სწორედ ამიტომ, შექმნილი კრიტიკული და საგანგაშო სიტუაციიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალური ხდება პოლიტიკურ სარბიელზე ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას მოღვაწეობის გააქტიურების საკითხი.** მართალია, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის, როგორც პოლიტიკოსი, გაენეიტრალებინათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ბოლომდე ვერ მოახერხეს. **აუცილებელია თვისობრივად ახალი, მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-სტრატეგიულ ინტერესებზე ორიენტირებული ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება, რომელიც არ დაემორჩილება იანკებისა და ევროპელების დიქტატს და ყველაფერზე მაღლა ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს დააყენებს.**

ჩემი აზრით, სწორედ ბა- ▶

**«გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის საკითხებში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა იციან, რომ საქართველოს მხრიდან საგარეო-პოლიტიკური ვექტორის კარდინალურად შეცვლის გარეშე წინ უფრო სავალალო პერსპექტივა, ანუ, დიდი ალბათობით, სრული სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაცია გველოდება»**

**„საქართველო დღესაც ტიპური კოლონიური ქვეყანაა და არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში თავს გაითავისუფლებს ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის კლანჭებისგან. მეტიც: აშკარაა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილით შეპყრობილი ე.წ. პოლიტიკური ელიტა მზადაა გარედან მიღებული მითითებების უსიტყვოდ შესასრულებლად“.**

მოქალაქეების აზრით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«სამეგრელოს მოსახლეობის რაღაც ნაწილი იმ შლეგი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მხარდამჭერი რომ აღმოჩნდა, ეს აშკარაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამას გარკვეული სპეციფიკური მიზეზი აქვს. მოკლედ ვიტყვი, რომ ამის მიზეზი იმ ავადსახსენებელი 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებაში უნდა ვეძებოთ... უნდა ვეძებოთ, აგრეთვე, ჩემი კუთხის ხუთგზის თუ ექვსგზის დალაშქვრა-აწიოკებაში, მეგრელთა ერთი ნაწილის მიერ იმ «კრიშაზე» ამძვრალის შევარდნაძე-ურჩხულის მძლეველ მზეჭაბუკად წარმოსახვაში, სამეგრელოს მოსახლეობის ინფორმაციულ ვაკუუმში მიზანმიმართულად მოქცევაში, ასევე, «ქართული ოცნების» მიმართ ხალხის იმედების მწარედ გაცრუებაში»**

ბატონმა ალექსანდრემ უნდა იტვირთოს ეს დიდი და მამულიშვილური მისია, ეს მას ხელეწიფება. ასე რომ, ქართველი საზოგადოების საღი და მნიშვნელოვანი ნაწილი მისგან უფრო მეტ ძალისხმევას მოელის. შეიძლება პათეტიკურად ისმის ჩემი ეს სიტყვები, მაგრამ მწამს, წინაპართა სულებიც სწორედ ამას მოითხოვენ მისგან და თითოეული მამულიშვილისგანაც.

**ბრძოლა მამულის გადასარჩენად, მიუხედავად ყველაფრისა, გრძელდება და ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ფაქტორი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.**

ასე რომ, უკვე დროა, ბატონი ალექსანდრე პოლიტიკურ ასპარეზზე მთელი თავისი მონუმენტურობით წარმოჩნდეს. დროა, სამამულო პოლიტიკაში ისეთი რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების თანხვედრილი იქნება. აი, ქართველი საზოგადოებრიობა რამდენად იქნება ამისთვის მზად, მომავალი გვიჩვენებს...

## „ალექსანდრე ჭაჭია ჩვენთვის, ხალხისთვის, იმედი და შვებაა, მაგრამ ქართველი პოლიტიკანებისთვის — ბომბი“

**ზაურ ბედია, ეროვნული მთავრობის წევრი, მფრინავი:**

— ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას 1994 წლიდან ვიცნობ. ვიცი მისი წარსულიც და აწმყოც... ადამიანი თავისი წარსულით უნდა ამოიცნო და მე ალექსანდრე ჭაჭია გავიცანი, როგორც უწესიერესი ადამიანი.

ბატონ ალექსანდრეს, ჩვენ კი არა, გაცილებით დიდ ქვეყანაში დიდი პოლიტიკოსები უსმენენ და აზრს ეკითხებიან. **ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, რუსეთ-საქართველოს შორის გადოს ისეთი მყარი და მეგობრული ხიდი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი დანაწევრებული მიწა-წყლისთვის.**

სამწუხაროდ, **ბედკრულ საქართველოს პატრონი არ ჰყავს და ამიტომაც არ უსმენენ ალექსანდრე ჭაჭიას, კაცს, რომელსაც ზუსტად იმის მიცემა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბატონი ალექსანდრე არის პატრიოტი, თავის მიწა-წყალზე უზომოდ შეყვარებული კაცი და, რაც მთავარია, ჭკვიანი, ნიჭიერი, გონიერი პოლიტიკოსი, რომლის აზრის გაუთვალისწინებლობა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.** ვიცი, როგორ განიცდის ბატონი ალექსანდრე საქართველოს დღევანდელ ყოფას, ის წვრილმანებამდე ფლობს ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციას, თვალყურს ადევნებს ყველაფერს...



ზაურ ბედია

რუსეთის დედაქალაქში არიან სხვა ქართველებიც, მართლა ღირსეული ქართველები, მაგრამ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას დონის არც ერთი არ არის. ის სულ სხვა გაქანების ადამიანია. მას რუსეთში დიდი ავტორიტეტი აქვს და ეს გავლენა საქართველოს, ჩვენს პატარა ქვეყანას, სასიცოცხლოდ სჭირდება. ალექსანდრე ჭაჭია პატრიოტი კაცია და დღეს თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ჭაჭიასნაირი პოლიტიკოსი გვჭირდება ქვეყნის სათავეში.

ქართველები ცეცხლს ვეთამაშებით, მაგრამ უტვინო, კუჭზე გადაგებული, ახვარი („ახვარი“ არაბული სიტყვაა და პირუტყვს ნიშნავს) პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან იმას, რომ ცეცხლს ეთამაშებიან.

ამ მთავრობის ძალიან დიდი უტვინობაა, ალექსანდრე ჭაჭია საქართველოში რომ არ არის...

რამხელა და რა სულელური შოუს მომსწრენი ვართ, განსაკუთრებით ამ ბოლო არჩევნებში. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ხალხი ვერ ხვდება, რასთან გვაქვს საქმე?! ერთი ხელისუფლება მეორეს აბარებს სადავეებს. ჩვენ კარგი მეხსიერება გვაქვს და გვახსოვს, როგორ ეხმარებოდა **ივანიშვილი** სააკაშვილს. ბინძური თამაშების მომსწრენი ვართ...

ალექსანდრე ჭაჭიას მტრები ჰყავს, მაგრამ ეს კარგიცაა. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, — თქვა დიდმა პოეტმა და მართალიცაა. არავის არ სჭირდება ამ ქვეყანაში ისეთი წესიერი კაცი, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა — არ სჭირდება დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრს, მაგრამ უსათუოდ სჭირდება ქართველ ხალხს.

**— მზად არის თუ არა ქართველი საზოგადოება ალექსანდრე ჭაჭიასნაირი პოლიტიკოსის მისაღებად? ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ხალხში დიდი პროტესტი არ არის და ამომრჩეველი „ოცნებასა“ და „ნაცმოს“ შორის მშვიდად აკეთებს არჩევანს.**

— არჩევნები არ დასრულებულა, ვფიქრობ, ბევრი სასწაულის მომსწრენი გავხდებით. საზოგადოება მართლაც არ არის მზად რადიკალური ცვლილებებისთვის, მაგრამ შიმშილი, რომელიც ამ საწყალ ქვეყანას უახლოეს მომავალში ელოდება, მოამწიფებს საზოგადოებას ცვლილებებისთვის.

ადამიანებს ამ ქვეყანაში ცხოვრების ეშინიათ, ხმის ამოღება არ უნდათ, სწორედ ეს იქნება მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე ჭაჭია არ და ვერ მიიღონ.

სიმართლე გითხართ, მეეჭვება, ალექსანდრე ჭაჭია აქ შემოუშვან. ბატონი **ალექსანდრე ჩვენთვის, ხალხისთვის, იმედი და შვებაა, მაგრამ ქართველი პოლიტიკანებისთვის — ბომბი. თუკი ის ჩამოვა, შესაძლოა, ზუსტად ისე განვითარდეს ყველაფერი, როგორც ეროვნული მოძრაობისას მოხდა — ამომრჩევლის ათმა პროცენტმა ოთხმოცდაათი პროცენტი დაამარცხოს.**

**«ასეთ საქართველოში ალექსანდრე ჭაჭიას დონის პოლიტიკოსის მოღვაწეობა საცოდაობაა, მაგრამ, თუკი ჭაჭიასნაირები განზე გადგებიან, მაშინ ვინ უნდა თქვას სიმართლე და ვინ უნდა შეაგნებინოს ამ ადამიანებს, რაში ცდებიან, სად არის სიმართლე და სად ტყუილი? ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება ჩვენს ქვეყანას და მისი ქართულ პილიტიკაში ყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია»**



გიორგი სიჭინავა

## „უნიჭიერესი და უდიდესი პატრიოტი კაცია ალექსანდრე ჭაჭია. სირცხვილია, ერს ჰყავდეს მისნაირი ადამიანი და ქვეყანაში ვიგინდარები ბოგინობდნენ“

**გიორგი სიჭინავა, პოეტი, მწერალი:**

— კარგად ვიცნობ ალექსანდრე ჭაჭიას. თითქმის ზეპირად ვიცი ყველა მისი ნაფიქრნააზრევი; მისი ყველა გონივრული პროგნოზი აუხდა, სამწუხაროდ, საქართველოს, მაგრამ მაინც ვერ მოეგნენ გონს ქართველი ე.წ. პოლიტიკოსები და ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოუხმონ მას და აუცილებლად ჩართონ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში.

**„შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ საქართველო „მეორე შვეიცარიად“ იქცეოდა, სააკაშვილი — „მეორე სინგაპურად“, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი“, — გვითხრა გაზეთის ფურცლებიდან ალექსანდრე ჭაჭიამ და გულწრფელად ვიტყვი, ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი სიმართლე ჯერ არ მომისმენია.**

უნიჭიერესი და უდიდესი პატრიოტია ალექსანდრე ჭაჭია. სირცხვილია, ერს ჰყავდეს მისნაირი ადამიანი და ქვეყანაში ვიგინდარები ბოგინობდნენ.

გაინტერესებთ, არის თუ არა საზოგადოება მზად ალექსანდრე ჭაჭიას დონის პოლიტიკოსის მისაღებად? — სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება და პოტენციური ამომრჩეველი მზად არაფრისთვის არ არის. 30 წლის განმავლობაში რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, რა ძვრებიც იყო, ჩვენი საზოგადოება არაფრისთვის არ იყო მზად და სწორედ იმიტომ გვჭირს ის უბედურება, რასაც დღეს თვალნათლივ ვხედავთ. ჩვენ, ქართველები, არსებობისთვის ვიბრძვით.

**ასეთ საქართველოში ალექსანდრე ჭაჭიას დონის პოლიტიკოსის მოღვაწეობა საცოდაობაა, მაგრამ, თუკი ჭაჭიასნაირები განზე გადგებიან, მაშინ ვინ უნდა თქვას სიმართლე და ვინ უნდა შეაგნებინოს ამ ადამიანებს, რაში ცდებიან, სად არის სიმართლე და სად ტყუილი?! ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება ჩვენს ქვეყანას და მისი ქართულ პოლიტიკაში ყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«ბედკრულ საქართველოს პატრონი არ ჰყავს და ამიტომაც არ უსმენენ ალექსანდრე ჭაჭიას, კაცს, რომელსაც ზუსტად იმის მიცემა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბატონი ალექსანდრე არის პატრიოტი, თავის მიწა-წყალზე უზომოდ შეყვარებული კაცი და, რაც მთავარია, ჭკვიანი, ნიჭიერი, გონიერი პოლიტიკოსი, რომლის აზრის გაუთვალისწინებლობა სამშობლოს ღალატის ტოლფასია»**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონკრეტული სახლის ნანგრევებში მოყოლილ კონკრეტულ ადამიანებს გლოვობს ქვეყანა. ამ დროს ქვეყანაც ნანგრევებადაა ქცეული, დაინგრა საქართველოს მთლიანი სხეული, აიყარა ხალხი ფუძიდან, განახევრდა მოსახლეობა. ამ ვითარებაში სხვა თუ არაფერი შეგვიძლია, გლოვის ზარი მაინც ვთქვათ ისეთი, სვანეთში რომ იტყოდნენ — სულით ხორცამდე შემძვრელი, სისხლის გამყინავი და ჟრუანტელის მომგვრელი. ვთქვათ გლოვის ზარი — ხმამაღალი და სულში ჩამწვდომი, ამიერ-იმიერმა რომ გაიგოს, ისეთი. ვამცნოთ მთასა და ბარს, რომ სამშობლოს ჩვენსას ვილაცამ საყრდენ-საძირკველი გამოაცალა და ჩამოგვექცა ჭერი თავზე...**



# ნგრევა შენებით

## პრეზიდენტი პუტინი ამერიკასა და ევროპას ისე ათამაშებს, როგორც მოესურვება

## ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეროს ტრიბუნიდან საქართველოს სათქმელიც თქვა

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ოცდამეთხუთმეტე გამოშვება

### ნგრევა შენებით

გლოვაა საქართველოში.

ბათუმში საცხოვრებელი სახლი დაინგრა და ცხრა ადამიანი დაიღუპა.

რატომ მოხდა ეს? ერთია ამ შეკითხვის სამართლებრივი მხარე, რომელსაც, იმედია, პასუხი გაეცემა, მაგრამ ამ შეკითხვას სხვა მხარეც აქვს — საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და, თუ გნებავთ, ფილოსოფიურიც. შეკითხვის ეს ნაწილი, ეს ასპექტი, ალბათ, პასუხგაუცემელი დარჩება, ვინაიდან ამაზე პასუხს ჯერჯერობით არავინ ითხოვს...

**ნანგრევებში მოყოლა ჩვენთვის ახალი არ არის. ოცდაათი წელიწადია მას შემდეგ, რაც საქართველოს ვანგრევთ. დაწყებული ფაბრიკა-ქარხნებით, დამთავრებული ტერიტორიული მთლიანობით, თუკი რამეს ნგრევა შეიძლებოდა, ყველაფერი დავანგრიეთ. დამკვიდრებული ცხოვრების წესი უარვყავით, ურთიერთობები მოვშალეთ, ზნე-ჩვეულებებს საფუძველი მოვურყიეთ და მორალური ღირებულებები მოვსპეთ, მაგრამ ესეც არ ვიკმარეთ, იმ სფეროებშიც შევიჭერით, რომლებშიც შეჭრა არ შეიძლება. ფიზიკის კანონებსაც კი ავუჯანყდით, მასალათა გამძლეობაში კორექტივების შეტანას ვცდილობთ და მშენებლობაში დაკანონებული სტანდარტების განუხრელად დაცვის ნაცვლად ყოვლისნებადართულობისკენ მივექანებით.** იმას, რაც საქართველოში მშენებლობის სახით ხდება, დიდი ხნის წინათ ვუწოდე ნგრევა შენებით, რადგან შეუსაბამო მშენებლობით ქალაქი კი არ შენდება, ინგრევა. ინგრევა მისი ისტორიული იერი, მისი ესთეტიკა და არქიტექტურული ღირებულება. **ბათუმი, როგორც ევროპისა და აზიის არქიტექტურული და კულტურული სინთეზის ერთ-ერთი ულამაზესი და უნიკალური ნიმუში, აღარ არსებობს. იგი შთანთქა და შეიწირა თანამედროვე, უგემოვნო ეკლექტიკამ და საცხოვრებელი და საოფისე მშენებლობის ბიზნესბუმმა.**

მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ და დარწმუნდებით, რომ თითქმის ვერ ნახავთ სახლს, ვანდალური გადაკეთება-დამახინჯების მსხვერპლი არ იყოს. ირგვლივ ქაოსი და უგემოვნობა სუფევს. **ამ საქმეში ერთი მხარე საზოგადოების გულისგამგმირავი უკულტურობაა, მეორე მხარე კი — ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობა.** ეს ყოველივე ბათუმში დატრიალებულ ტრაგედიასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. ხუთსართულიან სახლზე ორი სართული იყო დაშენებული. მეტი დარღვევა რა გინდათ?! ცალკე საკითხია ის, რა სამუშაოები იყო ჩატარებული მზიდ კედლებზე, საძირკველზე, ნაგებობის კონსტრუქციაზე...

**სამძიმარს ვუცხადებ ყველა იმ ადამიანს, რომელთა ოჯახის წევრები და ახლობლები შეეწირნენ ამ თავზარდამცემ ტრაგედიას, სამძიმარს ვუცხადებ სრულიად საქართველოს, მადლობა იმ თავგანწირულ ადამიანებს, რომლებიც სამაშველო საქმიანობაში თავს არ ზოგავენ თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად!**




### პრეზიდენტი პუტინი ამერიკასა და ევროპას ისე ათამაშებს, როგორც მოესურვება

ევროპაში ციებ-ცხელებაა. თითქმის მთელი კონტინენტი ბუნებრივი აირის გარეშე რჩება. წინ ცივი ზამთარი, გაყინული მოსახლეობა და გაჩერებული სამრეწველო პოტენციალი, ცოტა იქით კი დანგრეული ეკონომიკა და ავისმომასწავებელი გაურკვევლობა ჩანს. კაპიტალიზმი თავისას აკეთებს. ბუნებრივი აირის საბაზრო ფასმა ასტრონომიულ თანხას (ათასი კუბური მეტრი 2000 აშშ დოლარი) მიაღწია.

ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის უფროსმა მრჩეველმა **ამოს ჰოხშტაინმა** განაცხადა, რომ „რუსეთი ევროპას წინა წლებთან შედარებით აუხსნელად მცირე მოცულობის ბუნებრივ აირს აწვდის". ბატონ ჰოხშტაინს, როგორც ჩანს, მთელი მსოფლიოს შეცდომაში შეყვანა განუზრახავს. რუსეთი კი არ ამცირებს ევროპისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის რაოდენობას, პირიქით — ევროპაში ცდილობენ რუსული ბუნებრივი აირისგან განთავისუფლებას. უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** ამერიკელებს განუცხადა, რომ „რუსული ბუნებრივი აირი ყველაზე ბინძურია მსოფლიოში". ევროპა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსულ ბუნებრივ აირს გზა **გადაუკეტოს, რათა ევროპის „ენერგოუსაფრთხოება" უზრუნველყოს. ეს მათი დამოუკიდებელი ნააზრევი არ არის, ეს ევროპისთვის ამერიკელების მიერ თავსმოხვეული პოზიციაა — სულელური და მავნებლური პოზიცია.**

**ევროპაში გაჰყვირიან, რომ რუსეთმა უნდა გაზარდოს ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების რაოდენობა, მაგრამ, ამასთანავე, იმასაც გაჰყვირიან, რომ ევროპა არ უნდა იყოს რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებული და უნდა შეჩერდეს „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის" მშენებლობა.** ასეთ პირობებში, რატომ უნდა ილოს ყურად რუსეთმა ან ევროპის პრობლემები, ან ამერიკელთა ფარისევლური შეგონება?! იმისთვის ხომ არა, რომ რუსული ბუნებრივი აირით კარგად ჩამთბარმა ევროპელებმა ხელი კვლავ რუსეთისკენ გაიშვირონ და დედამიწაზე ყველა მოუგვარებელი პრობლემის არსებობა მას დააბრალონ? **რატომაა რუსეთი ვალდებული, საკუთარი ინტერესების საზიანოდ, დასავლეთის ყველა ხუშტურს ანგარიში გაუწიოს? სად არის ამერიკელთა ის დაპირება, რომ ევროპას ოღონდ რუსულ ბუნებრივ აირზე ეთქვა უარი და თვითონ გაავსებდა ევროპის საცავებს? ამაზე ახლა ერთბაშად გაჩუმდნენ, რადგან სადღაც, აზიის კონტინენტზე, უფრო სარფიანი კლიენტები მოძებნეს და ევროპაში შექმნილი პრობლემების გამო მომგებიან კონტრაქტებზე უარს ხომ არ იტყვიან?!** არ იტყვიან, ვინაიდან სარფიანი გარიგება და მოგებაა მათი წმიდათაწმიდა და არა მოყვასისთვის გასაჭირში ხელის გაწვდენა. ეს მათი ბუნებაა, მათი ფსიქიკის უმთავრესი მახასიათებელი. ამ ვითარებაში რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** უცნაურ განცხადებას აკეთებს. მისი გადაწყვეტილების მიხედვით, რუსეთმა საკონტრაქტო ვალდებულების ფარგლებში უნდა განაგრძოს ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება უკრაინის გავლით: „Нужно полностью соблюдать контрактные обязательства по транзиту, прокачке нашего газа через территорию Украины, через ГТС Украины".




ამ რთულად გასაგებ პოზიციას პრეზიდენტმა ახსნაც მოაყოლა: „не надо никого ставить в трудное положение, включая Украину, несмотря на все моменты, связанные с российско-украинскими отношениями на сегодняшний день, а во-вторых, не нужно подрывать доверие к „Газпрому" как к надежному, абсолютно надежному партнеру во всех отношениях".

მართლაც საოცარი პოზიციაა. ეს მიდგომა თვისებრივად განსხვავდება დღეს არსებული პოლიტიკური ურთიერთობებისგან, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო ჩაწიხლავ მოწინააღმდეგეს, მით უფრო ძლიერი და აღმატებული ხარ. **პუტინმა კი სრულიად ახლებური დამოკიდებულება გამოავლინა. მხედველობაში მაქვს მისი ამ მიდგომის როგორც ადამიანური და ემოციური, ასევე სახელმწიფოებრივი და ოფიციალური მხარეც.** რომელი კუთხიდანაც უნდა შევხედოთ ამ საქმეს, უზადოდ გამოიყურება. ევროპაში ამერიკული პოლიტიკის გავლენით თავგზააბნეული და ტვინგაცხელებული პოლიტიკოსები რას როშავენ, ერთი საკითხია, მაგრამ მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ევროპელი ხალხი სხვა თემაა. **შეგეძლოს, ხალხი გაჭირვებისგან იხსნა და ეს არ გააკეთო მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპელი ლიდერების ერთი ნაწილი პოლიტიკური ილუზიებისა და ბლოკური აზროვნების ტყვეობაშია, არ იქნება სწორი გადაწყვეტილება. უკრაინის ხელისუფლება, მართალია, რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკის მოყვანილია და რუსეთისა და რუსი ხალხის სიძულვილითაა გაჟღენთილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როდესაც საქმე არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ უკრაინის მთელ მოსახლეობას ეხება, საკითხი დიდსულოვნებიდან და მაღალი ზნეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტო. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს აჩვენა, რომ იგი მხოლოდ საკუთარ ხალხზე კი არ ზრუნავს, არამედ ხალხზე, საზოგადოდ, განურჩევლად ეროვნული, რელიგიური, რასობრივი თუ კონტინენტური კუთვნილებისა. ეს მართლაც უმაღლესი პოლი-** ▶

**ნანგრევებში მოყოლა ჩვენთვის ახალი არ არის. ოცდაათი წელიწადია მას შემდეგ, რაც საქართველოს ვანგრევთ. დაწყებული ფაბრიკა-ქარხნებით, დამთავრებული ტერიტორიული მთლიანობით, თუკი რამეს ნგრევა შეიძლებოდა, ყველაფერი დავანგრიეთ. დამკვიდრებული ცხოვრების წესი უარვყავით, ურთიერთობები მოვშალეთ, ზნე-ჩვეულებებს საფუძველი მოვურყიეთ და მორალური ღირებულებები მოვსპეთ, მაგრამ ესეც არ ვიკმარეთ, იმ სფეროებშიც შევიჭერით, რომლებშიც შეჭრა არ შეიძლება. ფიზიკის კანონებსაც კი ავუჯანყდით, მასალათა გამძლეობაში კორექტივების შეტანას ვცდილობთ და მშენებლობაში დაკანონებული სტანდარტების განუხრელად დაცვის ნაცვლად ყოვლისნებადართულობისკენ მივექანებით**

**ბათუმი, როგორც ევროპისა და აზიის არქიტექტურული და კულტურული სინთეზის ერთ-ერთი ულამაზესი და უნიკალური ნიმუში, აღარ არსებობს. იგი შთანთქა და შეიწირა თანამედროვე, უგემოვნო ეკლექტიკამ და საცხოვრებელი და საოფისე მშენებლობის ბიზნესბუმმა. მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ და დარწმუნდებით, რომ თითქმის ვერ ნახავთ სახლს, ვანდალური გადაკეთება-დამახინჯების მსხვერპლი არ იყოს. ირგვლივ ქაოსი და უგემოვნობა სუფევს. ამ საქმეში ერთი მხარე საზოგადოების გულისგამგმირავი უკულტურობაა, მეორე მხარე კი — ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ტიკური და ზნეობრივი პოზიციის დემონსტრაციაა, რომლის მაგალითებიც დღევანდელ მსოფლიოში, სამწუხაროდ, თითქმის არ მოიძებნება. ევროპელ ლიდერთა შორის ძალიან ცოტა თუ გამოჩნდება ისეთი, ვინც რუსეთის პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას სწორად შეაფასებს და მისი ამ საქციელის გამო მადლიერების ხმამაღლა გამოხატვას გაბედავს, მაგრამ მთავარი ეს ხომ არ არის. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ არც ევროპელი ხალხი გაიყინება და არც ევროპის ეკონომიკა დაინგრევა.** ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიკეთის კეთება მხოლოდ კარგი საქციელი კი არ არის, არამედ უმაღლესი მიზანია, რომლის მიღწევის გზაზე არც ერთ შემთხვევაში უკან დახევა არ შეიძლება. ეს ის ზნეობრივი და პოლიტიკური სიმაღლეა, რომელიც ისტორიას სამუდამოდ შემორჩება. **პუტინი რუსეთთან დაპირისპირებული ლიდერებისგან ორი რამით განსხვავდება — გონებრივი შესაძლებლობებითა და ზნეობრივი მახასიათებლებით. მისი ეს უპირატესობა ყველგან და ყოველთვის თვალშისაცემია, ამიტომაცაა, რომ იგი ევროპასაც და ამერიკასაც, როგორც მოესურვება, ისე ათამაშებს.** ხომ გახსოვთ, ჯერ კიდევ 2010 წელს მოსწრებული იუმორით მთელი გერმანია რომ განაიარაღა: **„ბუნებრივი აირი არ გინდათ, ატომურ ენერგეტიკას არ ავითარებთ, რით უნდა გათბეთ, შეშით? შეშისთვისაც ციმბირში რომ მოგიწევთ წასვლა?!“** ამ სიტყვებზე ბევრი იცინეს გერმანელებმა და, საერთოდ, ევროპელებმა. იმხანად რას წარმოიდგენდნენ, პუტინის ეს ხუმრობა ათი წლის შემდეგ საშინელ რეალობად თუ ექცეოდათ.

ევროპაში გონიერი ლიდერებიც არიან. უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** თქვა, რომ ყურად ვერ იღებს უკრაინის პოზიციას ბუნებრივი აირის საკითხების მიმართ: **„კონტრაქტმა უნდა დააკმაყოფილოს არა უკრაინის, არამედ უნგრეთის მოსახლეობის ინტერესები. ჩვენ ვირჩევთ იმ მარშრუტს, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ჩვენს ენერგოუსაფრთხოებას“.** სერბეთის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ვუჩიჩმა** განაცხადა: „ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგების პრობლემები გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ დროულად არ მოხდა გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმება რუსეთთან. სხვას კი ბუნებრივი აირი არავის აქვს. ცარიელი საუბრები ამ თემაზე, ათი წელიწადია, მესმის, მაგრამ, საბედნიეროდ, მათთვის ყურადღება არც არასოდეს მიმიქცევია. სერბეთი ბუნებრივი აირის ტრანზიტის სახელმწიფოდ მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც რუსეთთან გავაფორმეთ ხელშეკრულება „ბალკანეთის ნაკადის“ მშენებლობაზე. ჩვენი სახელმწიფოს გავლით რუსული ბუნებრივი აირი უნგრეთს მიეწოდება“.

უნგრეთისა და სერბეთის ლიდერთა ეს მართებული პოზიცია ერთგვარად ადასტურებს იმას, რა უსინდისოდ იქცევა ევროკავშირის ხელმძღვანელობა რუსეთთან (და არამხოლოდ რუსეთთან) ურთიერთობაში. **კოლექტიური დასავლეთი მტრულად ექცევა ყველა იმ სახელმწიფოსა და ყველა იმ ხალხს, რომლებიც რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზას ადგებიან. ამის მკაფიო და ნათელი მაგალითია ბელარუსი, რომელიც განვითარების სწორ გზას ადგას და საკუთარ მოსახლეობას ცხოვრების ისეთ პირობებს უქმნის, მთელ მსოფლიოში სანიმუშოდ რომ გამოიყურება.** ვფიქრობ, აქვე უადგილო არ იქნება, თუნდაც გაკვრით განხილვა ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ მაკეის** მოხსენებისა, რომლითაც იგი 2021 წლის 27 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიაზე წარდგა. ამ მოხსენებაში შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული დასავლეთის ვერაგული პოლიტიკის არსი, რომლის მიზანი მსოფლიოზე გაბატონებაა.

## ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეროს ტრიბუნიდან საქართველოს სათქმელიც თქვა

ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ მაკეის** მოხსენება გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიაზე თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო განგაშის ზარის დარისხებად იმის გამო, რომ პლანეტას მართავს არა ის საერთაშორისო სტრუქტურა (გაერო), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა, არამედ მისი მართვა სრულიად არალეგიტიმურმა ძალებმა იგდეს ხელთ, რომლებიც მას კრიზისისკენ მიაქანებენ: „Все мы уже несколько десятилетий пребываем в затяжной и беспрецедентной глобальной турбулентности и непредсказуемости. Это закономерный итог того, что наша планета функционирует во многом вне системы и обязательств, закрепленных в универсальных принципах международного права Уставом ООН. Сегодня миром правят экономический эгоизм, политические амбиции, шантаж, имперские привычки, кризисы, конфликты и срежиссированный хаос.“

მინისტრი არ მოერიდა იმ მიზეზების დასახელებას, რომლებიც განაპირობებს ამ სრულიად არასახარბიელო ვითარებას მსოფლიოში: „Непрекращающиеся попытки отдельных стран навязать суверенным государствам искусственные шаблоны социального и экономического развития, варварская санкционная политика в отношении неугодных правительств, экономический терроризм и возврат мира к элементам блокового противостояния – все это имеет мало общего со справедливым и гармоничным миропорядком, к которому все мы стремимся уже столько десятилетий.“

ორატორი იმ მექანიზმებსაც შეეხო, რომელთა გამოყენებით მსოფლიოში ინერგება ძალმომრეობისა და უსამართლობის კულტი: „Это – прямой признак навязчивого, больного желания разогреть очаги конфронтации в мире. Откровенное вмешательство возомнивших себя оракулами политических игроков во внутренние дела других суверенных государств стало уже нормой в международном сосуществовании наций. Негативная динамика в области глобальной безопасности неослабно нарастает, в том числе за счет гибридных войн, злонамеренного и преступного использования современных информационных технологий, подпитывающих экстремизм и терроризм, и информационных фейков. Сегодня с помощью электронных гаджетов можно подорвать внутренний мир и спокойствие в любом государстве, а также отстранить от власти его руководство.“

**დროა, გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკური უზნეობის ჭაობში ჩაფლული აშშ და ევროპა ორიენტირად არ გამოგვადგება. ჩვენი ორიენტირი რუსეთისა და ბელარუსის კავშირი და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან იმ ერთიანი სტრატეგიული სივრცის ჩამოყალიბება უნდა იყოს, რომელიც ერთადერთი ალტერნატივაა კოლექტიური დასავლეთის მიერ ყოველი ჩვენგანისთვის თავსმოხვეული ნგრევისა, ქაოსისა, ძალადობისა და სიცრუისა, რაც ყველას ერთად დასავლეთის ტყვეობისკენ და მისი დიქტატით ცხოვრების ჩვენთვის სრულიად უპერსპექტივო მომავლისკენ მიგვაქანებს**



ვლადიმერ მაკეი გაეროს ტრიბუნაზე

მინისტრმა ხაზი გაუსვა დღეს არსებულ იმ უზნეო ტენდენციას, რომლის მიხედვითაც დაწყებულია მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზია და მიმდინარეობს მცდელობა ყველაფრის თავდაყირა დაყენებისა: „сегодня мы наблюдаем опасные тенденции дать искаженные нравственные и правовые оценки итогов Второй мировой войны, уравнять в правах жертв и палачей, освободителей и агрессоров, поставить под сомнение решения Нюрнбергского трибунала.“

მინისტრის აზრით, ყველაფერმა ამან კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანა, რაც შესაძლებელია, მსოფლიოს ძალიან ძვირი დაუჯდეს: „Кстати, отдельные преступники – те, кто вершил злодеяния против белорусского народа, и чьи руки по локоть в крови, – до сих пор спокойно проживают в некоторых соседних странах. Более того, там их чествуют как героев.“

ეს იმ დიდი გეოპოლიტიკური თამაშების სავალალო შედეგია, რომელიც მსოფლიო ბალანსის განადგურებისკენ არის მოწოდებული, რათა ძალთა თანაფარდობის რღვევის შედეგად ერთმა მხარემ სრული უპირატესობა მოიპოვოს და მსოფლიოზე გაბატონება მოახერხოს. ვინ არის ის, ვინც მსოფლიო ჰეგემონიზმისკენ მიილტვის და ამ მიზნის მისაღწევად არანაირ სიბინძურეს არ ერიდება: „Беларусь также оказалась вовлечённой не по своей воле в пучину этой геополитической войны. Наша страна больше года продолжает оставаться мишенью воинственного давления со стороны коллективного Запада. И всё лишь потому, что в Беларуси не удалось реализовать отшлифованный до совершенства сценарий очередной „цветной революции“, приуроченной к президентским выборам. Сегодня против Беларуси развязана масштабная гибридная война по всем направлениям. Удивляет изощренность авторов в изобретении красивых, но лицемерных эпитетов для оправдания своих разрушительных действий – это „меры поддержки демократии“, „секторальные ограничения“ или „содействие благополучию народа“ и «суверенитету государства“.

მინისტრი აცხადებს, რომ დასავლეთიდან მომდინარე საფრთხეების მიუხედავად, ბელარუსი აღებული სწორი გეზიდან არ გადაუხვევს. ის მზად არის ყველა სახელმწიფოსთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ მხოლოდ თანასწორობისა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემის პირობებში: „Беларусь всегда была и остается приверженной взаимовыгодному сотрудничеству со всеми государствами – даже с теми, с кем у нас имеются острые разногласия. Однако мы будем строить свои отношения на принципах уважения и равноправия, без шантажа и условий.“

ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრ ვლადიმერ მაკეის მოხსენებაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ ამ ისტორიულ სიტყვაში არა მხოლოდ ბელარუსის წინაშე მდგარი პრობლემები იყო განხილული, არამედ მთელი მსოფლიოს სატკივარი იყო წამოწეული, მათ შორის, საქართველოსიც.

საგაზეთო ფორმატი არ მაძლევს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსენების უფრო საფუძვლიანად განხილვის საშუალებას, რის გამოც თავს უფლებას ვაძლევ, მოგიწოდოთ, რომ ამ დოკუმენტს, რომელიც ინტერნეტში ყველასთვის ხელმისაწვდომია, სრულად გაეცნოთ. ჩვენ კი, **დროა, გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკური უზნეობის ჭაობში ჩაფლული აშშ და ევროპა ორიენტირად არ გამოგვადგება. ჩვენი ორიენტირი რუსეთისა და ბელარუსის კავშირი და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან იმ ერთიანი სტრატეგიული სივრცის ჩამოყალიბება უნდა იყოს, რომელიც ერთადერთი ალტერნატივაა კოლექტიური დასავლეთის მიერ ყოველი ჩვენგანისთვის თავსმოხვეული ნგრევისა, ქაოსისა, ძალადობისა და სიცრუისა, რაც ყველას ერთად დასავლეთის ტყვეობისკენ და მისი დიქტატით ცხოვრების ჩვენთვის სრულიად უპერსპექტივო მომავლისკენ მიგვაქანებს.**

## P.S.

**გლოვაა საქართველოში. კონკრეტული სახლის ნანგრევებში მოყოლილ კონკრეტულ ადამიანებს გლოვობს ქვეყანა. ამ დროს ქვეყანაც ნანგრევებადაა ქცეული, დაინგრა საქართველოს მთლიანი სხეული, აიყარა ხალხი ფუძიდან, განახევრდა მოსახლეობა. ამ ვითარებაში სხვა თუ არაფერი შეგვიძლია, გლოვის ზარი მაინც ვთქვათ ისეთი, სვანეთში რომ იტყოდნენ — სულით ხორცამდე შემძვრელი, სისხლის გამყინავი და ჟრუანტელის მომგვრელი. ვთქვათ გლოვის ზარი — ხმამაღალი და სულში ჩამწვდომი, ამიერ-იმიერმა რომ გაიგოს ისეთი. ვამცნოთ მთასა და ბარს, რომ სამშობლოს ჩვენსას ვიღაცამ საყრდენ-საძირკველი გამოაცალა და ჩამოგვექცა ჭერი თავზე... ამასაც ვერ ვახერხებთ, ხმა აღარ ამოგვდის ხორხიდან, ხმა ქართული, მამაპაპური, მგრგვინავი და მჭექარე; მხოლოდ წიოკი და ძიძგილაობა შეგვიძლია, მხოლოდ ჭყლიპინისა და ხავილის თავი გვაქვს — მე ამირჩიეთ, მე ამირჩიეთ!**

**ოცდაათი წელიწადია, რაც არჩევანში ვართ, ჯერ ვირჩევთ, შემდეგ ვებრძვით, ვირჩევთ და ვებრძვით... ვირჩევთ და ვებრძვით... იმას კი არ ვირჩევთ, ვინც ქვეყანას უნდა გაუძღვეს, იმას ვირჩევთ, მერე რომ უნდა ვებრძოლოთ... ჩამოვაგდოთ... ჩავწიხლოთ... დავაპატიმროთ... ვესროლოთ... მოვკლათ... ერი კი არ ცხოვრობს და კი არ ვითარდება, დუღს, შფოთავს, ბობოქრობს, იბრძვის. არჩევნებიდან არჩევნებამდე ვერ ძლებს, ძვლებში ამტვრევს, „ლომკა“ ეწყება და შუალედურ, რიგგარეშე, ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, რათა ერთმანეთის ლანძღვის, ერთმანეთზე გაწევგამოწევის, ერთმანეთის სიძულვილით ტკბობისა და ერთმანეთის სისხლის დაღვრის ნარკოტიკული დოზა მიიღოს... მერე კი კვლავ ახალ არჩევნებს დაელოდოს ახალი დოზის მისაღებად.**

**არჩევნები ვერ შედგება საქართველოში იმიტომ, რომ არჩევანის კულტურა არ გვაქვს...**

**შეთანხმებას ვერ მივაღწევთ საქართველოში იმიტომ, რომ შეთანხმების კულტურა არ გვაქვს...**

**მშენებლობა შეუძლებელია საქართველოში იმიტომ, რომ მშენებლობის კულტურა არ გვაქვს...**

**წარსულიდან რაც შემოგვრჩა, ვერ მოვუვლით იმიტომ, რომ მოვლის კულტურა არ გვაქვს...**

**განსხვავებული აზრი ვერ გაიხარებს საქართველოში იმიტომ, რომ აზროვნების კულტურა არ გვაქვს...**

**გვქონდა ეს ყველაფერი, მაგრამ აღარაფერი აღარ შეგვრჩა, ბოლო ოცდაათი წელიწადის განმავლობაში გულმოდგინედ ვანგრიეთ და ვაცამტვერეთ. ბოლო ოცდაათი წელიწადია, რაც ამერიკელები და ევროპელები ვითომ თავისუფლებას გვასწავლიან, დემოკრატიას გვასწავლიან, ადამიანის უფლებების დაცვას გვასწავლიან, ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტებს გვასწავლიან, მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოს ნგრევის გარდა არაფერი უსწავლებიათ...**

**ახლა შეგვიძლია, ყველაფერი ერთად გამოვიგლოვოთ, გლოვის დღეებია საქართველოში!**

კანონი და კანონიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაშვილის ზეობის ხანაში გამორიცხული იყო, პატიმარი ვინმეს მოენახულებინა, ოჯახის წევრების გარდა. საუბარი არ არის გრძელვადიან პაემანზე, რომელიც 2011 წელს შემოიღეს, არამედ ჩვეულებრივ პაემანზე, როცა ჯავშნიანი შუშის სხვადასხვა მხარეს სხედან ადამიანები და ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრებიან. ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ მშობლები, დედმამიშვილები, შვილები... ბებია და ბაბუა — არა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ხომ ზედმეტია საუბარი. რაც მთავარია, ტელეფონზე საუბარს უსმენდნენ და, თუ რომელიმე პატიმარი დაიწუწუნებდა, მას საკნის ნაცვლად კარცერში წაიყვანდნენ.**

**საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დაგვაყენა. უფრო ზუსტად კი, ოპოზიციას, არჩევნებთან ერთად, მიშას გათავისუფლების მოთხოვნაც გაუჩნდა. ამ დროს ხელისუფლება ერთი შეხედვით (კიდევ ვიმეორებთ, ერთი შეხედვით) მყარ პოზიციაზე დგას და სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით გასამართლებული და სასჯელმისჯილი სააკაშვილის ციხიდან გაშვებას არ აპირებს.**

# ბატონებო, რატომ არ აყენებთ სააკაშვილს ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც სხვა პატიმრები არიან? დაინდო მიშამ ვინმე, როცა დააკავა?



ოპოზიციამ 14 ოქტომბერს მასშტაბური აქცია დააანონსა და ყველაფერს გააკეთებენ, რაც შეიძლება, ბევრი ხალხი რომ მიიყვანონ. ოპოზიციის განცხადებით, რუსთაველზე, სულ ცოტა, 100 ათასი კაცი შეიკრიბება, რაც, მათი ბოლოდროინდელი აქციებიდან გამომდინარე, ცოტა დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ ისიც დაუჯერებელი ჩანდა, ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს რომ დაავიწყდებოდა, რა ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში.

ახლა მთავარი ვთქვათ: ოპოზიციამ ცალკე და სააკაშვილმა ცალკე გააპროტესტეს ის, რომ მიშას საკანში ტელევიზორი არ დახვდა. ევროპელმა ელჩებმაც ხმა აიმაღლეს, — ტელევიზორი აუცილებელია და შეტანის შესაძლებლობა მიეცითო. ჰოდა, ზის ახლა მიშა და მშვიდად უყურებს ტელევიზორს, მაგრამ... **სად იყვნენ ის ევროპელი ელჩები და დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები, როცა, მაგალითად, გლდანის ციხეში პატიმრებს ტელევიზორი ეკუთვნოდათ და ის არც ერთ, ვიმეორებთ, არც ერთ კამერაში არ იყო. როცა ამის შესახებ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ელჩს ვუთხარი, თავი იმართლა: ჩვენ რომ შევდიოდით, ტელევიზორები იდგაო. რეალურად კი, ტელევიზორი ელჩების ვიზიტისას ადმინისტრაციის კაბინეტებიდან საკნებში დროებით შეჰქონდათ, თანაც იმ საკნებში,** რომლებშიც არც ერთი პატიმარი არ იტყოდა, რომ ეს ყველაფერი დადგმული იყო. ზონაში ტელევიზორები კი იყო ყველა საკანში, მაგრამ არ აჩვენებდა არც ერთ ოპოზიციურ არხს, ისინი, უბრალოდ, გათიშული იყო. ციხის მაღაზიაში, არც გლდანში და არც ზონებში, არ იყიდებოდა ოპოზიციური გაზეთები. რაც შეეხება მოპყრობას, პატიმრების გადათვლისას, ანუ დილა-საღამოს, საკნიდან გამოსულ პატიმრებს ოფიცრები აგინებდნენ, შესვლისას — ისევ აგინებდნენ. **გლდანის ციხის პატიმრებს უფლება ჰქონდათ, ყოველ დილით სუფთა ჰაერზე ე.წ. ერთსაათიანი „პრაგულკა“ გაეკეთებინათ, მაგრამ, თუ ამას მოისურვებდნენ, უკან დაბრუნებულებს საკანი არეული ხვდებოდათ, ჭურჭელი, ლეიბები, ტანსაცმელი იატაკზე ეყარა და ზედ წყალი იყო დასხმული. ე.წ. შმონის სახელით საკანს იმიტომ ურევდნენ, რომ პატიმრებს „პრაგულკის“ სურვილი აღარ გასჩენოდათ.** თანაც, ერთი საათის ნაცვლად, სუფთა ჰაერზე გასეირნება 10 წუთზე მეტს არასდროს არ გრძელდებოდა.

ახლა **ლეიბებზე** გადავიდეთ. ლეიბის ფუნქციის შემსრულებელი იყო ნაჭერში ერთი თითის სისქეზე ჩაყრილი შავი ბამბა. ეს ხდებოდა ციხეში და ეს ხდებოდა ზონაშიც. თუ შემთხვევით რომელიმე პატიმარი დამატებით ლეიბს იშოვიდა და უპოვიდნენ, ლამის ცემით კლავდნენ და, რაღა თქმა უნდა, ართმევდნენ. მიშას კიდევ თურმე ლეიბის სისქე ეპატარავა და მეორე მოითხოვა. რატომ არ თქვა არც ერთმა ოპოზიციონერმა, რომ ასეთივე ლეიბზე რამდენიმე ათას პატიმარ სძინავს და დამატებითი ლეიბი მათთვისაც შეეტანათ? თუ მიშა მაგარი ტიპია? როგორც ჩანს, არის, რადგან ყველა სურვილს ზედმიწევნით უსრულებენ და ეს მაშინ, როცა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ასეთი ელემენტარული სურვილის გამხელაც კი უსასტიკესად ისჯებოდა. აი, **შიმშილობის პროცესი** ყველაზე საინტერესოა. ოფიციალურად **შიმშილობა გამოცხადებულად ითვლება მაშინ, როცა დილით შენს სარგო პურს არ იღებ. ეს ნიშნავს, რომ შიმშილობა დაიწყე. ვთქვათ, წინა დღის პური დაგრჩა და ახალი აღარ გინდა, მაინც უნდა აიღო, თუ გინდა, გადააგდე, მაგრამ უნდა აიღო, სხვაგვარად, პურზე უარის თქმა შიმშილობის დაწყებად ითვლება.** ასეთ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, პატიმარი სამარტოო საკანში გადაიყვანოს, რათა მას პროტესტის გამოხატვა გაუადვილდეს. სხვა პატიმრების გარემოცვაში შიმშლობა ძნელია, რადგან ოთახში საჭმლის სუნი ტრიალებს, სხვები ჭამენ და რამდენიმედღიანი შიმშილობის შემდეგ საჭმლის სუნზე, შესაძლოა, ფსიქიკური პრობლემები დაგეწყოს. **ადრე პატიმარი ცალკე საკანში კი არა, კარცერში ჩაჰყავდათ, ხოლო, როცა დილის საუზმე, შუადღის სადილი და საღამოს ვახშამი დარიგდებოდა, ცარიელ და ოხშივარავარდნილ ქვაბებს 10-15 წუთის განმავლობაში სწორედ კარცერის დერეფანში დგამდნენ, რათა მოშიმშილეებს (და ხშირად რამდენიმე ადამიანი შიმშილობდა პროტესტის ნიშნად) საჭმლის სუნი მისვლოდათ, მორალურად გატეხილიყვნენ და ან ჭამა დაეწყოთ და შესაბამისად, პროტესტი შეეწყვიტათ, ან გული წასვლოდათ და საავადმყოფოში გადაეყვანათ, სადაც უკვე გადასხმების შემდეგ კარგად „დატრენინგებული ექიმები“ აიძულებდნენ საკვების მიღებას.** ახლა სააკაშვილის მომხრეები იტყვიან, მიშასაც აწამებენ, რამდენიმე აზერბაიჯანელმა ცხვარი დაუკლა და მიუყვანაო, მაგრამ ხომ ხვდებით, რომ ეს და ის სრულიად სხვადასხვა რეალობაა.

ცალკე თემაა **პაემანი.** სააკაშვილის ზეობის ხანაში გამორიცხული იყო, პატიმარი ვინმეს მოენახულებინა ოჯახის წევრების გარდა. საუბარი არ არის გრძელვადიან პაემანზე, რომელიც 2011 წელს შემოიღეს, არამედ ჩვეულებრივ პაემანზე, როცა ჯავშნიანი შუშის სხვადასხვა მხარეს სხედან ადამიანები და ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრებიან. ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ მშობლები, დედმამიშვილები, შვილები... ბებია და ბაბუა — არა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ხომ ზედმეტია საუბარი. რაც მთავარია, **ტელეფონზე საუბარს უსმენდნენ და, თუ რომელიმე პატიმარი დაიწუწუნებდა, მას საკნის ნაცვლად კარცერში წაიყვანდნენ, კარგად „დაამუშავებდნენ“ და თანაც დაარიგებდნენ, რომ სხვა დროს ოჯახის წევრებთან არ ეწუწუნა და ეთქვა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.** სააკაშვილთან კი, ვისაც არ დაეზარა, ყველა შევიდა და ბოლოს იმხელა რიგი დადგა, პარლამენტის თავმჯდომარე იძულებული შეიქნა, სპეციალური განცხადება გაეკეთებინა და შესვლა შეეზღუდა. **ბატონებო... ქალბატონებოც! რატომ არ აყენებთ სააკაშვილს ზუსტად იმავე მდგომარეობაში, როგორშიც სხვა პატიმრები არიან? დაინდო მიშამ ვინმე, როცა დააკავა? დაინდო სულხან მოლაშვილი ან მაღალჩინოსანი სამხედროები? თუ დასავლელი პარტნიორების გეშინიათ? და ამ პარტნიორებს ყურები ხომ აქვთ და თქვენი საუბარი ხომ ესმით? არ შეგიძლიათ, აუხსნათ, რომ სააკაშვილი არის პატიმარი და აღარ არის პრეზიდენტი, რაც, აგერ უკვე მეცხრე წელია, ვერ დაიჯერა და ვერ გაითავისა. პატარა ბავშვს სათამაშოს რომ წაართმევ და ჭიჭყინებს, სწორედ ისე ჭიჭყინებს სააკაშვილი და ზუსტად ცხრა წელია, სათამაშოდქცეული საქართველოს დაბრუნება უნდა. ასეთი მოპყრობა კი არა, მკვლელობას, გაუპატიურებას „აპრავებდა“ კაცი უცხოელებთან და ადამიანურ მოპყრობას ვერ აკეთილშობილებთ. მას რომ მართლა ისე მოეპყრან, როგორც მისი მმართველობისას ხდებოდა ციხეში, ახლა, შიმშილით მისავათებული კი არა, რამდენიმე დღის დამარხული უნდა იყოს.** ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ სააკაშვილის ტოლფასი საფრთხე რომ ყოფილიყო ნაციონალების მმართველობის პერიოდში და ის ციხემდე მიეყვანათ, არ მოკლავდნენ? არ იყო ასეთი საფრთხე **ზურაბ ჟვანია?** არ ჰქონდა მიშას განცდა, რომ სწორედ ჟვანიას ჩრდილში იყო? უცხოელთა თვალში მაინც და მისი გამოხდომების მოსმენას გაწონასწორებულ ჟვანიასთან საუბარი ერჩივნა ყველას? გამორიცხულია, სახელმწიფოს რამე ეშველოს, სანამ ორმაგი სტანდარტი იქნება. **კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს და, თუ სააკაშვილს ერგება 2 ლეიბი, შეუტანეთ ყველა პატიმარს ორი ლეიბი. თუ სააკაშვილისთვის შეიძლება, ოჯახის წევრების გარდა, მოინახულოს „გელფრენდმა“, შეუშვით ნაშები სხვა პატიმრებთან. სხვა შემთხვევაში, ეს ორმაგი სტანდარტი და მიდგომა უსამართლობის განცდას იწვევს და კიდევ განცდას იმისას, რომ ოპოზიციურ პარტიაზე მიკედლება მომგებიანია, რადგან უკანონობა გეპატიება და, თუ არ გეპატიება, კანონს მოგარგებენ, შეიკრიბება ასი კაცი ციხესთან და მოთხოვნილს მიიღებ.**

**კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს და, თუ სააკაშვილს ერგება 2 ლეიბი, შეუტანეთ ყველა პატიმარს ორი ლეიბი. თუ სააკაშვილისთვის შეიძლება, ოჯახის წევრების გარდა, მოინახულოს «გელფრენდმა», შეუშვით ნაშები პატიმრებთან. სხვა შემთხვევაში, ეს ორმაგი სტანდარტი და მიდგომა უსამართლობის განცდას იწვევს და კიდევ განცდას იმისას, რომ ოპოზიციურ პარტიაზე მიკედლება მომგებიანია, რადგან უკანონობა გეპატიება და, თუ არ გეპატიება, კანონს მოგბარგებენ, შეიკრიბება ასი კაცი ციხესთან და მოთხოვნილს მიიღებ**

იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ რუსთავის ციხესთან აქციებისას გადაკეტილი გზა (ვიწროა და იმიტომ) პრობლემებს უქმნის იქ მცხოვრებთ გადაადგილებაში? იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ციხესთან ახლოს, კოვიდკლინიკის გარდა, გადაუდებელი ოპერაციების განყოფილებაც არის და იქ ხშირად მიჰყავთ პაციენტები? ამ აქციის გამო, თუნდაც ერთ პაციენტს რამე რომ დაემართოს, ვინ არის პასუხისმგებელი? ნაციონალებისთვის ერთი გარდაცვლილით მეტი, ერთით ნაკლები არაფერს წყვეტს, მაგრამ თქვენთვის, ბატონებო, თქვენთვის?!

ვერ გეტყვით, რა მოხდება 14 ოქტომბერს, მაგრამ, **თუ ნაციონალებმა დაინახეს, რომ ხალხის მასა საკმარისია შტურმისთვის (დაგვიჯერეთ, ამის მცდელობა ექნებათ), ფარად ხალხს დაიყენებენ. შემდეგ პოლიცია პროპორციულ ძალას გამოიყენებს, მაგრამ ოპოზიციური ტელევიზიები ამ ყველაფერს სისხლისღვრად მონათლავენ და... დასავლეთი აუცილებლად დაიწყებს საუბარს რიგგარეშე არჩევნებზე. სახელმწიფომ სახელმწიფოებრიობა არ უნდა დათმოს, სხვაგვარად გამწარებული ხალხი გამოვა ქუჩაში და კატასტროფულ პროცესებს ველარავინ შეაჩერებს. მერე ეგებ სააკაშვილის ახლოდან ნახვის სურვილი მისგან გამწარებულებმაც გამოთქვან.**

**თუ ნაციონალებმა დაინახეს, რომ ხალხის მასა საკმარისია შტურმისთვის (დაგვიჯერეთ, ამის მცდელობა ექნებათ), ფარად ხალხს დაიყენებენ. შემდეგ პოლიცია პროპორციულ ძალას გამოიყენებს, მაგრამ ოპოზიციური ტელევიზიები ამ ყველაფერს სისხლისღვრად მონათლავენ და... დასავლეთი აუცილებლად დაიწყებს საუბარს რიგგარეშე არჩევნებზე. სახელმწიფომ სახელმწიფოებრიობა არ უნდა დათმოს, სხვაგვარად გამწარებული ხალხი გამოვა ქუჩაში და კატასტროფულ პროცესებს ველარავინ შეაჩერებს. მერე ეგებ სააკაშვილის ახლოდან ნახვის სურვილი მისგან გამწარებულებმაც გამოთქვან**

**ბესო ბარბაქაძე**

**რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა საქართველოში დაბრუნება მაინცდამაინც ახლა? ის და მისი კურატორები თვლიან, რომ ამის დრო დადგა. იგი დარწმუნებულია, რომ დიდი ხნით არ მოუწევს ციხეში ჯდომა. რამდენიმე თვის წინათ დასავლელი პარტნიორების დაჟინებული მოთხოვნით ციხიდან გაათავისუფლეს ნიკა მელია და გიორგი რურუა. ექს-პრეზიდენტი დარწმუნებულია (ვფიქრობ, გარანტიებიც მიიღო), რომ დასავლეთი არ დაუშვებს, რეგიონში აშშ-ის ინტერესების დამცველი და პოლიტიკის ბრმად გამტარებელი სუბიექტი ციხეში იჯდეს.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას უქადის საქართველოს სააკაშვილის დაბრუნება?

**მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგების თანახმად „ქართულმა ოცნებამ“ ხმათა 46,69% მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 30,7%, ხოლო ყოფილ პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას პარტიამ — 7,8%. ასევე უკვე ცხადია, რომ იმ 64 ქალაქიდან, რომლებშიც მოქალაქეები მერებს ირჩევდნენ, 20-ში ჩატარდება მეორე ტური. მათ შორის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი.**



**სააკაშვილის დაბრუნება გააღრმავებს ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისს. მას ჰყავს სტაბილური ელექტორატი (დაახლოებით 25%), რომელსაც აღაფრთოვანებს მისი დაბრუნება, მათ შეუერთდებიან უკრაინიდან დაბრუნებული მხარდამჭერები, რომლებიც წლების განმავლობაში გვერდით ედგნენ ქვეყნიდან გაქცეულ სააკაშვილს. შედეგად გაიზრდება ანტაგონიზმი საზოგადოებაში. გამორიცხული არ არის, მდგომარეობის დაძაბვის მიზნით მათი მხრიდან სხვადასხვა პროვოკაციის მოწყობა**

უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანია უაღრესად დაძაბული იყო და თითქმის მთელი წლის განმავლობაში სდევდა პოლიტიკური კრიზისი. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებისთვის მზადება თითქმის ერთი წლით ადრე დაიწყეს, ამაზე მეტყველებს მათი მცდელობა, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებინათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე. ამ უკანასკნელმა და კიდევ სხვა პრინციპულმა საკითხებმა, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციური პარტიებისთვის, გამოიწვია პოლიტიკური კრიზისი, რომლის მოსაგვარებლად საჭირო შეიქნა მმართველ პარტიასთან ევროპული საბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელის** შუამდგომლობა. შედეგად ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის **ერთ-ერთი პუნქტი ოპოზიციურ პარტიებს საპარლამენტო არჩევნების ვადაზე ადრე ჩატარების შანსს აძლევდა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია 2 ოქტომბრის არჩევნებში პროპორციული სისტემით მიიღებდა ხმების 43%-ზე ნაკლებს.**

ზემოხსენებულის მისაღწევად და იმისათვის, რომ მმართველ პარტიას ვერ მიეღო შეთანხმებაში აღნიშნული 43%, ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ არჩევნებზე ფართო სპექტრით წარდგნენ. იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებდა 43%-ს, ოპოზიციურ პარტიებს მიეცემოდათ მმართველი პარტიის დისკრედიტაციის იურიდიული და მორალური საფუძველი. არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ ის გამოდიოდა ზემოხსენებული შეთანხმებიდან, რამაც ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მონადირე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პოლიტიკური პარტიები. ისინი მიხვდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ ხელისუფლების ვადაზე ადრე გადაბარებას.

საზოგადოდ, საქართველოში პოლიტიკური სუბიექტების მდგომარეობას ამძიმებს საზოგადოებაში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო გამეფებული დაღლილობა და სრული ნიჰილიზმი. პარტიებს უჭირთ ამომრჩეველთა საარჩევნო ურნებთან მიყვანა. ეს, უწინარესად, განპირობებულია იმით, რომ წლების განმავლობაში ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ შეძლო დაგროვილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა; და მეორე — საზოგადოება საპარლამენტო არჩევნებს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს, ამიტომ თავისი ელექტორატის ორგანიზების მიზნით **„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა სატელიტმა პოლიტიკურმა პარტიებმა გააძლიერეს მმართველი პარტიის კრიტიკა და შექმნეს მაქსიმალურად დაძაბული წინასაარჩევნო გარემო.** ამომრჩეველთა დარაზმვის მიზნით, მმართველმა პარტიამ წარსულის აჩრდილით ამომრჩეველთა დაშინების გზა აირჩია. თუ თბილისის მერობის კანდიდატი **კახა კალაძე** წინასაარჩევნო კამპანიაში საუბრობდა „მიღწეულ შედეგებსა“ და სამომავლო პერსპექტივებზე, პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ტრადიციულ რიტორიკას მიმართა და საზოგადოებას არაერთგზის შეახსენა **მიხეილ სააკაშვილი** და მისი „მიღწევები“. ზემოხსენებული მიუთითებს ქართული პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების დეგრადაციაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ **ბოლო სამ ათწლეულში ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეწყვიტა კრიტიკული აზროვნება. უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემამ შედეგად მოიტანა ის, რომ დიდ ნაწილს უჭირს ინფორმაციის გაანალიზება, პარალელების გავლება, მათთვის უფრო მარტივია ბრალდებებზე აგებული წინასაარჩევნო კამპანიის აღქმა, ვიდრე იმის გაანალიზება, რამ მიგვიყვანა აქამდე. დღევანდელი საზოგადოების დიდ ნაწილს არსებული მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი რომ შეეძლოს, ქართულ მიწაზე ფეხს ვერ დადგამდა თითქმის ვერც ერთი მოქმედი პოლიტიკური პარტია და, რაც მთავარია, მათი კურატორი აშშ.** მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიერ ქართველი საზოგადოების სააკაშვილით დაშინების რიტორიკა გაალვივა თვითონ ექსპრეზიდენტმა და არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, რომ აპირებდა საქართველოში დაბრუნებას. ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ქართველი საზოგადოების სააკაშვილით დაშინებამ რეალური ელფერი შეიძინა.

**რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა საქართველოში დაბრუნება მაინცდამაინც ახლა? ის და მისი კურატორები თვლიან, რომ ამის დრო დადგა. იგი დარწმუნებულია, რომ დიდი ხნით არ მოუწევს ციხეში ჯდომა. რამდენიმე თვის წინათ დასავლელი პარტნიორების დაჟინებული მოთხოვნით ციხიდან გაათავისუფლეს ნიკა მელია და გიორგი რურუა. ექს-პრეზიდენტი დარწმუნებულია (ვფიქრობ, გარანტიებიც მიიღო), რომ დასავლეთი არ დაუშვებს, რეგიონში აშშ-ის ინტერესების დამცველი და პოლიტიკის გამტარებელი სუბიექტი ციხეში იჯდეს.** მეორე — „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან დაბალია. მმართველმა პარტიამ ცხრა წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რათა მთავარი ოპოზიციურ ძალა „ნაციონაური მოძრაობა“ ყოფილიყო. ბოლო წლების საპროტესტო აქციებმა კი აჩვენა, რომ „ნაციონაური მოძრაობის“ არც ერთ ლიდერს არ აქვს ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის საჭირო რაოდენობის მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანის შესაძლებლობა. სააკაშვილი ფიქრობს, რომ თავისი ქარიზმის წყალობით მხოლოდ მას ხელეწიფება ხალხის დარაზმვა და პოლიტიკური ძალაუფლების დაბრუნება. **სააკაშვილს კარგად ახსოვს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელებული ციხის კადრების გავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, ამიტომ ამჯერად გადაწყვიტა, თვითონ გამოეყენებინა მოულოდნელობის ეფექტი და საქართველოში შემოპარვით წინასაარჩევნოდ თავისი ელექტორატი გაამხნევა. ბათუმის ბულვარში გადაღებული ვიდეომიმართვა დიდი მოულოდნელობა იყო ქართველი საზოგადოებისათვის.** „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში უარყოფდნენ ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში ყოფნის ფაქტს და არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ ეს იყო მონტაჟი. დღის ბოლოს კი გაავრცელეს ინფორმაცია და ვიდეომასალა სააკაშვილის დაკავებაზე.

„ქართული ოცნების“ ლიდერებს, რა თქმა უნდა, არ სურდათ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება. მათთვის ხელსაყრელი იყო მისი საზღვარგარეთ ყოფნა და საჭირო დროს ექსპრეზიდენტის შესაძლო დაბრუნებაზე საუბრით ელექტორატის დაშინება. **საქართველოს კურატორები სხვაგვარად ფიქრობენ და, როგორც ჩანს, მოვიდა დრო, როცა სააკაშვილმა უნდა დაიბრუნოს პოლიტიკური ძალაუფლება. მისი მალული დაბრუნებით მოხდა მხარდამჭერების გამხნევება, საზოგადოების განწყობის მოსინჯვა და სამომავლო არჩევნებისათვის ივანიშვილის გუნდის სააკაშვილითა და მისი სატელიტებით ჩანაცვლებისათვის მუშაობის დაწყება.**

საქართველოს კურატორებს არ აინტერესებთ დღეს მათ სამსახურში ჩამდგარი მენეჯერების („ქართული ოცნების“ ლიდერები) არც ინტერესები, არც აზრი. რამდენიმე თვის წინათ მათი დაჟინებული მოთხოვნით გათავისუფლებული მელიასა და რურუას საქმეებმა აჩვენა, რომ კურატორებს არ აინტერესებთ არც ქართული საზოგადოების აზრი და არც ქართული მართლმსაჯულება. ისინი მზად არიან, საკუთარი ინტერესების დასაცავად ციხიდან დაიხსნან ნებისმიერი დონის დამნაშავე.

სააკაშვილის დაბრუნება გააღრმავებს ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისს. მას ჰყავს სტაბილური ელექტორატი (დაახლოებით 25%), რომელსაც აღაფრთოვანებს მისი დაბრუნება, მათ შეუერთდებიან უკრაინიდან დაბრუნებული მხარდამჭერები, რომლებიც წლების განმავლობაში გვერდით ედგნენ ქვეყნიდან გაქცეულ სააკაშვილს. შედეგად გაიზრდება ანტაგონიზმი საზოგადოებაში. გამორიცხული არ არის, მდგომარეობის დაძაბვის მიზნით მათი მხრიდან სხვადასხვა პროვოკაციის მოწყობა.

**„ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც თანაუგრძნობენ სააკაშვილს, შეეცდებიან მათ ხელთ არსებული ყველა ტრიბუნის გამოყენებას, რათა ქართულ მართლმსაჯულებაზე დასავლეთის ზემოქმედებით ციხიდან გაათავისუფლდეს ექსპრეზიდენტი.** მართალია, სააკაშვილის შემოპარვა საქართველოში დაეხმარა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებისათვის ელექტორატის დარაზმვაში, მაგრამ ამასთანავე, გამოიწვია საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება იმის გამო, რომ ადამიანმა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხეში უნდა მჯდარიყო, მოახერხა ქვეყანაში შემოსვლა და რამდენიმე დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებოდა ქვეყანაში. მათ გაუმყარდათ რწმენა, რომ მმართველი პარტია სათანადოდ ვერ აკონტროლებს სახელმწიფო ინსტიტუტებს. რა თქმა უნდა, ოპოზიცია გამოიყენებს აღნიშნულს მმართველი პარტიის დისკრედიტაციის მიზნით, რაც გაზრდის „ქართული ოცნების“ მიმართ საზოგადოების უკმაყოფილებას.

მართლმსაჯულებისა და ქართველი ხალხის ნების თანახმად, ციხეში მჯდომი ექსპრეზიდენტი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების საფუძველი გახდება და, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ მმართველობის დასასრულის დასაწყისად იქცევა.

**საქართველოს კურატორებს არ აინტერესებთ დღეს მათ სამსახურში ჩამდგარი მენეჯერების („ქართული ოცნების“ ლიდერები) არც ინტერესები და არც აზრი. რამდენიმე თვის წინათ მათი დაჟინებული მოთხოვნით გათავისუფლებული მელიასა და რურუას საქმეებმა აჩვენა, რომ კურატორებს არ აინტერესებთ არც ქართველი საზოგადოების აზრი და არც ქართული მართლმსაჯულება. ისინი მზად არიან, საკუთარი ინტერესების დასაცავად ციხიდან დაიხსნან ნებისმიერი დონის დამნაშავე**

**დავით სუხიაშვილი,**
**პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“**

«არაკვალიფიციური სუბიექტები»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავი რომ დავანებოთ ქუჩაში დახვრეტილ ადამიანებს, 25 ათასამდე პატიმარი და 350 ათასზე მეტი პრობაციონერი ჰყავდა იმხანად საქართველოს. ადამიანებს დაავიწყდათ, რა ხდებოდა 2012 წლამდე; დაავიწყდათ ის, რომ ქათმის თუ ჯართის ქურდობისთვის ციხეში ადამიანებს, სულ ცოტა, 7-8 წლით უშვებდნენ, ატერორებდნენ ყველას და ყველაფერს, ნებისმიერ ბიზნესმენს ართმევდნენ ფულს და, თუ არ გადაიხდიდა — მთლიანად ბიზნესს. ცოლ-ქმარი მშვიდად ვერ საუბრობდა ტელეფონზე, ულებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს და შემდეგ აშანტაჟებდნენ. ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს უსასტიკესად არბევდნენ, კლავდნენ, სახურავზე აგდებდნენ.**

# თქვენ «სახელმწიფო მეწველი ძროხა ხომ არ გგონიათ»?!

**თქვენ თუ იცით, რა არის „სახე+“? — ეს არის იმ პოლიტიკური პარტიის დასახელება, რომელმაც 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იყარა კენჭი და საქართველოს მასშტაბით 224 ხმა მოაგროვა. ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ არიან ამ პარტიის დამფუძნებლები ან ის 224 მხარდამჭერი ვინ არის, სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ პარტია „კანონი და სამართალის“ დამფუძნებელი და ლიდერი თაკო ჩარკვიანია. მის პარტიას აღნიშნულ არჩევნებზე საქართველოს მასშტაბით 322 ხმა, ანუ საერთო ხმების რაოდენობის 0,018% ერგო. 1,65% მოაგროვა „ევროპულმა საქართველომ“, რომლის დედ-მამა არიან ცოლ-ქმარი გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი.**




თაკო ჩარკვიანის ორგანიზებული აქცია პარლამენტის წინ

**ამ ხალხს ჩემს ფულს რატომ უხდით? ჰო, ჩემს ფულს, რადგან საპარლამენტო არჩევნებზე, ჩარკვიანის პარტიის გარდა, კიდევ 20-მდე წვრილ-წვრილი პარტია ჰყავდა შეფარებული «ნაციონალურ მოძრაობას», ბარიერი გადაალახვინა, პარლამენტშიც შეათრია და კვალიფიციურ სუბიექტებადაც აქცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ანუ 2024 წლამდე ამ პარტიებს ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფული უნდა ჩაერიცხოს. და ვინ ავსებს ბიუჯეტს? — ჩვენ, რიგითი ადამიანები; და ვის აკლდება ეს ფული? — ისევ ჩვენ, რიგით ადამიანებს. რატომ ვუხდი, მაგალითად, მე ფულს თაკო ჩარკვიანს?**

დავიწყოთ იმით, რომ ბოლო დღეებია, **ბოკერიაც** და **ჩარკვიანიც** გაჰკივიან, — მთელი საქართველო ფეხზე დგას, დედაქალაქისკენ მოემართება, სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთო. ვინ მისცა ამ ორ ადამიანს საქართველოს სახელით საუბრის უფლება? როგორ ბედავენ და აკეთებენ მოწოდებას, როცა მთელმა საქართველომ 2 ოქტომბერს სარკეში ჩაახედა და დაანახვა, რომ ერთი ჯიგრიანი ქორწილის გასამართავად საჭირო ოდენობის მხარდამჭერიც არ ჰყავთ საქართველოში? სირცხვილი გამქრალი რომ აქვთ, გასაგებია, ნამუსზე ხელი რომ აიღეს, ესეც გასაგებია, მაგრამ გვინდა, ხელისუფლებას მივმართოთ: **ამ ხალხს ჩემს ფულს რატომ უხდით? ჰო, ჩემს ფულს, რადგან საპარლამენტო არჩევნებზე, ჩარკვიანის პარტიის გარდა, კიდევ 20-მდე წვრილ-წვრილი პარტია ჰყავდა შეფარებული „ნაციონალურ მოძრაობას“, ბარიერი გადაალახვინა, პარლამენტშიც შეათრია და კვალიფიციურ სუბიექტებადაც აქცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ანუ 2024 წლამდე, ამ პარტიებს ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფული უნდა ჩაერიცხოს. და ვინ ავსებს ბიუჯეტს? ჩვენ, რიგითი ადამიანები; და ვის აკლდება ეს ფული? ისევ ჩვენ, რიგით ადამიანებს. რატომ ვუხდი, მაგალითად, მე ფულს თაკო ჩარკვიანს, რომელსაც არც პათოსში ვეთანხმები და, ზოგადად, მაგაზე მეტი მხარდამჭერი თუ არ მყავდეს საქართველოში,** როგორც **ნოდარ დუმბაძის** „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი ლიმონა დევდარიანი იტყოდა, „ბოზისშვილი ვიყო“. დღევანდელი მდგომარეობით, **თაკო ჩარკვიანის პარტიამ ყოველ მე-11 უბანზე თითო ხმა აიღო, ანუ იყო 3000-ზე მეტი უბანი, რომლებშიც მას ნული ხმა ჰქონდა. ამის მიუხედავად, 4 წლის განმავლობაში კვალიფიციური სუბიექტი ერქმევა და უნდა დავაფინანსოთ, როგორც ის, ისე სხვა პარტიები, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიფარა, შერეკა პარლამენტში (სწორედ რომ შერეკა, რადგან, სანამ თავად არ გადაწყვიტა შესვლა, მანამდე არავინ შევიდა) და ახლა მოსავალს იღებს. ეს პარტიები სააკაშვილის ციხიდან გამოსვლას ითხოვენ და ფურცელზე დასავლეთისთვის ათზე მეტი პარტია ჩანს, თანაც როგორი პარტია — კვალიფიციური სუბიექტი.**

თუმცა, მთავარი სატკივარი ესეც არ არის. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ არჩევნებზე ძალიან ბევრი ხმა მიიღო. ჰო, მარცხის მიუხედავად, ეს ხმა ძალიან ბევრია და ახლავე აგიხსნით, რატომ: **თავი რომ დავანებოთ ქუჩაში დახვრეტილ ადამიანებს, 25 ათასამდე პატიმარი და 350 ათასზე მეტი პრობაციონერი ჰყავდა იმხანად საქართველოს. ადამიანებს დაავიწყდათ (ან კიდევ, უფრო უარესი, ამართლებენ), რა ხდებოდა 2012 წლამდე, დაავიწყდათ ის, რომ ქათმის თუ ჯართის ქურდობისთვის, ციხეში ადამიანებს, სულ ცოტა, 7-8 წლით უშვებდნენ, ატერორებდნენ ყველას და ყველაფერს, ნებისმიერ ბიზნესმენს ართმევდნენ ფულს და, თუ არ გადაიხდიდა — მთლიანად ბიზნესს. ცოლ-ქმარი მშვიდად ვერ საუბრობდა ტელეფონზე, ულებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს და შემდეგ აშანტაჟებდნენ. ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს უსასტიკესად არბევდნენ, კლავდნენ, სახურავზე აგდებდნენ,** ერთი ფრაზის გამო შეეძლოთ, ტერორისტად მოენათლეთ, რუსეთის აგენტის იარლიყის მიწებება ყველაზე მარტივი იყო და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს სამშობლოს ღალატის საფარქვეშ ფუთავდნენ და „აპრავებდნენ“. და ამ ძალას, როგორც გაირკვა, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი უჭერს მხარს და მზად არის, ისევ ხელისუფლებაში დააბრუნოს.

**„ვუსმენ მათ და მეშინია. ოფისში, არც ისე დიდი ხანია, გამოჩდნენ ოდიოზური ფიგურები, ისეთები, როგორებიც ნაცებს გადამალული ჰყავდათ — გივი თარგამაძე, რომელიც ვითომ ევროპული საქართველოს წევრია, აკო მინაშვილი, გოკა გაბაშვილი... ძველი შემადგენლობა იკრიბება და რამდენიმეჯერ გაისმა ფრაზა: ყელს გამოვღადრავთ ამათ, რომ დავბრუნდებით! უკვე მეშინია, ძალიან მეშინია“,** — გვითხრა პიროვნებამ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში მუშაობს.

ჰო, ყელის გამოღადვრა რომ არ ეშლებათ ნაციონალებს, გასაგებია, მაგრამ რისთვის სურს მოსახლეობას მათი დაბრუნება, ეს არის საინტერესო. მიზეზი ერთადერთი შეიძლება იყოს — ხალხი იმაზე მეტად დაიმშა, ვიდრე ოდესმე დამოუკიდებლობის ისტორიაში. არ იყო წყალი, შუქი და ბუნებრივი აირი, მაგრამ იმხანად მოსახლეობას არ შიოდა. პურიც პრობლემა იყო, მაგრამ არ იყო შიმშილი იმ გაგებით, რომ იმხანად ყველა რაღაცას „ჩალიჩობდა“, ეს გზები კი ახლა გადაკეტილია. ახლა აღარავის აქვს „ლევი“ ხაზი, ყველა იხდის კომუნალურებს და საკვებისთვის ფული არ ჰყოფნის. სწორედ ეს არის ერთადერთი (და არა ერთ-ერთი) მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობა მზად არის, კვლავ ეწამოს, იმედი ჰქონდეს, რომ ამჯერად აღარ მიაკითხავენ, რომ სხვებზე გადაივლის ქარტეხილი და თვითონ გადარჩება, სამაგიეროდ, საკვები ექნება.

**უკვე აღარავის ახსოვს 7 ნოემბერი, დღე, რომელიც უნიკალურია დარბევის მასშტაბითა და სისასტიკით. რიყეზე შეკრებილი ადამიანები არც მოძრაობას აფერხებდნენ, არც რომელიმე შენობას ემუქრებოდნენ, უბრალოდ, პროტესტს გამოთქვამდნენ და სწორედ ამ პროტესტის გამო დაისაჯნენ. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, რომელშიც მოჰყვა ყველა, უბრალო გამვლელიც კი, რომელიც უბედობის გამო ცუდ დროს ცუდ ადგილზე აღმოჩნდა. სასტიკად დაარბიეს ყველა, ვისაც კი წაასწრეს და ვისაც ვერა, სადარბაზოებში, მაღაზიებში, აფთიაქებში სდიეს.** ესეც არ გვახსოვს ან, უბრალოდ, არ გვინდა, გავიხსენოთ. არ გვინდა, გავიხსენოთ ჯინსებსა და ნიღბებში გამოწყობილი ადამიანები, რომლებიც ხელჯოხებით სასტიკად უსწორდებოდნენ დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. **როგორ გგონიათ, აღნიშნული სადამსჯელო ოპერაცია ჩატარდებოდა ქვეყნის პირველი პირის გარეშე? — რა თქმა უნდა, არა.** ამ ყველაფრის უპირველესი შემოქმედი, ბრძანების გამცემი სწორედ სააკაშვილი იყო, კაცი, რომლის გათავისუფლებასაც ახლა რამდენიმე ათასი ადამიანი ჯიუტად მოითხოვს.



ისიც შევიტყვეთ, **რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ლიდერს გული დასწყდა, მიშამ რატომ არ გვითხრა, თუ ჩამოდიოდაო. ეს განცხადებაც სასაცილოა. კაცმა ცოლს არ უთხრა, გშორდები, სხვა ქალი მყავსო, ცოლმა ეს სოციალური ქსელით გაიგო და დიდი ამბავი, მისი ჩამოსვლაც სოცქსელში გაეგო პარტიას.** ამ ნაბიჯით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი ქმედებების პროგნოზირება შეუძლებელია და ვარაუდი, რომ თავნებობას აღარ დაანებებენ, რომ პარტიის ახალი თუ ძველი ლიდერები აიძულებენ, დემოკრატი მმართველი იყოს, აბსურდია.

ისევ ერთკაციან პარტიებს დავუბრუნდეთ. **სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პარტიების რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობის წესში შესწორებები შევიდეს. პირველ რიგში, ყველა პარტიამ უნდა წარადგინოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, სულ ცოტა, 1%-ის მხარდამჭერთა სია, რაც, დღევანდელი მდგომარეობით, დაახლოებით 3700 ადამიანია, ანუ პარტიამ უნდა დაამტკიცოს, რომ 3700 კაცი თუ ქალი უჭერს მხარს. უნდა გაუქმდეს წესი, რომელიც ითვალისწინებს პარტიის კვალიფიციურ სუბიექტად აღიარებას საპარლამენტო არჩევნებიდან მეორე საპარლამენტო არჩევნებამდე. ყოველ არჩევნებზე უნდა დაამტკიცოს პარტიამ, რომ ხალხის ნდობა აქვს, მაგრამ, თუ ამ ნდობას კარგავს, უნდა დაკარგოს დაფინანსებაც.** და, საზოგადოდ, ძალიან ცუდი ფორმაა, პარტიები ბიუჯეტიდან რომ ფინანსდებიან. კეთილი ინებეთ, ბატონებო, მოიზიდეთ წევრები, გულანთებული ადამიანები, რომლებიც პარტიის მანდატსაც მიიღებენ და ყოველთვიურ საწევროსაც გადაიხდიან, თვეში, მაგალითად, 5 ლარის ოდენობით. ახლა ვილაც იტყვის, ბევრიაო. ნამდვილად არ არის ბევრი — პოლიტიკური პარტია უნდა შეეცადოს, რომ მისი წევრისთვის ის 5 ლარი ბევრი არ იყოს; ცხოვრების დონემ უნდა აიწიოს, თორემ სხვაგვარად აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ — 322-კაციანი პარტია ბიუჯეტიდან ათიათასობით ლარს იღებს. ზევით ლიმონა დევდარიანი ვახსენე და... თქვენ, ბატონებო, „სახელმწიფო მეწველი ძროხა ხომ არ გგონიათ?!“

**ბესო ბარბაქაძე**

**გამორიცხულია, ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს გაზეთს არ კითხულობდნენ და, სხვა წყაროდან თუ არა, სავარაუდოდ, ჩვენი გაზეთიდან მაინც გაიგებდნენ, რომ პური ძვირდებოდა. ლამის ერთი წელია, გავკივით, რომ ხორბლის ფასი საერთაშორისო ბაზარზე რიგი ფაქტორების გამო მოიმატებდა და პური ეტაპობრივად გაძვირდებოდა.**

პური ჩვენი არსობისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პური (ე.ი. ცხოვრება) გაძვირდა და ახალ წლამდე კიდევ გაძვირდება

**საქართველოს ხელისუფლებას ერთი დიდი პრობლემა აქვს — მუდმივად ცდილობს, პრობლემები კი არ გადაჭრას, არამედ მიაძინოს. ჰო, მიაძინოს, ვითომ არ არსებობს და ეგებ ხალხს დაავიწყდეს კიდეც. ეს ყველაფერი კარგადაც გამოსდით, ერთი შემთხვევის გარდა — პრობლემა პირდაპირ არ უნდა ურტყამდეს ჯიბეს, თორემ ირიბად თუ დაარტყამს, ეგ არაფერი, ამას ხალხი აიტანს. გამორიცხულია, ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს გაზეთს არ კითხულობდნენ და, სხვა წყაროდან თუ არა, სავარაუდოდ, ჩვენი გაზეთიდან მაინც გაიგებდნენ, რომ პური ძვირდებოდა. ლამის ერთი წელია, გავკივით, რომ ხორბლის ფასი საერთაშორისო ბაზარზე რიგი ფაქტორების გამო მოიმატებდა და პური ეტაპობრივად გაძვირდებოდა.**



**ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ერთხელაც არ გამოსულან ტელევიზიით და მოსახლეობისთვის არ აუხსნიათ, რატომ ხდებოდა პანდემიის დროს პურის ფქვილის სუბსიდირება და რატომ გაძვირდებოდა ეს პროდუქტი ზაფხულში. ჰო, წესითა და რიგით, პური სწორედ ზაფხულში უნდა გაძვირებულიყო, მაგრამ ხელისუფლებამ პურის მწარმოებლები დაიბარა და ზოგს სთხოვა, ზოგს კი კატეგორიულად მოსთხოვა, პურის ფასი არჩევნებამდე არ გაეზარდათ. მთავრობაში დარწმუნებული იყვნენ, რომ არჩევნებს, დიდ ქალაქებში მაინც, პირველივე ტურში მოიგებდნენ და პურის გაძვირებას უმტკივნეულოდ გადაიტანდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — ყველა დიდ ქალაქში მეორე ტურია დანიშნული, მწარმოებლებმა კი პური 3 ოქტომბრის დილასვე გააძვირეს**

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ერთხელაც კი არ გამოსულან ტელევიზიით და მოსახლეობისთვის არ აუხსნიათ, რატომ ხდებოდა პანდემიის დროს პურის ფქვილის სუბსიდირება და რატომ გაძვირდებოდა ეს პროდუქტი ზაფხულში. ჰო, წესითა და რიგით, პური სწორედ ზაფხულში უნდა გაძვირებულიყო, მაგრამ ხელისუფლებამ პურის მწარმოებლები დაიბარა და ზოგს სთხოვა, ზოგს კი კატეგორიულად მოსთხოვა, პურის ფასი არჩევნებამდე არ გაეზარდათ. მთავრობაში დარწმუნებული იყვნენ, რომ არჩევნებს, დიდ ქალაქებში მაინც, პირველივე ტურში მოიგებდნენ და პურის გაძვირებას უმტკივნეულოდ გადაიტანდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — ყველა დიდ ქალაქში მეორე ტურია დანიშნული, მწარმოებლებმა კი პური 3 ოქტომბრის დილასვე გააძვირეს.

სამწუხაროდ, ეს არ არის პურის გაძვირების ბოლო ეტაპი. ახალ წლამდე ის კიდევ გაძვირდება და, წინასწარი პროგნოზით, მისი ფასი მომავალი წლის გაზაფხულზეც, ანუ ახალ მოსავლამდეც მოიმატებს. პურის მწარმოებელი ქვეყნები ფართობებს ზრდიან, უფრო მეტი მოსავალი რომ მოიწიონ და ამ მხრივ მოწინავე კვლავ რუსეთია. ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით, ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა აითვისონ ახალი მიწები, რათა ხორბლის უხვი მოსავალი მიიღონ. ის, რომ პურის ფქვილი მთლიანად რუსეთიდან შემოგვაქვს, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ხელისუფლება ამაზეც არ ლაპარაკობს ხშირად, დასავლელ პარტნიორებს ყურში რომ არ მოხვდეთ. არადა, **დანაშაულია ის, რომ მთავრობის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ გაბედა, სატელევიზიო ეთერში დამჯდარიყო და მშვიდად აეხსნა მოქალაქეებისთვის, რა ხდება და რა მოხდება. თუ ინფორმაცია არ აქვთ, ჩვენი გაზეთი გადაიკითხონ, დეტალურად მივყვებით პროცესს, მსოფლიო ბაზრის ამბებს ვეცნობით და ვწერთ.**

სამაგიეროდ, ის ამცნეს მოსახლეობას ამაყად, რომ იანვრიდან პენსიონერებისთვის პენსია 20 ლარით გაიზრდება, თითქოს ამით პროდუქტების გაძვირების კომპენსაცია მოახდინეს. ბატონებო, რომელი პენსიონერებისთვის, ვერაგ ვირუსს ყოველდღიურად ათეულობით რომ მიჰყავს? სიკვდილს რომ მივეჩვიეთ და ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამთ? მიმოიხედეთ ირგვლივ, დღის განმავლობაში რამდენჯერ გესმით: ეს გარდაიცვალა, ის ვერ მოერია ვირუსს... და ამ პირობებში **2022 წლის ბიუჯეტი მილიარდი ლარით შემცირდა და მიზეზი სასაცილოა** — თურმე 2022 წელს პანდემიასთან საბრძოლველად საჭირო 850 მილიონი ლარი ხელისუფლებას აღარ დასჭირდება და ამიტომ ეს თანხა ბიუჯეტში აღარ გაითვალისწინა. **ბოდიში, ბატონებო, მაგრამ მორჩა პანდემია? დავასრულეთ ვირუსთან ბრძოლა და ყოველდღიურად 2500-ზე მეტი შემთხვევა და 30-მდე გარდაცვლილი უბრალო სტატისტიკაა? იმის გამბედაობაც არ გაქვთ, რომ გამოხვიდეთ და თქვათ, რომ პანდემიის გამო რომ უაზროდ გააჩერეთ ყველაფერი, გასულ წელს შემოსავლებმა იკლო, უკეთესის მოლოდინი არც 2022-ში გვაქვს და ამიტომ ბიუჯეტი ლამის მილიარდ ლარამდე შემცირდა — შემოსავლები არ არის. არ არის ეს სირცხვილი, ასეა მსოფლიოში და საქართველო არ და ვერ იქნებოდა გამონაკლისი,** მაგრამ... მაგრამ სხვა ქვეყნის ლიდერებს ეყოთ გამბედაობა და ეს ყველაფერი ხმამაღლა თქვეს, მოსახლეობამაც გაიგო, საქართველოში კი... **3 ოქტომბერს მაღაზიაში შესულ მომხმარებელს პური გაძვირებული დახვდა. ცოდვა გამხელილი სჯობს და რამდენიმე ქსელურმა მაღაზიამ იცოდა, რომ პური გაძვირდებოდა და მომხმარებელთა ნაწილი გააფრთხილა. შედეგად, 2-3 დღის მარაგი ბევრმა აიღო, მაგრამ პური ისეთი რამაა, ბევრს ვერ მოიმარაგებ.**

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, დღევანდელი გადმოსახედიდან ასეა — პურპროდუქტები ისევ გაძვირდება და გაძვირების პარალელურად, ყველა აღიარებს, რომ ხორბლის ბაზარზე რუსეთი მთავარი მოთამაშეთა შორისაა. **ასათვისებელი ტერიტორიების გათვალისწინებით, სულ რაღაც, 2-3 წელიწადში, რუსეთი, შესაძლოა, მსოფლიოში ხორბლის ნომერი პირველი მწარმოებელი ქვეყანა გახდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე ფასებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი დაადგენს. ამიტომაც არის, ევროპის არაერთი ქვეყანა ამ მიმართულებით ურთიერთობის მოგვარებას სწორედ რუსეთთან რომ ცდილობს. ჯანსაღ კონკურენციაში კი, თავისუფალი ტერიტორიების გათვალისწინებით, რუსეთი ყველას აჯობებს.**

მაშინ, როცა ევროპის წამყვანი ქვეყნები რუსეთთან სამომავლო ურთიერთობის მოგვარებას ცდილობენ, საქართველო კვლავ არ აპირებს ჩრდილოელ მეზობელთან საუბარს. უფრო ზუსტად, ამის შესახებ ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ხმამაღლა ვერ საუბრობს იმის შიშით, რომ რუსეთუმეობა არ დასწამონ, სახლთან აქციები არ მოუწყონ და პუტინის მონა არ უძახონ. არადა, მთელი ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება-აწყობას და ჩვენი პრობლემაც ეს ხომ არ არის — ცივილიზებულობა ხომ არ გვაკლია?! ის კიდევ ცალკე თემაა, ყველა ვიგინდარას რომ ცალკეული პერსონების და მთლიანად ხალხის შეურაცხყოფა და ათასნაირი იარლიყის მიკერება საჯაროდ შეუძლია და პასუხის მომთხოვი არავინაა — „ოცნება“ ხომ დემოკრატიული ხელისუფლებაა? მერე, დასავლეთი რას იტყვის? ჰოდა, ბრძანდებოდეთ ეგრე შიშისაგან გასუსულები.

სხვა თემაა ისიც, რომ **რუსეთის მეგობარ ქვეყნებად აღიარებული სახელმწიფოები ხორბალს სპეციალურ ფასში, ანუ იაფად იღებენ და მათზე შეღავათები მომავალშიც გავრცელდება. საუბარია იმაზე, რომ მათთვის ტონა ხორბალი დაახლოებით 100 დოლარი ეღირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი კილოგრამი ფქვილი 30 თეთრით იაფი იქნება, პური — უფრო იაფი.** როგორ გგონიათ, ბატონებო, პური 30 თეთრით რომ გაიაფდეს, მოსახლეობა იტყვის: რუსეთმა დაგვიპყრო და გააძვირეთ სასწრაფოდო? ამ ნაბიჯს არ მოიწონებს და წინააღმდეგი წავა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ამის თქმას ერთი ადგილი სჭირდება, ის ადგილი, რომელიც იმდენი ათამაშა ხელისუფლებამ, რომ 2 ოქტომბრის არჩევნებზე ცოტა დააკლდა, იმ მოთამაშე ადგილში არ აღმოჩენილიყო.

**ხელისუფლებას, ალბათ, ჰყოფნის გონიერება და ხვდება, რომ რუსეთთან პირისპირ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ ახლა პოლიტიკური ვითარება ისეა დაძაბული, რუსეთთან საუბრის სურვილს ოპოზიციაც და დასავლეთიც სათავისოდ დაატრიალებენ, ისედაც არეულ მოსახლეობას უფრო არევენ და, შესაძლოა, თოფიც გავარდეს. დასავლეთი ხვდება, რომ ოპოზიციამ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით ვერ მოახერხა და, სულ ცოტა, 2024 წლამდე ამ რეჟიმში მოუწევთ ურთიერთობა, ამიტომ ახლა ქაოსი და არეულობა რიგგარეშე არჩევნების წინაპირობაა.** დასავლეთს არც 43%-იან ბარიერში ჩაუვიდა ფეხი და, თუ დააკვირდებით, რეფერენდუმად გამოცხადებულ არჩევნებსა და ამ ბარიერს უკვე აღარც ოპოზიცია არ ახსენებს და აღარც დასავლეთი. მიაჩუმეს ეს თემა, იმიტომ, რომ დამარცხდნენ და ახლა ახალი საჭიდაო და საჯილდაო ქვა აქვთ — მიშა და მეორე ტურები.

რატომ და როგორ, ვრცლად სასაუბროა, მაგრამ გეტყვით, რომ მეორე ტურებში ოპოზიცია, ალბათ, ყველგან დამარცხდება. დამარცხდება არა იმიტომ, რომ ხელისუფლებაა ძლიერი. არა, **მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც ხელისუფლებას სილა საპრეზიდენტო არჩევნებზე გააწნა და შემდეგ ძალა აჩვენა, ახლაც ანალოგიურად მოიქცევა, მაგრამ გვეეჭვება, ამ გაწნული სილისგან „ოცნებამ“ რამე ისწავლოს. ყოველ შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნებზე ვერ ისწავლა და ახლაც ამის დიდი იმედი არ გვაქვს.**

მანამდე კი, სანამ მეორე ტური იქნება, სჯობს, ხელისუფლებამ იმაზე იფიქროს, ხალხის მთავარი საკვები პროდუქტი როგორ გააიაფოს. კიდევ ვიმეორებთ: **საამისოდ ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა გასავლელია, რაოდენ ეკლიანიც არ უნდა იყოს და, რაც მთავარია, ეს გზა მარტომ, ყოველგვარი შუამავლების გარეშე უნდა გავიაროთ და მოლაპარაკებების მაგიდასთან მხოლოდ ორი მხარე — საქართველო და რუსეთი უნდა დაჯდეს.** ხომ არ ვამტკიცებთ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ „იბერია გაბრწყინდება“ და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ის მაინც გვეცოდინება, შემდეგ რა გზით ვიაროთ. მაგრამ დასავლეთის მხრიდან სწორედ ამ პროცესის გაჭიანურება და მაქსიმალური ხელის შეშლა გვაფიქრებინებს, რომ ყველაფერი საჩვენოდ უნდა დალაგდეს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. მკითხველს შევახსენებთ, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში მოხნული მიწის ფართობები შემცირდა ხუთჯერ, „ოცნებამ“ ვითარების გასაუმჯობესებლად არაფერი არ გააკეთა და მხოლოდ ორ მლრდ ლარზე მეტი დახარჯა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის საბაბით.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო არქივმა გამოაქვეყნა ახალი მასალა, რომელიც სტალინის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს ეხება. დოკუმენტი ერთი შეხედვით არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ 70 წლის შემდეგ მისთვის გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნა და გამომზეურება ძალიან დამაფიქრებელია. ეს დოკუმენტი ვილაცამ თითქოს შეგნებულად შემოაგდო „პოლიტიკური რეალიზმის“ კორიდაზე.**

# სტალინი — პოლიტიკური რეალიზმის შემოქმედი



**ახლახან გამოქვეყნებულ დოკუმენტში ლაპარაკია 1953 წლის 7 თებერვალს (სტალინის მოწამვლამდე 20 დღით ადრე) სტალინის 40-წუთიან შეხვედრაზე არგენტინის რესპუბლიკის ელჩ ლეოპოლდო ბრავოსთან. როგორც ჩანს, 1953 წლის 7 თებერვალს უკვე გაწერილი იყო გრაფიკი, როგორი თანამიმდევრობით უნდა განხორციელებულიყო ტერორი სტალინზე, მაგრამ ჯერ დავუბრუნდეთ უახლოეს წარსულს — 1980-1990-იან წლებს, როდესაც, როგორც საბჭოთა პრესა და ტელევიზია, ისე მსოფლიო მასმედია, ავრცელებდნენ ინფორმაციას სტალინის შრომისუუნარობის შესახებ, მის ეჭვიან ხასიათზე, ჭირვეულობასა და შიზოფრენიაზეც კი**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-35, 2021 წ.

მკითხველი უნდა დარწმუნდეს ჩემს გულწრფელობაში და დამეთანხმოს, რომ სტალინის ფენომენის კვლევა არ არის რიგითი ისტორიული პიროვნების ბიოგრაფიის კვლევა; მასში უამრავია საკრალური, ზეადამიანური, კოსმოსური თუ სხვა გამოვლინებები, რომლებსაც ჩვეულებრივი საზომით ვერ მიუდგები ადამიანი. ამიტომ შეიძლება თამამად განვაცხადო: **სტალინზე ყველას თავისი ვირტუალური წარმოდგენა აქვს — კარგიც და ცუდიც. მოსაბეზრებელი იქნებოდა სტალინზე ამდენი ხოტბა-დიდებისა და ქების მოსმენა, მას რომ არ სდევდეს სიბნელე და ამოუცნობი ატმოსფერო. სტალინი თავისი არსით ბუნებაა და, როგორც ბუნების ყველა მოვლენის ახსნა ჯერ კიდევ არ შეუძლია ადამიანს, ისე სტალინის ფენომენის ცოდნაზეც არ უნდა გვქონდეს პრეტენზია. უფლის იმედად, წვეთ-წვეთად კიდევ მოწანწკარებს მირონი, რომელიც ნათელს ჰფენს და სურნელს აფრქვევს უკვდავის უკვდავებას** (თუ ასე თქმა შეიძლება — გრ. ონიანი).

ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო არქივმა გამოაქვეყნა ახალი მასალა, რომელიც სტალინის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს ეხება. დოკუმენტი ერთი შეხედვით არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ 70 წლის შემდეგ მისთვის გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნა და გამომზეურება ძალიან დამაფიქრებელია. ეს დოკუმენტი ვილაცამ თითქოს შეგნებულად შემოაგდო „პოლიტიკური რეალიზმის“ კორიდაზე.

**ახლახან გამოქვეყნებულ დოკუმენტში ლაპარაკია 1953 წლის 7 თებერვალს (სტალინის მოწამვლამდე 20 დღით ადრე) სტალინის 40-წუთიან შეხვედრაზე არგენტინის რესპუბლიკის ელჩ ლეოპოლდო ბრავოსთან. როგორც ჩანს, 1953 წლის 7 თებერვალს უკვე გაწერილი იყო გრაფიკი, როგორი თანამიმდევრობით უნდა განხორციელებულიყო ტერორი სტალინზე, მაგრამ ჯერ დავუბრუნდეთ უახლოეს წარსულს — 1980-1990-იან წლებს, როდესაც, როგორც საბჭოთა პრესა და ტელევიზია, ისე მსოფლიო მასმედია, ავრცელებდნენ ინფორმაციას სტალინის შრომისუუნარობის შესახებ, მის ეჭვიან ხასიათზე, ჭირვეულობასა და შიზოფრენიაზეც კი.**

სწორედ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტია 1952 წელს **ალექსანდრე შელეპინის** სტალინთან შეხვდრის სცენის აღწერა. გაზეთ „პრავდის“ მიმომხილველმა **ვალერი ბოლდინმა** ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივან **ალექსანდრე შელეპინს** და დაწვრილებით მოაყოლა, როგორ მოხდა მისი წარდგენა. აი ამონარიდი ამ ინტერვიუდან, რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა:

„...ბოლოს მალენკოვმა მიმიღო და მესაუბრა, მან მოკლედ მითხრა:

— იცოდე, მას თითქმის არ ესმის (ამას სიტყვასიტყვით ვიმეორებ), ამიტომ ელაპარაკე ხმამაღლა, ყვირილითაც კი. მეორეც, როცა მის კაბინეტში შეხვალთ... იცი, სად არის მისი კაბინეტი?

— დიახ, ვიცი.

— ხელში არაფერი გეჭიროს, არც საქაღალდე, არც არაფერი.

შემდეგ დაახლოებით ერთ კვირას ველოდი. დამირეკა **პოსკრებიშევმა** და მითხრა:

— წამოდი.

სტალინის კაბინეტი მეორე სართულზე იყო. მივედი. სულს ძლივს ვითქვამდი, ალკკ ცკდან გავრბოდი. ვიფიქრე, დავჯდები, სულს მოვითქვამ-მეთქი, მაგრამ პოსკრებიშევმა მაშინვე მითხრა, რომ შევსულიყავი.

კარი შევაღე. შევედი. ვყვირი:

— გამარჯობა, ამხანაგო სტალინ.

ის თავდახრილია და დუმს. ახლოს მივედი და კვლავ ვუყვირი:

— გამარჯობა, ამხანაგო სტალინ.

შემომხედა, მობრუნდა და თითით მაჩვენა დაჯექიო. დავჯექი. დავიწყე მოხსენება, ავდექი. მან ხელით მანიშნა იჯექიო. დაახლოებით 5-7 წუთში მოვახსენე საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის შესახებ. მომისმინა. არაფერს მეკითხებოდა, მხოლოდ მითხრა: — თქვენ უნდა გახდეთ საერთო საკავშირო სლავური კომიტეტის წევრი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. ვეუბნები:

— კარგი, ამხანაგო სტალინ.

ბოლოს აქცენტით დაასრულა:

— გმადლობთ!

ავდექი და წავედი.

— ნახვამდის, ამხანაგო სტალინ.

მან არ მიპასუხა. ეს იყო ჩვენი ერთადერთი შეხედრა“.

ახლა კი, მკითხველო, გავიხსენებ გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის, **დიმიტრი შეპილოვის,** სტალინთან სამსაათიან შეხვედრას, რომელიც 1952 წელს გაიმართა:

„...სტალინმა მოულოდნელად მკითხა:

— როდესაც სამეცნიერო სტატიებს წერთ, სტენოგრაფისტს იყენებთ?

ვუპასუხე, რომ არა.

— რატომ? — მკითხა სტალინმა.

— წერის პროცესში ვალაგებ აზრს და ვასწორებ შეცდომებს, ამიტომ არ ვიყენებ სტენოგრაფისტს.

— მეც არასდროს გამომიყენებია სტენოგრაფისტი. როდესაც ჩემ გარშემო ვინმე ფუსფუსებს, არ შემიძლია მუშაობა“.

ახლა კი მკითხველმა თვითონ განსაზღვროს სტალინის შრომისუნარიანობა ორი უმაღლესი თანამდებობის პირის — შელეპინისა და შეპილოვის — მონათხრობით ობიექტურობისა და არაობიექტურობის პრიზმაში.

1953 წლის 7 თებერვალს (ბოლდინ-შელეპინის ზემოხსენებული ბოდვიდან ერთი წლის შემდეგ) სტალინმა მიიღო არგენტინის რესპუბლიკის ელჩი, რომელთანაც 40 წუთის განმავლობაში ისაუბრა. საუბრის ჩანაწერს აკეთებდა საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი **ანდრეი ვიშინსკი.** საეჭვოა, რომ ამ შეხვედრაზე მხოლოდ გაკვრით დაიწერა გაზეთ „პრავდაში“ და სხვა არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა. აი, სწორედ **ახლა, სტალინის გარდაცვალებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, საზოგადოებისათვის ნათელი ხდება, რომ, თურმე, „მომაკვდავი“ სტალინი 40 წუთის განმავლობაში ესაუბრა არგენტინის ელჩს, რომელიც გაოცებული იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის იუმორითა და სასიამოვნო საუბრით. აქ აღსანიშნავია ის, რომ ელჩი ბრავო სტალინთან პოსკრებიშევმა შეიყვანა, ხოლო საუბრის დასასრულს პოსკრებიშევი არც თანამდებობაზე აღარ იყო და არც თავის სავარძელში.** კრემლიდან სტუმარი სტალინის ახალმა თანაშემწე **ტოლსტუხამ** გააცილა (სტალინის უახლოეს გარემოცვაში ასევე აღარ იყო მისი ცოცხალი ფარი **ვლასიკი**). სტალინის სულიერი მოძღვარი, უერთგულესი და უკეთილშობილესი პოსკრებიშევი ბოროტმა ხელმა გასტაცა ბელადს. ტვინით სავსე თავი და მშრომელი კაცისთვის სისხლის წვეთ-წვეთად გამღები კაცი მხოლოდ შიშველი ხელებით შეატოვეს საერთაშორისო სიონიზმს და კრემლის მგლების ხროვას. **კაცზე დიდისა და ღმერთზე ნაკლები არსების ანდერძი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მისი სიკვდილისთანავე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და ყველა ნივთთან ერთად აგარაკის ტერიტორიიდან ოფიციალურად გაიტანეს უცნობ ადგილას. სტალინის ნივთები და ხელნაწერი დოკუმენტების ნაწილი მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დაუბრუნდა თავის ადგილსამყოფელს.** გაგაცნობთ ანდერძის ტექსტს, რომელზეც პრინციპულად ვაცხადებ, რომ სტალინის ხელით არის დაწერილი და ნამდვილად არსებობდა. უფლის შემწეობით, ისევე როგორც ბრავოსთან საუბარი (რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ), სტალინის ხელით შექმნილი ასი უკვდავი დოკუმენტიც იხილავს დღის სინათლეს.

ანდერძი:

**„ჩემი გარდაცვალების შემდეგ ბევრ ნაგავს მოაყრიან ჩემს საფლავს, მაგრამ დრო თვითონ გაფანტავს მას. მე არასოდეს ვყოფილვარ ნამდვილი რევოლუციონერი, მთელი ჩემი ცხოვრება არის ბრძოლა სიონიზმის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება ებრაული ბურჟუაზიის ბატონობისა... ამის მისაღწევად მათ სჭირდებათ საბჭოთა კავშირის განადგურება, განადგურება რუსეთისა, რწმენის, რუსი ხალხის გაურკვეველი წარმომავლობის კოსმოპოლიტებად გადაქცევა. მხოლოდ იმპერიას შეუძლია გაუწიოს წინააღმდეგობა მათ გეგმებს. არ იარსებებს რუსეთი, არ იარსებებს სამყარო, ის დაიღუპება... კმარა უტოპია. შეუძლებელია მონარქიაზე უკეთესი რამის მოფიქრება და არც არის საჭირო. მე ყოველთვის მხიბლავდა რუსი მეფეების გენიალურობა და სიდიადე. ერთპიროვნულ მმართველობას ჩვენ ვერ გავექცევით, მაგრამ დიქტატორი ავტოკრატმა უნდა შეცვალოს. როცა ამის დრო მოვა. ერთადერთი ადგილი დედამიწაზე, სადაც ერთად ყოფნა არის შესაძლებელი, არის რუსეთი. რეფორმები გარდაუვალია, მაგრამ თავის დროზე. რეგორმები უნდა იყოს ტრადიციებზე დაფუძნებული, ორგანული, ევოლუციური, მართლმადიდებლური ცნობიერების თანდათანობითი აღდგენით. მისი ფუძე რეალიზმი და საღი აზროვნებაა. მე მარტო ვარ. რუსეთი კოლოსალური ქვეყანაა და ირგვლივ არც ერთი ღირსეული ადამიანი არ არის... ძველი თაობა სიონიზმით არის მოწამლული და იმედი მხოლოდ ჩვენს ახალგაზრდებზეა. დადგა დრო, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისა ინტერნაციონალის წინააღმდეგ და მხოლოდ ახალ რუსულ ორდენს შეუძლია წარმართოს იგი, რომლის შექმნა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. დაიმახსოვრეთ: მსოფლიოს არ სჭირდება ძლიერი რუსეთი, ჩვენ არავინ დაგვეხმარება, ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს. მე გავაკეთე ის, რაც შემეძლო, ვიმედოვნებ, რომ თქვენ გააკეთებთ უფრო მეტს და უფრო უკეთ. იყავით ღირსეულნი ჩვენი დიდი წინაპრების ხსოვნისა“.**

როგორც ჩანს, **მოლოტოვმა** მხოლოდ პირველი ფრაზა შემოუნახა კაცობრიობას ბელადის სიკვდილის შემდგომ მოვლენებზე. დანარჩენის გასაჯაროება კი იმხანად, ალბათ, ნაადრევი იყო. ეს წინასწარმეტყველება სტალინს 1953 წლის იანვარში არ მოსვლია თავში. სტალინის ეს აზრი უფრო ვრცლად 1939 წელს შვეიცარიაში სსრ კავშირის ელჩმა **ალექსანდრა კოლონტაიმ** ჩაიწერა. მრავალი მკვლევარის აზრთა შეჯერებით, ეს ჩანაწერი თვითმხილველის (მოლოტოვი) დამოწმებით, მწერალმა **კარპოვმა** შეიტანა თავის გენიალურ წიგნში „გენერალისიმუსი“. ანდერძში გადმოცემულმა აზრმა ისე გააოცა მეცნიერები და პოლიტიკური სამყარო, რომ მის ნამდვილობაზე ეჭვიც კი შეეპარათ, მაგრამ **მრავალწახნაგოვან ბრილიანტს ადვილად გამოარჩევ ლორების მიერ დაღრღნილი სიმინ-** ▶

**სტალინზე ყველას თავისი წარმოდგენა აქვს — კარგიც და ცუდიც. მოსაბეზრებელი იქნებოდა სტალინზე ამდენი ხოტბა-დიდებისა და ქების მოსმენა, მას რომ არ სდევდეს სიბნელე და ამოუცნობი ატმოსფერო. სტალინი თავისი არსით ბუნებაა და, როგორც ბუნების ყველა მოვლენის ახსნა ჯერ კიდევ არ შეუძლია ადამიანს, ისე სტალინის ფენომენის ცოდნაზეც არ უნდა გვქონდეს პრეტენზია, მაგრამ უფლის იმედად, წვეთ-წვეთად კიდევ მოწანწკარებს მირონი, რომელიც ნათელს ჰფენს და სურნელს აფრქვევს უკვდავის უკვდავებას.**

გრიგოლ ორიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახლა, სტალინის გარდაცვალებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, საზოგადოებისათვის ნათელი ხდება, რომ, თურმე, «მომაკვდავი» სტალინი 40 წუთის განმავლობაში ესაუბრა არგენტინის ელჩს, რომელიც გაოცებული იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის იუმორითა და სასიამოვნო საუბრით. აქ აღსანიშნავია ის, რომ ელჩი ბრავო სტალინთან პოსკრებიშევმა შეიყვანა, ხოლო საუბრის დასასრულს პოსკრებიშევი არც თანამდებობაზე აღარ იყო და არც თავის სავარძელში

**◀ დის ფუჩეჩიდან. ასე რომ, სტალინის ანდერძი წარმოადგენს საუკუნეების მიღმა დანახულ პოლიტიკური რეალიზმს, რომელიც დედამიწაზე არც ერთ სულიერს არ შეეძლო ეგრძნო და გაეთვალა ასეთი სიზუსტით.**

ახლა კი გთავაზობთ არგენტინის ელჩ ბრავოსა და სტალინის საუბარს, რომელსაც პირველად გაეცნობა მკითხველი.

**„საუბარი არგენტინის ელჩ ლეოპოლდო ბრავოსთან 1953 წლის 7 თებერვალი**

**სტალინი:** — რამდენი ხანია, არ ყოფილხართ საბჭოთა კავშირში და შეიცვალა თუ არა მოსკოვი ამ ხნის განმავლობაში?

**ბრავო:** — ოთხი წელია, არ ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში და ძალიან დიდი ცვლილებები შეიმჩნევა მოსკოვში. გრანდიოზული მშენებლობები მიმდინარეობს. არგენტინის პრეზიდენტმა **პერონმა** დამავალა, გადმოგცეთ გულწრფელი სალამი და სურვილი გააძლიეროს კავშირი საბჭოთა კავშირთან, კერძოდ, განავითაროს სავაჭრო ურთიერთობები.

**სტალინი:** — ამაზე ჩვენი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ იქნება. რისი ყიდვა სურს არგენტინას საბჭოთა კავშირისგან და რას შესთავაზებს საბჭოთა კავშირს?

**ბრავო:** — არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა კავშირის ელჩ **რეზანოვს** გადასცა მემორანდუმი, რომელიც შეიცავს საქონლის იმ ჩამონათვალს, რომელიც არგენტინას სურს, შეიძინოს საბჭოთა კავშირისგან, ასევე საქონლის ჩამონათვალი, რომელიც არგენტინას შეუძლია მიაწოდოს საბჭოთა კავშირს. უპირველეს ყოვლისა, არგენტინას სურს, საბჭოთა კავშირისგან შეიძინოს საბურღი აღჭურვილობები ნავთობის ინდუსტრიისთვის და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ ტყავი, ბამბა, მცენარეული ზეთი და სხვა საქონელი.

**სტალინი:** — საბჭოთა მთავრობა განიხილავს ამ წინადადებას. საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია არგენტინასთან სავაჭრო ურთიერთობით.

**ბრავო:** — ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული ვიყავი საბჭოთა კავშირით. ვკითხულობდი წიგნებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ამრიგად, ჩემი პირადი ინტერესია საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობები. აღტაცებული ვარ საბჭოთა კავშირში განხორციელებული გრანდიოზული მშენებლობებით და საბჭოთა კავშირის მიერ ინდუსტრიალიზაციის სფეროში მიღწეული ბრწყინვალე წარმატებებით.

**სტალინი:** — ნების გარეშე შეუძლებელია აშენებინო და აკეთებინო ადამიანებს. საბჭოთა ხალხს თავად უნდა შენება და სწორედ ეს უწყობს ხელს მშენებლობას.

**ბრავო:** — არგენტინის პრეზიდენტმა პერონმაც წამოიწყო მოძრაობა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

**სტალინი:** — და განა არგენტინა არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა ამჟამად?

**ბრავო:** — არგენტინა დამოუკიდებელია, მაგრამ ადრე ქვეყანაში არსებობდა ბევრი უცხოური იმპერიალისტური



ლეოპოლდო ბრავო ქართულ ჩოხაში



Leopoldo Bravo, último argentino en ver con vida a Joseph Stalin

სტატიის სათაური: ლეოპოლდო ბრავო, ბოლო არგენტინელი, რომელმაც სტალინი ცოცხალი ნახა

მონოპოლია, რომელიც დომინირებდა არგენტინის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორზე. პრეზიდენტმა პერონმა წამოიწყო კამპანია უცხოური საწარმოების ნაციონალიზაციისა და უკვე მოახერხა ზოგიერთი მათგანის ნაციონალიზაცია; კერძოდ, რკინიგზის, პორტების, ელექტრომრეწველობის, ურბანული ტრანსპორტისა და ხორცის წარმოების. ის აცხადებს, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს თავისუფლება.

**სტალინი: — გეთანხმებით. ამერიკელებმა კარგად იციან, ვინც ქვეყნის ეკონომიკას ფლობს, ის ასევე ფლობს მის დამოუკიდებლობას. არგენტინისთვის კარგი იქნება, თუ მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა თანდათან რეალური იქნება.**

**ბრავო:** — ზუსტად ამას აკეთებენ პრეზიდენტი **ხუან პერონი** და მისი მხარდამჭერები, ცდილობენ მოიპოვონ ეკონომიკური დამოუკიდებლობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად. არგენტინას სურს საბჭოთა კავშირთან კულტურული კავშირის გაძლიერება, ასევე გაძლიერება სპორტის სახეობებში.

**სტალინი:** — მივესალმები ამ წინადადებას. რა დონეზეა განვითარებული ამჟამად სპორტი არგენტინაში?

**ბრავო:** — არგენტინაში ფეხბურთი საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ არგენტინის საფეხბურთო გუნდის ჩამოსვლით საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო გუნდის ჩასვლით არგენტინაში.

**სტალინი:** — ამ საკითხის განხილვა შესაძლებელია. რომელი ენაა არგენტინის სახელმწიფო ენა, ესპანური?

**ბრავო:** — დიახ, არგენტინაში ოფიციალურ ენად გამოცხადებულია ესპანური.

**სტალინი:** — როგორც მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ ბრამუგლია იყო არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი. კავკასიაში არის ორი სოფელი, რომლებსაც ბრამუგლია ეწოდება.

**ბრავო:** — დიახ, ბრამუგლია მართლაც იყო არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი. იგი ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორია.

**სტალინი:** — ესპანეთის ომის დროს ესპანეთის ელჩი მოსკოვში პასკუა იყო და ეს გვარი ასევე ხშირად გვხვდება კავკასიაში, რაც კავკასიასა და ესპანეთში მცხოვრები ხალხების ენობრივ მსგავსებაზე მიუთითებს.

**ბრავო:** — გეთანხმებით და, სხვათა შორის, ამ ზაფხულს ვაპირებ კავკასიის მონახულებას, რადგან კავკასიის ხალხების ადათ-წესები ახლოს არის ჩემი ქვეყნის ხალხის ადათ-წესებთან.

**სტალინი:** — ძველად კავკასიის მთებს ბევრმა ხალხმა შეაფარა თავი მტრებისგან დევნისას. კავკასიას აქამდე შემორჩა ბასკების, სარმატების, ავარების ნაშთები... აგრეთვე, იმ ხალხთა ნაშთები, რომლებიც გაქრნენ. შესაბამისად, ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, კავკასია დიდად საინტერესო ადგილია და მეცნიერი, რომელიც დაიწყებდა კავკასიის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესწავლას, აღმოაჩენდა ბევრ საინტერესო რამეს. მაგალითად, დაღესტანში, ერთმანეთთან ახლოს მდებარე 3-4 ხეობაში ცხოვრობენ ხალხები, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა ენაზე და მათ არ ესმით ერთმანეთის ენა... ნავთობი თუ არის არგენტინაში?

**ბრავო:** — ნავთობი არის, მაგრამ არ არის საკმარისი საბურღი აღჭურვილობა ნავთობის მოსაპოვებლად.

**სტალინი:** — სპეციალისტები გყავთ ნავთობის წარმოებისათვის?

**ბრავო:** — სპეციალისტები არიან. ნავთობის ინდუსტრია არგენტინაში ნაციონალიზებულია, სახელმწიფოს ეკუთვნის.

**სტალინი:** — კარგია, ეს ძალიან კარგია.

**ბრავო:** — ჩემი შემდგომი განცხადება არაოფიციალურია. რამდენიმე წლის წინათ არგენტინული ხორცი ინგლისს უფასოდ გაჰქონდა, ვინაიდან ხორცის წარმოება, რკინიგზა და ფლოტი ინგლისის საკუთრებაში იყო; უფრო მეტიც, არგენტინა თვითონ იხდიდა გადასახადს ინგლისში ხორცის ექსპორტისთვის. ეს აღარ მოხდება, ვინაიდან რკინიგზა, პორტები და ხორცის წარმოება ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაა; მაგრამ არგენტინა განიცდის ვაგონებისა და სარკინიგზო აღჭურვილობის დეფიციტს.

**სტალინი:** — არგენტინისთვის გვექნება ვაგონებიც და მანქანებიც.

**ბრავო:** — გმადლობთ!

**სტალინი:** — გთხოვთ, მადლობა გადასცეთ არგენტინის პრეზიდენტს. წარმატებას ვუსურვებ არგენტინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

**ბრავო:** — გულთბილი მადლობა და არ დავაყოვნებ პერონის ინფორმირებას.

**სტალინი:** — ანგლოსაქსებს უყვართ სხვის ზურგზე მოკალათება და ეს უნდა დასრულდეს.

**ბრავო:** — ამჟამად მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების გამო ინგლისი ვერ ბედავს უცხო ქვეყნებში შეჭრას.

**სტალინი:** — არის რეგიონები, რომლებშიც ინგლისი შეიჭრება — მალაიზია, აფრიკა და სხვა ადგილები. ბრიტანეთის ინტერესები ასევე ძლიერია ბელგიასა და ჰოლანდიაში. ჯერ კიდევ არის ადგილები, რომელთა ძარცვაც ინგლისს ჯერჯერობით კიდევ შეუძლია, მაგრამ მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდება.

**ბრავო:** — ვიმედოვნებ, რომ მალე ასეთი ადგილები საერთოდ აღარ დარჩება.

**სტალინი:** — ყველა ერს, თუნდაც მცირერიცხოვანს, სურს, იცხოვროს თავისი ცხოვრებით.

**ბრავო:** — სრულიად გეთანხმებით. ყველა ერს აქვს ამის სურვილი.

**სტალინი:** — კარგი იქნება, ლათინური ამერიკის ქვეყნები რომ გაერთიანდნენ. სასურველია, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების შეერთება შტატებად ან რაღაც მსგავსი სახელით. აუცილებელია ლათინური ამერიკის ქვეყნების ალიანსის შექმნა საერთო მიზნებისათვის, მაგალითად, ეკონომიკური მშენებლობისთვის და არა მხოლოდ წინააღმდეგობისთვის გაერთიანება. როგორ ფიქრობთ, ექნებათ ლათინური ამერიკის ქვეყნებს ასეთი ალიანსის შექმნის სურვილი?

**ბრავო:** — ლათინური ამერიკის ქვეყნებში თითქოს არის ასეთი სურვილი, მაგრამ, როგორც კი რომელიმე ქვეყანა იწყებს ბრძოლას ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, შეერთებული შტატები იწყებს მტრულ კამპანიას პრესაში ამ ქვეყნის წინააღმდეგ და ცდილობს, დაადანაშაულოს იგი კომუნიზმის ერთგულებასა და საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულებაში.

**სტალინი:** — ეს შეერთებული შტატების ლიდერთა გონებრივ სიღარიბეზე მიუთითებს, რომლებსაც ბევრი ფული აქვთ, მაგრამ თავში ცოტა რამ უდევთ. ამერიკის პრეზიდენტებს, როგორც წესი, არ უყვართ ფიქრი და ამჯობინებენ, დაეყრდნონ თავიანთ „გონიერ კავშირებს“. სწამთ, რადგან აქვთ ფული, არ სჭირდებათ ინტელექტი... კიდევ **რამე საკითხი გაქვთ განსახილველი?**

**ბრავო:** — სხვა საკითხები აღარ მაქვს განსახილველი, მაგრამ მსურს, განვაცხადო: **განვიცდი დიდ სიამაყეს და მადლიერებას იმის გამო, რომ მომეცა საშუალება, პირადად გამოვხატო ჩემი პატივისცემა გენერალისიმუს სტალინისადმი, და ამ ვიზიტისგან მიღებული შთაბეჭდილება სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. მოხარული ვარ ჯანმრთელი, ხალისიანი და კეთილგანწყობილი გენერალისიმუსის ხილვით.**

**სტალინი:** — რამ გამოიწვია ასეთი სიხარული? რა სარგებლობა მოვუტანე არგენტინას?

**ბრავო:** — ჩემი სიხარული გამოიწვია თქვენთან შეხვედრამ, იმან, რომ სტალინი არის ადამიანი, რომელზეც ლაპარაკობენ მსოფლიოში. სტალინი არის ადამიანი, რომელიც ყველას აინტერესებს.

**სტალინი:** — თქვენ აშკარად აჭარბებთ.

**ბრავო:** — ჩემი ყველა სიტყვა გულიდან მოდის.

**სტალინი:** — ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ხალხი, საზოგადოდ, აზვიადებს ჩემს როლს. ერთი შემაქებს, მეორე აიტაცებს და ასე იწყება ქება. ზოგი მაქებს, ზოგიც მაძაგებს. მაგალითად, **ჩერჩილი** (იცინის).

**ბრავო:** — კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მონიჭებული პატივისთვის და ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი და ვესაუბრე გენერალისიმუსს.

საუბარი ჩაიწერეს ამხანაგმა ვიშინსკიმ და ამხანაგმა კოლოსოვსკიმ“.

**P.S. ამ შეხვედრის პოსტკრიპტუმი იყო არგენტინის ელჩის თხოვნა პირად საკითხზე. ლეოპოლდო ბრავომ გენერალისიმუსს სთხოვა, გაეთავისუფლებინა მისი საცოლე რუმინელთა ტყვეობიდან. აი, ტექსტი: „თქვენო აღმატებულებავ, გენერალისიმუს სტალინ, როგორც არგენტინისა და რუმინეთის მეგობარს, მოგმართავთ თხოვნით, რათა ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასისტენტმა მარგარიტა იოანა სტამატიადმა მიიღოს მოსკოვში ჩამოსვლის საშუალება, ვინაიდან მსურს დაქორწინება მასზე. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიშუამდგომლოთ და გადადგათ ქმედითი ნაბიჯები რუმინეთის მთავრობასთან, ამ გოგონას შესაბამისი პასპორტი რომ გადაეცეს. თქვენო აღმატებულებავ, მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები დახმარებისთვის. ლეონარდო ბრავო“. სტალინის რეზოლუცია ბრავოს თხოვნაზე: „დაეხმაროს საგარეო საქმეთა სამინისტრო 20.02.53.წ.“**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ჩაკუჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„წნეხი ყოველთვის იქნება და იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც შენი პოლიტიკაა არასახელმწიფოებრივი, მაგრამ ხელისუფლება, თუ ის მართლა სახელმწიფოებრივი პრინციპებით მოქმედი ხელისუფლებაა, ვალდებულია, ამ წნეხს გაუძლოს და იმოქმედოს არა სხვისი ინტერესების გათვალისწინებით, არამედ საკუთარით. აი, ეს არის დღეს ქართულ პოლიტიკაში დასამკვიდრებელი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს სხვის დაკრულზე ცეკვის მავნე პრაქტიკა“.



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# რუსულ-ქართული ურთიერთობების დათბობის ჩაშლა ამერიკელებს სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აქვთ აყვანილი

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის მიერ 3+3 ფორმატში ქვეყნის ჩართულობაზე გაკეთებული განცხადების გარშემო ატეხილი ლიბერალური ისტერიკა გრძელდება. კრიტიკა ისმის არა მხოლოდ უწყების ხელმძღვანელის, არამედ მთლიანად მმართველი გუნდის მიმართ. „ბრალდებები“ უცვლელია — „რუსეთის მონა“, „აგენტი“ და „მოღალატე...“ პროპაგანდისტები ბრძოლის მეთოდებს არ ცვლიან და საზოგადოების დაბრმავებასთან ერთად ხელისუფლების პოლიტიკურ ჩაგვრასაც („ბულინგს“) ნაცადი ხერხებით განაგრძობენ.**

ზალკალიანმა, მართალია, მოგვიანებით თავი იმართლა და თავისი განცხადების გამო განმარტებებიც გააკეთა, მაგრამ ლიბერალური პროპაგანდის ყბაში ჩავარდნილ მინისტრს ამით მაინც არაფერი ეშველა. ქართულ დემოკრატიაზე „გულდათუთქულმა“ ე.წ. პროდასავლურმა ოპოზიციამ საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას ქვეყნის „ისტორიული არჩევანის“, ანუ პროდასავლური კურსის უარყოფისა და ამ კურსიდან გადახვევის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინება უწოდა, რომელიც, მათივე შეფასებით, საგანგაშო და დასაგმობია... ხელისუფლება 3+3-ზე აწი, ალბათ, ხმის ამოღებასაც ველარ გაბედავს, მაგრამ რეალობა უცვლელია: რეგიონის ხუთი ქვეყანა — **რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი** და **აზერბაიჯანი** — ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის გარკვეული დღის წესრიგის დამყარებაზე იმსჯელებს, საქართველო კი განაგრძობს „სწრაფვას ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ“, რითაც თავს ისევ პოლიტიკურ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებს. უფრო ზუსტად, საქართველო თავს ისევ ლიბერალური დასავლეთის იმედად ტოვებს, იმ დასავლეთის, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთს ეხვეწება, კარს მომდგარი ზამთრის წინ ბუნებრივი აირი ძალიან არ გაუძვიროს. მეტიც, საქართველო თავს ისევ იმ ოკეანისგაღმელი „მეგობრების“ იმედად ტოვებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მშვიდობასა და სტაბილურობას რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე, უბრალოდ, ვერ ხედავენ. რას მოიტანს ეს მავნებლური პოლიტიკა, რომელიც საკუთარი თავის ჭაობში კიდევ უფრო ღრმად ჩაფლობაა — მუდმივ კონფრონტაციას ჩრდილოელ მეზობელთან თუ იზოლაციასა და დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებულ უსაფრთხოებას?

**როცა გვეუბნებიან, რომ თურმე პრობლემების მოსაგვარებლად ამ პრობლემების სათავესა და გასაღებთან დალაპარაკება „ისტორიული არჩევანის“ უარყოფაა, იმ ფონზე, როცა ევროკავშირში უსაფრთხოების ახალ სისტემაზე მსჯელობენ, რათა როგორმე საკუთარ ბედსა და მომავალზე კონტროლი არ დაკარგონ, ხოლო ოკეანის გაღმა მომავალი ფინანსური წლის ბიუჯეტს ძლივსძლივობით ამტკიცებენ, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — ანალვლებთ კი დასავლეთში „ისტორიული არჩევანის“ ერთგული საქართველოს ბედი, რომელიც მზადაა, ამ „არჩევანის“ გამო საკუთარ მომავალზე უარი თქვას? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, 3+3 ფორმატმა, რომლის ფარგლებშიც, ბუნებრივია, საქართველოც განიხილება, ლიბერალურ ელიტაში ისტერიკა გამოიწვია. კეთდება განცხადებები, რომ იმ პროცესებში, რომლებშიც რუსეთია ჩართული, საქართველომ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე და, საერთოდ, 3+3 ფორმატზე?**

— უწინარესად, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შეეხება რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური არქიტექტონიკის შექმნას და რომლის ინიციატორიც არის თურქეთის პრეზიდენტი **ერდოღანი.** სხვათა შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ერდოღანის ამ ინიციატივის მიმართ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური და მხარდამჭერი პოზიცია აქვს ირანის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობებს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა ოფიციალურად თავს იკავებს ამ საკითხის მიმართ ინტერესის გამოხატვისგან, მაგრამ გავიხსენოთ ერთი ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი დეტალი: მეათე მოწვევის პარლამენტის პირველი სესიის გახსნის ცერემონიაზე ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილი** ამ ინიციატივის მხარდამჭერი პოზიციით გამოვიდა და განაცხადა, რომ დროა, შეიქმნას რეგიონული ასამბლეა, რომელიც მოსაზღვრე ქვეყნების ხელმძღვანელობებთან ერთად იფიქრებს მშვიდობიანი კავკასიის პლატფორმის შექმნაზე. სწორედ რუსეთთან დიალოგის თემაზე საუბრისას იყო ეს განცხადება და მაშინაც, როგორც ყოველთვის, პრეზიდენტის ამ წინადადებას კრიტიკა მოჰყვა. **ცხადია, ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ძალები ქვეყანაში, რომლებიც ჩანასახშივე ეწინააღმდეგებიან მსგავს იდეებს და ყველაფერს აკეთებენ, რათა საქართველო არ ჩაერთოს რუსეთთან დიალოგის პერსპექტივის მომტან რამე ფორმატში. ეს ყველაფერი ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პრობლემის შედეგად ქვეყანაში მუდმივად მზარდია გამოწვევები უსაფრთხოების თვალსაზრისით.** რას ვილებთ შედეგად? ერთადერთ რამეს — საქართველო ვერ ახერხებს გამოსვლას ერთი პოლიტიკური ციკლიდან, რაც ერთგვარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა ჯერ რუსეთთან გაყინული ურთიერთობების, შემდეგ — „რუსეთი ოკუპანტიას“ ყვირილის, შემდეგ კი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე მსჯელობის გაყინული პროცესის და ამ ყველაფრის ფონზე სრული უპერსპექტივობის.

**— 3+3 ფორმატი აჩენს რამე პერსპექტივას ამ თვალსაზრისით?**

**— აქ საკითხის ასე დასმა — უნდა გავითვალისწინოთ თუ არა ჩვენ რუსეთის ან თურქეთისა და ირანის ფაქტორები, არასერიოზული მიდგომა მგონია. ერთიც, მეორეც და მესამეც არის ობიექტური მოცემულობა, რომელიც, მოგვწონს ჩვენ თუ არა, არსებობს.** იმაზე კი არ არის ლაპარაკი, ვის რა უნდა და ურჩევნია, საუბარია იმაზე, რა რეალობაა ჩვენგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება კონკრეტულად პლატფორმას, უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი — ეს არის ეკონომიკური აქტივობა... ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთი, რომლის ტვირთბრუნვა ყოველწლიურად მატულობს როგორც ყაზახეთიდან, ისე რუსეთიდან, რა თქმა უნდა, გულგრილს არ ტოვებს სომხეთსაც, ვინაიდან, ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემის ყინულის დაძვრის შემდგომ გაჩნდა რეალური ალტერნატივა, აბრეშუმის გზა კავკასიის ამ რეგიონში განიტოტოს ორ ნაწილად. ეს რას ნიშნავს, იცით? ტვირთებმა უნდა იმოძრაოს, როგორც აზერბაიჯან-საქართველოს გავლით, ისე სომხეთ-აზერბაიჯანის მიმართულებით. ცხადია, ეს სომხეთისთვის არის პერსპექტივა, რათა დაასრულოს მრავალწლიანი ჩიხური მდგომარეობა, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა და აგდებს დღესაც ამ ქვეყანას. აი, ამ ინტერსებზეა საუბარი, როცა ლაპარაკობენ ახალ პლატფორმაზე და, რა თქმა უნდა, აქ ყველა თავის ინტერესებს ხედავს. **რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ის, უბრალოდ, ვერ გასცდა სალომე ზურაბიშვილის მიერ პარლამენტში წარმოთქმულ ფრაზებს და მის იდეას. რატომ და რის გამო, სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მიდრეკილება მუდმივად იქით, რომ არ უნდა ელაპარაკო კონფლიქტის მხარეს და შენი პრობლემების გადაჭრა მიანდო აბსოლუტურად სხვა ვექტორს, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი ინტერესები აქვს, ჩვენთვის, სულ ცოტა, არის სტაგნაცია.** თუმცა ბოლო პერიოდში სტაგნაცია ერთგვარ პოზიტიურ შედეგადაც შეიძლება ჩაითვალოს, ისე ვითარდება მოვლენები და იმდენად ჩიხურ მდგომარეობამდე მივყავართ ამ ყველა კონტექსტიდან ამოვარდნილ პოლიტიკას...

**«საზოგადოებას, ალბათ, არ სჭირდება შეხსენება, რომ დღეს რუსეთი ჩვენთვის არის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანა. ენერგორესურსების 96% რუსული კომპანიების ხელშია. რუსული კაპიტალის ხელშია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის მთავარი მიმართულება — მეღვინეობა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხორბალი და პური, რომელსაც ყოველდღიურად მოვიხმართ, 95%-იანი მოცულობით შემოდის რუსეთიდან»**

**— დავუბრუნდეთ ისევ შეფასებებს: ე.წ. პროდასავლურმა ოპოზიციამ ხელისუფლებას პოლიტიკური „ბულინგი“ მოუწყო და მწვავედ გააკრიტიკა, მათი მთავარი გზავნილია ის, რომ რუსეთთან ერთად ნებისმიერ ფორმატში ჩართულობა არც უნდა განიხილებოდეს. თქვენი აზრით, ეს ყველაფერი ახდენს გავლენას მმართველ გუნდზე?**

— ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია: მმართველ გუნდს ამ მავნე პოლიტიკურმა რეალობამ ერთგვარი კომპლექსები გაუჩინა. ბატონი ზალკალიანიც თითქოს თავის მართლებაზე გადავიდა... რაც შეეხება რეალობას, **საზოგადოებას, ალბათ, არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ დღეს რუსეთი ჩვენთვის არის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანა. ენერგორესურსების 96% რუსული კომპანიების ხელშია. რუსული კაპიტალის ხელშია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის მთავარი მიმართულება — მეღვინეობა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხორბალი და პური, რომელსაც ყოველდღიურად მოვიხმართ, 95%-იანი მოცულობით შემოდის რუსეთიდან.** წარმოგიდგენიათ, ეს ციფრებში რამხელა მოცულობებია? — კოლოსალური. ამ დროს კი **სირაქლემასავით ჩაგვირგია თავი მიწაში და ვამბობთ, ოკუპანტს არ უნდა ველაპარაკოთო. ეს არის საკუთარი ქვეყნის მტრობა და ამ პოლიტიკამ საქართველო უკვე მიიყვანა სრულ კატასტროფამდე, გნებავთ — ეკონომიკურად, გნებავთ — პოლიტიკურად და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით ხომ — საერთოდ...**

**— რას მოგვიტანს მსგავსი მიდგომები?**

— ხშირად ამბობენ ცხელი თავები, რომ თურმე საქართველოს რუსეთმა ყველაფერი წაართვა და აწი მეტი რაღა უნდა დავკარგოთო. დასაკარგი ვისაც არაფერი აქვს და არც არაფერი ადარდებს, გარდა გრანტებისა, ის ხალხი ამბობს ამას, მაგრამ მიმაჩნია, რომ დასაკარგი ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს. თუმცა, მეორე მხრივ, რეალობა არის ის, რომ **ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ გავთავისუფლდით შარლ მიშელის კლანჭებისგან, ვერ გავთავისუფლდით რაღაც პოლიტიკური კომპლექსებისგან და დიდწილად ამითაც ვქმნით იმის წინაპირობებს, რომ გარკვეულ გარე ძალებს მუდმივად ჰქონდეს ჩვენზე ზემოქმედების საშუალება...**

**— სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საქართველოში — იან კელიმ „ტვიტერზე“ თქვა, რომ საქართველომ არათუ რთულად უნდა შეაფასოს რუსეთთან ერთად რამე ფორმატში მონაწილეობა, არამედ შეუძლებლად. ესეც ერთგვარი ზეწოლაა ხელისუფლებაზე?**

— რა თქმა უნდა. ამით, პრაქტიკულად, გვეუბნებიან, რომ ჩვენ არც კი უნდა გავიხედოთ რუსეთისკენ. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ **რუსულ-ქართული ურთიერთობების დათბობის ჩაშლა ამერიკელებს სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აქვთ აყვანილი,** მაგრამ დასავლეთიდან წამოსული ვერანაირი წნეხი და მუქარა ხელისუფლების უმოქმედობას რუსეთთან დიალოგის დაწყების თვალსაზრისით ვერ გაამართლებს. საერთოდ, ჩვენ ერთი რამ უნდა გვესმოდეს: **წნეხი ყოველთვის იქნება და იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც შენი პოლიტიკაა არასახელმწიფოებრივი. მაგრამ ხელისუფლება, თუ ის მართლა სახელმწიფოებრივი პრინციპებით მოქმედი ხელისუფლებაა, ვალდებულია, ამ წნეხს გაუძლოს და იმოქმედოს არა სხვისი ინტერესების გათვალისწინებით, არამედ საკუთარით. აი, ეს არის დღეს ქართულ პოლიტიკაში დასამკვიდრებელი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს სხვის დაკრულზე ცეკვის მავნე პრაქტიკა...**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ იყო მიშას თბილისში ჩამოტყუების ოპერაციის ავტორი და გარანტიების მიმცემი? — აი, მთავარი კითხვა, რომელზე პასუხიც ყველაფერს ნათელს მოჰფენდა... მიშიკომ, შინ თუ გარეთ, ყველას მოაბეზრა თავი. აქედან გამომდინარე, კანდიდატი ბევრია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში. დიდი ალბათობით, ეს უნიკალური ოპერაცია საქართველოს სპეცსამსახურებმა ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ლიდერებთან შეთანხმებით ჩაატარეს. ამ ვერსიის ირიბი მტკიცებულება ისიც არის, რომ ევროკავშირის ლიდერებმა და აშშ-მა სააკაშვილის დაპატიმრება არათუ გააპროტესტეს, მათ მედიასაშუალებებს ჯეროვანი ყურადღებაც არ გამოუჩენიათ თავის დროზე „დემოკრატიის შუქურის“ მიმართ.**



# «სააკაშვილის დიეტა», შეცდომა, რომელიც დანაშაულზე მეტია, და ტოტალური რუსოფობია, როგორც თანამედროვე «ანტისემიტიზმი»

**მკითხველთან ჩემი ბოლო „ავი მუსაიფის“ თემა მიშიკოს (ასე „მოფერებით“ მოიხსენიებენ რუსული ტელევიზიები საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს) თბილისში მოულოდნელად ჩამოსვლა არ ყოფილა, რადგან არ მსურდა, ვინმეს ჩემი ვერსიების წარმოჩენით „ჭკუის კოლოფი“ ან პირიქით, სულელი ვგონებოდი, ამიტომ თავი ავარიდე იმხანად ჯერ კიდევ ცხელ-ცხელი ამბის მიმართ „სარისკო ნაბიჯის“ გადადგმას, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლე და განვაცხადე: არ დაიწყოთ ვინმემ რომის პაპზე მეტი კათოლიკობა, „ციხისთვის არავინ მემეტება“ და მსგავსი მორალისტობა-მეთქი... მე კი, დიახ, გამიხარდა, რომ 9 წლის განმავლობაში ქართველი ერის სისხლისმსმელი „დემოკრატიის შუქურა“, როგორც იქნა, თავისივე აშენებული ციხის ერთ-ერთ საკანში აღმოჩნდა. იმ ეტაპზე მთავარი იყო ის, რომ მიშიკო ციხეშია, ხოლო, ვინ და როგორ ჩამოიყვანა საქართველოს კურდღელი პრეზიდენტყოფილი, ესეც საინტერესოა, რასაც დრო გამოაჩენს-მეთქი და აკი ნელ-ნელა რაღაც-რაღაცები გამოჩნდა კიდეც.**



ხმა გავარდა, დაპატიმრებიდან მეორე დღესვე, ნარკომანთა ტერმინით, „ატხადნიაკის“ გავლით „ლომკაში“ მყოფმა მიშიკომ, — ეს სად ვარ, აქ რა მინდა (უკრაინის მოქალაქეს, ალბათ, გაახსენდა თავისი ფეშენებელური აპარტამენტები), — მშობლიურ უკრაინაში დამაბრუნეთო... ისიც ფაქტია, რომ 2 „სუტკა“ ბორნის ქინძით გატენილ ტრიუმში გაატარა საქართველოს „ქინძმა“ (ასე უწოდა თავის თავს) ექსპრეზიდენტმა და კიდევ, თურმე, თაფლი ძალიან „ნაყვარება“ ამ კრიმინალს, რომლის პირადმა ექიმმა აფთიაქარის სიზუსტით „მოგვისამძიმრა“ ქართველებს — 12 კილოგრამი და 100 გრამი დაუკლია საყვარელ პრეზიდენტსო და ციხის საავადმყოფოში, ე.წ. „რესბალმიცაზე“ მის გადაყვანაზე დაიწყო საუბარი.

რა ვქნა, მომკალით და, არ მჯერა, რომ მიშიკო შიმშილობს — ნახევარ კილოგრამ თაფლს რომ „დაათოხლავებ“ და ზედ ვედრო ნატურალურ წვენს მიაყოლებ, ეგ შიმშილობა კი არა, დიეტაა და თუ გახსოვთ, ცოტა ხნის წინათ, როგორი აქტუალური იყო ქალებში 48 მილიონი ლარის ქურდის — უგულავას დიეტა, ახლა მას „სააკაშვილის დიეტის“ სახით კონკურენტი გამოუჩნდა.

სააკაშვილი, ჟარგონით თუ ვიტყვით, „თოხლაობის“ სიგიჟემდე მოყვარული რომ არის, კიდევ ერთი საბუთია მისი ფეიკშიმშილობის სასარგებლოდ. აქ **ნოდარ დუმბაძის** „თეთრი ბაირაღებიდან“ ჭიჭიკო გოგოლის რეპლიკა გამახსენდა, საიქიოს „დირექტორ“ მებურიშვილს რომ მიახალა: „შენ ის მებურიშვილი არ ხარ, ღამღამობით ჩუმად რომ ჭამ საჭმელს, „ახოტნიჩი კალბასს“?.. მოკლედ, მიშიკოს, ჩვენში რომ იტყვიან, „ხელში ორი აგური უჭირავს და მესამეს ეძებს“... რა მინდოდა, რას ვეძებდი, სახლ-კარი არ მქონდა და უკრაინაში თუ ფული და „კაიფი“ მაკლდაო?! სააკაშვილის ნარკომანობაზე წლების განმავლობაში საუბრობდნენ საქართველოში. ეგეც რომ არა, რა „ბაზარ-ვაგზალი“ და სამხარაულის ექსპერტიზაა საჭირო მათთვის, ვისაც მახათას მთაზე პატრიარქის თანდასწრებით მიშას „გათხლეშილ კაიფში“ ყოფნის დამადასტურებელი კადრები უნახავს?!

საუბრის ცალკე თემაა მიშას მიერ ბიუჯეტის ხალგაშლილად ხარჯვის ამბავი — კანონით გათვალისწინებული პრეზიდენტის ფონდი, რომელიც რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენდა, იცოდა რა, რომ მისი პრეზიდენტობის ვადა სამუდამოდ იწურებოდა, ბოლო თეთრამდე აითვისა და ზუსტად პრეზიდენტობის ბოლო დღეს, სანამ ჯერ კიდევ იცავდა ხელშეუხებლობის იმუნიტეტი, თბილისიდან უკრაინაში თუ ჰოლანდიაში პრეზიდენტის თვითმფრინავით გაფრინდა. იქ ამოიწურა მიშიკოს სისხლიანი პრეზიდენტობის 9 წელიწადი და საქართველოს „ბორტი ნომერი პირველი“ ცარიელი დაბრუნდა თბილისში. როგორც თავის დროზე საფრანგეთში თქვეს **ნაპოლეონის** მიერ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტაზე — **„ეს დანაშაულზე მეტია: ეს შეცდომაა!“,** შეცდომა, რომელიც, საბოლოო ჯამში, მძიმედ დაუჯდა საფრანგეთსა და ნაპოლეონ ბონაპარტეს... აბა, სად გიგანტი ბონაპარტე და სად — ეს ქონდრისკაცი ქოც-ნაცები, მაგრამ მათ შორის მაინც გავავლებ პარალელს: **მიშა სააკაშვილის საქართველოდან გაშვება დანაშაულზე მეტი იყო, ეს იყო შეცდომა!** შეცდომა, რომელმაც კოაბიტაციის სახით დააზიანა საქართველო, თორემ ბიძინა ივანიშვილს რა უჭირს?..

სანამ წერილის სათაურიდან გამომდინარე სხვა თემაზე გადავალ, უკვე ნათქვამის რეზიუმედ მიშას ჩამოსვლის თუ ჩამოყვანის ჩემეულ ვერსიას შემოგთავაზებთ: ჩემი ღრმა რწმენით, პრეზიდენტყოფილი ახლო თუ შორეულმა გარემოცვამ დაარწმუნა, რომ მისი თბილისში გამოჩენის შემთხვევაში, ქოცების მმართველობით საფუძვლიანად უკმაყოფილო საქართველოს მოსახლეობა ერთბაშად იხუვლებდა და ხელში ატატებულს შეიყვანდა ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტში, ანუ სახელმწიფო გადატრიალებას, „ფერად რევოლუციას“ მოაწყობდა. მოკლედ, მიშას მყარი გარანტიები მისცეს, თორემ, როცა ვიცით, როგორ მამაცურად ფორთხავდა მიწაზე და „ვაჟკაცურად“ ღეჭავდა ჰალსტუხს, გარანტიების გარეშე თბილისში ჩამოსვლას ვერ გაბედავდა. აქედან გამომდინარე, ყველაფერი კარგად დადგმულ სპეცოპერაციას ჰგავს, მაგრამ **ვინ იყო მიშას თბილისში ჩამოტყუების ოპერაციის ავტორი და გარანტიების მიმცემი?** — აი მთავარი კითხვა, რომელზე პასუხიც ყველაფერს ნათელს მოჰფენს... მიშიკომ, შინ თუ გარეთ, ყველას მოაბეზრა თავი. აქედან გამომდინარე, კანდიდატი ბევრია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში. დიდი ალბათობით, ეს უნიკალური ოპერაცია საქართველოს სპეცსამსახურებმა ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ლიდერებთან შეთანხმებით ჩაატარეს. ამ ვერსიის ირიბი მტკიცებულება ისიც არის, რომ ევროკავშირის ლიდერებმა და აშშ-მა სააკაშვილის დაპატიმრება არათუ გააპროტესტეს, მათ მედიასაშუალებებს ჯეროვანი ყურადღებაც არ გამოუჩენიათ თავის დროზე „დემოკრატიის შუქურის“ მიმართ.

„კალამი გამექცა“, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს „გაქცევა“ უინტერესო არ არის მკითხველისთვის...

**ანტისემიტიზმი** — ებრაელი ერის ან მისი რელიგიის, იუდაიზმის მიმართ მტრული, უარყოფითი ან არასანდომიანი დამოკიდებულება. ანუ, ზოგიერთის აზრით, რაც კი ცუდი ხდებოდა დედამიწაზე, ყველაფერი ებრაელების ბრალი იყო, ამიტომ ისტორიულად, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პერიოდში ებრაელები ხშირად იყვნენ მასობრივი დევნისა და შევიწროების საგანი. ამ იდეოლოგიამ აპოგეას (თუ ასე თქმა უპრიანია) ნაცისტურ გერმანიაში მიაღწია. ფაშისტური რეჟიმის (1933-1945) მკვეთრად გამოხატულ ანტისემიტურ პოლიტიკას შეეწირა ევროპაში მცხოვრები 9,6 მლნ ებრაელიდან დაახლოებით 6 მლნ ებრაელის სიცოცხლე. აი, ამით მინდოდა დამეწყო წინამდებარე წერილი. იმის თქმა მინდა, რომ **დღეს ებრაელი ერის ადგილი რუსებმა დაიკავეს — წვიმა მოდის, რუსების ბრალია; გვალვაა, ეგეც რუსების და ა.შ. მსგავსი აბსურდები, რომლებითაც ე.წ. კოლექტიურ დასავლეთს მსოფლიოში ტოტალური რუსოფობიის დამყარება სურს — დღეს ყველაფერი რუსეთის ბრალია. ისეთ აბსურდამდეც კი მივიდნენ ბრიტანელები, რომ ქვეყანაში ტუალეტის ქაღალდის დეფიციტსაც კი რუსეთს აბრალებენ.**

რაც შეეხება ბუნებრივი აირის მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს, ანგლოსაქსები რუსეთს ევროპის შანტაჟს აბრალებენ, იმიტომ, რომ რუსებს პოლიტიკურ-ეკონომიკურად ურჩევნიათ, ევროპას ბუნებრივი აირი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ით მიაწოდონ, ვიდრე უკრაინის გავლით, რომელთანაც საომარ ვითარებაში იმყოფებიან. ანუ, ანგლოსაქსებს სურთ, რუსეთმა თავისი მტრები გაამდიდროს. ვერაფერს იტყვი, „რკინისებური ლოგიკა“ აქვთ ანგლოსაქსებს... თუმცა ასეთ „ლოგიკას“ მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ ევროკავშირში — უნგრეთმა და სერბეთმა რუსეთთან ინდივიდუალური კონტრაქტები გააფორმეს, რომლითაც მოსალოდნელ ცივ ზამთარში თავიანთი მოსახლეობა გაყინვას გადაარჩინეს. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჯილა რუსოფობებიც მიუხოხდებიან რუსეთის სითბოსა და სინათლის წამოსაღებად.

**ნახევარ კილოგრამ თაფლს რომ «დაათოხლავებ» და ზედ ვედრო ნატურალურ წვენს მიაყოლებ, ეგ შიმშილობა კი არა, დიეტაა და თუ გახსოვთ, ცოტა ხნის წინათ, როგორი აქტუალური იყო ქალებში 48 მილიონი ლარის ქურდის — უგულავას დიეტა, ახლა მას «სააკაშვილის დიეტის» სახით კონკურენტი გამოუჩნდა**

**პრეზიდენტყოფილი ახლო თუ შორეულმა გარემოცვამ დაარწმუნა, რომ მისი თბილისში გამოჩენის შემთხვევაში, ქოცების მმართველობით საფუძვლიანად უკმაყოფილო საქართველოს მოსახლეობა ერთბაშად იხუვლებდა და ხელში ატატებულს შეიყვანდა ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტში, ანუ სახელმწიფო გადატრიალებას, «ფერად რევოლუციას» მოაწყობდა. მოკლედ, მიშას მყარი გარანტიები მისცეს, თორემ, როცა ვიცით, როგორ მამაცურად ფორთხავდა მიწაზე და «ვაჟკაცურად» ღეჭავდა ჰალსტუხს, გარანტიების გარეშე თბილისში ჩამოსვლას ვერ გაბედავდა. აქედან გამომდინარე, ყველაფერი კარგად დადგმულ სპეცოპერაციას ჰგავს**

**დავით მხეიძე**

**P.S. სამწუხაროდ, საქართველოს მარიონეტი ხელისუფლება ანგლოსაქსების რუსოფობიური ბანაკის წევრად აღიქმება. რაც შეეხება მიშიკოს, 100 ათასი კაცი ვერ დაახვედრა, მაგრამ თაკო ჩარკვიანის იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა. დასასრულ, საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ: ღმერთი არ გაგიწყრეთ და მიშიკო დროზე ადრე არ გამოუშვათ, თორემ!..**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საჭიროა, მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც“.**

# «მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა», რაც არც ერთ ჩვენს მთავრობას არ გაუთვალისწინებია

**2 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა მწარე სიმართლე დაგვიდო ცხვირწინ — ეს არის ხალხის, ანუ ამომრჩევლების პესიმისტური დამოკიდებულება როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური ძალებისადმი და რამდენიც უნდა იძახონ, ასე არ არისო, რეალობას ვერავინ გააქცევა. დიახ, რეალური სურათი არასასიამოვნოა: დღევანდელი ქართული სახელმწიფო სუსტია და უღონო, სხვის ხელებში შემყურე და სხვისი კარნახით მოქმედი**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

არა ერთხელ ხაზგასმით აღგვინიშნავს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილის გაანალიზებისას ილია ჭავჭავაძე ეხება ერის წინაშე არსებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვისაც. ილიამ ქართველ ხალხს განუსაზღვრა ზნეობრივი, ეროვნული და პიროვნული ფასეულობების ირგვლივ გაერთიანების, მსოფლიოს ცვალებად, განვითარებად სინამდვილეში ერისა და ქვეყნის სახით დამკვიდრების, პროგრესული საზოგადოების ფორმირების, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების დასახვის შესაძლებლობები, რომელთა შედეგადაც ილიასეული პრინციპები მუდამ თანამედროვეა და დაეხმარება საქართველოს თვითგადარჩენისა და თვითგანვითარების გზების პოვნაში, თუ, რა თქმა უნდა, მათ ხელისუფლებები გაითვალისწინებენ.

დღეს კი აი როგორი სურათი გვაქვს:

2 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა მწარე სიმართლე დაგვიდო წინ — ეს არის ხალხის, ანუ ამომრჩევლების პესიმისტური დამოკიდებულება როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური ძალებისადმი და, რამდენიც უნდა იძახონ, ასე არ არისო, რეალობას ვერავინ გაექცევა. დიახ, რეალური სურათი არასასიამოვნოა: დღევანდელი ქართული სახელმწიფო სუსტია და უღონო, სხვის ხელებში შემყურე და სხვისი კარნახით მოქმედი. ამდენად, საკითხავიც კი არ არის, ამ მთავრობამაც რატომ ვერ დათესა ხალხში ის სიყვარული, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოს გააღონიერებს. ილიას თუ დავუჯერებთ, „მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა“, რაც არც ერთ ჩვენს მთავრობას არ გაუთვალისწინებია.

გულმოგებული და ფეხგამაგრებულიო... რასაც, ცხადია, ცრუ დაპირებებითა და თვალში ნაცრის შეყრით ვერ მიაღწევ.

ჯერ კიდევ 1879 წლის თებერვალში ილიამ თავისი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა საკითხებზე: რით იცნობს მთავრობას ხალხი, რა არის არსებითი ნაკლი ადმინისტრაციისა, რატომ არის უენობა და სიყრუე, კანონმდებლობა კი ოთხ კედელ შუა მოქცეული, ცხოვრება, კანონი და შუა — ცარიელი.

ეს ის საკითხებია, რომლებსაც აქტუალობა არ დაუკარგავს და, შეიძლება ითქვას, სწორედ დღეს, როგორც არასდროს, თუ უნდა მხარდაჭერა დაიმსახუროს, მთავრობამ ხალხს უნდა დაანახვოს თავისი უკეთესი მხარე; აგრძნობინოს, რომ თავის უწმინდეს მოვალეობად აღიარებს „ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო“.

მოვუსმინოთ ერის მამას:

„თუ მთავრობას ჰსურს, დაანახვოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა-და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ — ის მხარე, რომლითაც **სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო,** მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავს: **ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა.** აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელ-საკმეველი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება...

**ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში,** რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, **მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, ის სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია...**

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო, ვინ იცის, რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავ-კარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი, პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა, მისი ავ-კარგიანობა აწყოს. **ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავკარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა, მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი** და




**«კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის»**



იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც **კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის.** ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრ-

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სწორედ დღეს, როგორც არასდროს, თუ უნდა მხარდაჭერა დაიმსახუროს, მთავრობამ ხალხს უნდა დაანახვოს თავისი უკეთესი მხარე; აგრძნობინოს, რომ თავის უწმინდეს მოვალეობად აღიარებს „ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო“.

დეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ზევითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც, — როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა, — გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, **მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე.** უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის.

ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორლანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. **საჭიროა, მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც.** ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სამართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, — რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულისტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, ის რა მოსამართლეა? **მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერ გავაგებინებ და ის თავისას, ის რა ჩემი მომვლელია?** აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ



**«ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში»**

ცხადი იქნება, რათ მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, **რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედ და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი.** შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი იჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგან ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, — კაცი არ იყო, კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კეთილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთიდამ და ზოგი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი. როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ეს ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე — იმისათვისაო; და **თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა,**



**«ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან»**

**რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია.** ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური. ანდრეევსკის ქალის საქმემ აშკარად გამოჰფინა საქვეყნოდ ის სასაცილობა, რომელიც მოსდევს ხოლმე ენის არ-ცოდნას. ამას გარდა ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი აქვს და არც ზედ-მოქმედება არასფერზედ. მრავალ-სახისა და მრავალ-გვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწყნარებას, — რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა. ამიტომაც **ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან“.**

ამას ემატება ისიც, რომ ქართველები ერთმანეთის შეურაცხყოფითა და გულის ტკენით არ ვიღლებით, სამწუხაროდ, გვავიწყდება, რომ ამქვეყნად სიყვარულია მთავარი. ჩვენ კი „გათითოკაცება გვაოხერტიალებს!“ — ეს მწერალ გიზო ნიშნიანიძის სიტყვებია, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება:

**„გათითოკაცება
გვაოხერტიალებს,
ვიცი ამ ცხოვრების
მე ავან-ჩავანი.
რაცა გვყოფს კი არა,
რაც გვაერთიანებს,
ეს არის, ეს არის,
ეს არის მთვარი!
თუ ასე არ ფიქრობ,
ძალიანაც ცდები!
ცუდად გამსარჯე და
მრუდად გაისარჯე,
შენი გამარჯვებით
მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით
შენ ვერ გაიმარჯვებ“.**

**სანამ თითოეული ჩვენგანი არ აღიარებს ამ ჭეშმარიტებას, უპირველესად კი პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს ხარობენ ერთმანეთის შეცდომებით, თუნდაც ეს შეცდომები ქვეყანას ძვირად უჯდებოდეს, ხალხს კი ცხოვრებას ურთულებდეს, შეუძლებელია „კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა“, რაც გულით სწადდა ჯერ კიდევ დიდ ილიას.**

სახელმწიფო მეთაური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-მა გამანადგურებელი მარცხი იგემა ვიეტნამში, ახლახან სამარცხვინოდ გაიქცა ავღანეთიდან, არაფერი გამოუვიდა ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში, სუდანში, ლიბანში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკას XX-XXI საუკუნეებში არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვება არ მოუპოვებია. და ეს მაშინ, როცა მას ჰყავს მსოფლიოში ყველაზე დიდი და კარგად აღჭურვილი არმია კოლოსალური სამხედრო ბიუჯეტით“.**

# პუტინის გზა

**ცოტა ხნის წინათ გამოიცა მწერლისა და ისტორიკოსის, როი მედვედევის წიგნი „ვლადიმერ პუტინი და სი ძინპინი: პიროვნება და ლიდერობა“. 2000 წლიდან დღემდე ეს როი მედვედევის მორიგი წიგნია რუსეთის პრეზიდენტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. როი მედვედევმა ახლახან უპასუხა კითხვებს ჟურნალისტ რაფაელ ჰუსეინოვისა, რომელთან ერთადაც ორი წიგნი გამოსცა.**



— თქვენ მრავალი წლის განმავლობაში იკვლევთ ძალაუფლების თემას და იმ ადამიანების ცხოვრებას, რომლებიც სსრკ-ისა და ახალი რუსეთის ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. თქვენი წიგნების გმირები იყვნენ სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, მაგრამ ყველაზე მეტი წიგნი პუტინზე დაწერეთ: რუსეთსა და უცხოეთში 15-ზე მეტი წიგნი გამოიცა, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ პუბლიკაციებსა და ათობით ინტერვიუზე. რა გიზიდავთ ამ პიროვნებაში და ხომ არ ამოიწურა თქვენთვის ეს თემა?

**როი მედვედევი: — ვლადიმერ პუტინის** ბიოგრაფიისადმი, მისი ბედისა და მომავლისადმი ინტერესი სრულიად გასაგები და ასახსნელია. უწინარესად, ეს არის ინტერესი მისი თანამემამულე რუსების მხრიდან. **1999 წელს, როცა ის პრემიერმინისტრი გახდა და დაიწყო ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისთვის, რუსეთის მართვის მსურველი ძალიან ცოტა იყო. ბორის ელცინმა მემკვიდრეს დაუტოვა ღარიბი, გაპარტახებული სახელმწიფო, რომელსაც მთელი მსოფლიოს ვალი ჰქონდა, იყო კორუფციაში ჩაფლული და უუნარო, დაეცვა არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ თავისი შიდა საზღვრები. ცეცხლის ალში იყო გახვეული ჩეჩნეთი, აღშფოთებული გუგუნებდა კუზბასი, ცენტრისგან დამოუკიდებლობაზე მსჯელობდნენ თათრეთში, ბაშკირეთში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში.**

ელცინმა **გორბაჩოვისგან** საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყანა მიიღო, ხოლო გადააბარა გაცილებით ცუდი სახით.

**— პუტინზე ბევრს წერენ, მაგრამ თქვენ ხართ იშვიათი ავტორი, რომელსაც მასთან პირადი ურთიერთობა აქვს. თქვენი აზრით, ამ წლების განმავლობაში ის ძალიან შეიცვალა? და როგორს ხედავთ მის პოლიტიკურ მომავალს?**

**როი მედვედევი:** — ჩემი პირველი შეხვედრა პუტინთან შედგა 1999 წელს. მე, ისევე, როგორც ბევრი რუსი, პუტინს არ ვიცნობდი. იმხანად ის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს ხელმძღვანელობდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ჩეჩნეთში ომი დაიწყებოდა.

**პუტინი მალე გახდა მეორე, შემდეგ კი პირველი კაცი სახელმწიფოში. მისდამი ჩემი ინტერესის კიდევ ერთი პირადი მოტივი იყო მის მიმართ გამანადგურებელი, დაუნდობელი კრიტიკა ტელევიზიებში. პუტინის პირველ მოქმედებებს დაუფარავი ბოროტებითა და სიძულვილით შეხვდნენ ისინი, ვინც თავს საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში კი საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულაციას ცდილობდნენ თავიანთი ჯიბის სასარგებლოდ.**

თავის დროზე მისთვის რთულ ვითარებაში მხარს ვუჭერდი **ევგენი პრიმაკოვს,** იმ მომენტში კი გადავწყვიტე, პუტინისთვის დამეჭირა მხარი. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება და არა რაღაც შეკვეთა. ოპერატიულად შეგროვებული ინფორმაცია დაედო საფუძვლად წიგნს „პუტინის გამოცანა“. შემდეგ იყო მომდევნო წიგნები და მასალები მისი მოღვაწეობის გასაააზრებლად სულ უფრო მეტი გაჩნდა. ამ რიგშია კიდევ ორი წიგნი-ინტერვიუ „მედვედევი პუტინის შესახებ“, რომლებიც ჩვენ ერთად გამოვეცით, სწორედ იმხანად არა მხოლოდ მე, არამედ ბევრმა შორსმჭვრეტელმა თანამოქალაქემ გააცნობიერა, რომ ამ ადამიანმა რუსეთის გარდაქმნა დაიწყო.

**— როგორ შეაფასებს ხვალ პუტინს რუსეთის მომავალი თაობა, ისინი, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა? რას იტყვიან მასზე, საბჭოთა და რუსეთის სხვა ხელმძღვანელებთან შედარებისას?**

**როი მედვედევი:** — თაობას, რომელიც ჩვენ შეგვცვლის, მრავალფენიანს, არაერთგვაროვანს ვუწოდებდი. 20 წლის წინათ დაბადებულმა ახალგაზრდებმა, პუტინის გარდა, არავინ იციან. ჰკითხეთ მათ. ისინი ვერ აღიქვამენ ელცინს, გორბაჩოვს. მათ, ვინც დაახლოებით 40 წლისაა, რა თქმა უნდა, ახსოვთ პუტინის წინამორბედები. მათთვის გორბაჩოვი თითქმის მივიწყებული ფიგურაა. **რუსების დამოკიდებულება თავიანთი ამჟამინდელი პრეზიდენტის მიმართ მთლიანობაში დადებითია. თანაც მას მხარს უჭერს სხვადასხვა ფენა. ეს სადღაც 60-70 პროცენტია. მეტი არც სჭირდება.**

**— რას იტყვიან პუტინზე, როდესაც ის წავა, 30, 40, 50 წლის შემდეგ? როგორ კვალს დატოვებს ის რუსეთის ისტორიაში?**

**როი მედვედევი:** — პუტინი კვალს დატოვებს რამდენიმე მიმართულებით: პირველი — **რუსეთის სახელმწიფოს ჭეშმარიტი დამფუძნებელი, სახელმწიფოს შემქმნელ რუს ხალხთან ერთად, როგორც ჩაწერილია კონსტიტუციაში, არის არა ელცინი, არამედ პუტინი.** ელცინი ხელისუფლების სათავეში სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოვიდა, მაგრამ სახელმწიფოს, მისი იდეოლოგიის ჩამოყალიბება ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ წამოჭრა ეროვნული სახელმწიფო იდეის საკითხი. არადა, ამ საკითხზე მსჯელობდნენ სერიოზული პოლიტიკოსები და მეცნიერები, გამოცხადდა კონკურსები, დაწესდა ჯილდოები.

**«რუსეთის სახელმწიფოს ჭეშმარიტი დამფუძნებელი, სახელმწიფოს შემქმნელ რუს ხალხთან ერთად, როგორც ჩაწერილია კონსტიტუციაში, არის არა ელცინი, არამედ პუტინი... რუსეთის დღევანდელი სიძლიერე — ეს არის ის, რითაც პუტინს, როგორც სახელმწიფო მეთაურსა და როგორც ოფიცერს, შეუძლია იამაყოს. მან ქვეყანას დაუბრუნა ძლევამოსილება, საკუთარი ძალების რწმენა... პუტინი აქტიურად იყო დაკავებული ტექნოლოგიური ბაზის განახლებით. მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ დღეს საბაზისო სიმძლავრეების 78 პროცენტი განახლებულია. ქვეყანაში, ფაქტობრივად, ახალი ინდუსტრიალიზაცია განხორციელდა»**

**— რომელი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტისას იყო პუტინი წარმატებული ამ წლების განმავლობაში? ეს ეკონომიკაა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული საკითხები, მოსახლეობის კეთილდღეობა თუ სამხედრო მშენებლობა?**

**როი მედვედევი:** — პირველი, რაც პუტინმა გააკეთა, იყო ის, რომ განამტკიცა რუსეთის სახელმწიფოს ძალა სამხედრო თვალსაზრისით. ბოლო წლებში რუსეთის არმიამ აიმაღლა საბრძოლო სულისკვეთება, აღდგენილია რუსეთის ძლიერება. **ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების ბევრ სახეობაში გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს. პუტინი ამაზე არც ისე იშვიათად საუბრობს, ამაყობს ამ წარმატებით და მას შეიძლება გავუგოთ. საბჭოეთის პერიოდში, ეროვნული ეკონომიკის ძლიერების მიუხედავად, სამხედრო მშენებლობაში მდევრის როლში ჩვენ ვიყავით. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოა, ჩვენი იარაღის ძალის გათვალისწინებით კი პირველ ადგილზე ვართ. ჩვენ 2 საათში შეგვიძლია ნებისმიერი სახელმწიფოს განადგურება, ამის შესახებ კარგად იციან ჩვენმა არაკეთილისმსურველებმა — მიგაჩნიათ, რომ ასეთი მსჯელობა არა ცინიკური, არამედ რეალური პოლიტიკაა?**

**როი მედვედევი:** — ეს არის პოლიტიკა, აგებული არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების რეალურად გაცნობიერებაზე.

**აშშ-ში გამუდმებით ეძებენ თავიანთი ეროვნული ინტერესების მთავარ საფრთხეს, ასახელებენ რუსეთსა და ჩინეთს. ჩინეთს ჯერ კიდევ არ აქვს შემმუსვრელი ბირთვული ტრიადა, რომელსაც შეუძლია აშშ-ის განადგურება, ამიტომ მთავარ სამხედრო მოწინააღმდეგედ რუსეთი ითვლება. ამერიკელები აცნობიერებენ თავიანთი ტერიტორიის მოწყვლადობას. მათ არაერთხელ გააანალიზეს რუსეთთან შესაძლო ბირთვული კონფლიქტის შედეგები. გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ ნებისმიერ ვითარებაში საპასუხო დარტყმა და დანაკარგები აუნაზღაურებელ ზარალს გამოიწვევს.**

რუსეთის დღევანდელი სიძლიერე — ეს არის ის, რითაც პუტინს, როგორც სახელმწიფო მეთაურსა და როგორც ოფიცერს, შეუძლია იამაყოს. მან ქვეყანას დაუბრუნა ძლევამოსილება, საკუთარი ძალების რწმენა, ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ პუტინის მთავარ მიღწევებზე ბოლო წლებში, უნდა გავაცნობიეროთ შემდეგი: ეკონომიკის დახმარებით რუსეთის გარდაქმნა დიად სახელმწიფოდ ჯერჯერობით არ გამოდის, ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდა შენელდა. ამ გზაზე იყო გარკვეული წარმატებები — ეს არის მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვის შექმნა, გარღვევა აგრარულ სფეროში, საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების ვალების გასტუმრება.

ეკონომიკაში არსებობს კანონი საწარმოო ბაზის აუცილებელი შეცვლის ციკლების შესახებ. გორბაჩოვი და ელცინი ამით არ ყოფილან დაკავებულნი. **წამყვანი ეკონომისტები და მეწარმეები 2003 წლიდან განგაშს ტეხდნენ — ისინი თვლიდნენ, რომ ამორტიზებულ დანადგარებს შეეძლო, მასშტაბური ტექნოგენური კატასტროფა გამოეწვია. პუტინი აქტიურად იყო დაკავებული ტექნოლოგიური ბაზის განახლებით. მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ დღეს საბაზისო სიმძლავრეების 78 პროცენტი განახლებულია. ქვეყანა-** ▶



**„რუსეთმა XXI საუკუნეში რამდენიმე სამხედრო კამპანია ჩაატარა და ყველა ბრწყინვალედ მოიგო. უწინარესად, ეს არის ომი ჩეჩნეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში... გამარჯვების დაფნის გვირგვინი არასოდეს აუღია, მაგრამ ვიცი, რომ გამარჯვების მომტანი სტრატეგია პუტინის მიერ იყო ნაკარნახევი. რაც შეეხება სირიას, ბევრი სამხედრო ანალიტიკოსი ამ სამხედრო კამპანიას რიურიკების პერიოდიდან დღემდე ყველაზე ბრწყინვალე ოპერაციას უწოდებს“.**

სახელმწიფო მეთაური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ში, ფაქტობრივად, ახალი ინდუსტრიალიზაცია განხორციელდა.** ჩემი აზრით, ეს პროცესი გარკვეულწილად შენელდა იმ მიზეზით, რომ მისი ხელმძღვანელები ლიბერალურ-ეკონომიკურ მოდელს ქადაგებდნენ. ჩვენ ვერ დავძლიეთ კონკურენცია, დრო დავკარგეთ.

**— ბოლო პერიოდში რუსეთი აქტიურად წარმოაჩენს თავს საერთაშორისო მოთამაშედ. ავღანეთი, სირია, ირანი — ამ კრიზისულ მოედნებზე ჩვენ სოლიდურად და თავდაჯერებულად გამოვიყურებით. ჩვენს აზრს ანგარიშს უწევენ, უფრო ზუსტად, იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ.**

**როი მედვედევი:** — **დიდი სახელმწიფოების ურთიერთობებში ნებისმიერი წარმატება თუ წარუმატებლობა მიბმულია სამხედრო მოქმედებებზე. აშშ-მა გამანადგურებელი მარცხი იგემა ვიეტნამში, ახლახან სამარცხვინოდ გაიქცა ავღანეთიდან, არაფერი გამოუვიდა ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში, სუდანში, ლიბანში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკას XX-XXI საუკუნეებში არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვება არ მოუპოვებია. და ეს მაშინ, როცა მას ჰყავს მსოფლიოში ყველაზე დიდი და კარგად აღჭურვილი არმია კოლოსალური სამხედრო ბიუჯეტით.**

რუსეთმა XXI საუკუნეში რამდენიმე სამხედრო კამპანია ჩაატარა და ყველა ბრწყინვალედ მოიგო. უწინარესად, ეს არის ომი ჩეჩნეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ომი პუტინმა, როგორც პრემიერმინისტრმა, დაიწყო და პრეზიდენტის რანგში დაასრულა. ჩეჩნეთის მეორე და პირველ (ელცინის მმართველობის პერიოდის) ომს შორის განსხვავება ძალიან დიდია. აღვნიშნავ, რომ მეორე ომში დანაკარგები დიდი არ ყოფილა და სტრატეგიის თვალსაზრისით შესანიშნავად ჩატარდა. პუტინს, რომელსაც არ სურდა, გამორჩეული ყოფილიყო, გამარჯვების დაფნის გვირგვინი არასოდეს აულია, მაგრამ ვიცი, რომ **გამარჯვების მომტანი სტრატეგია პუტინის მიერ იყო ნაკარნახევი. ჩვენს სამხედრო ქვეყანაყოფებს შტურმით არ აუღიათ ქალაქები და დიდი დასახლებული პუნქტები, ისინი საომარ მოქმედებებს ღია სივრცეზე აწარმოებდნენ. იყო მკაცრი მითითება, რომ ფრთხილად მოპყრობოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, იმ შემთხვევებშიც კი, თუ ადამიანები არალოიალურობას გამოავლენდნენ. ამ ომში პუტინმა მინიმალური დანაკარგებით გაიმარჯვა და საომარი მოქმედების დასრულებისას მას ჩეჩნეთის მოსახლეობის ნახევარი უჭერდა მხარს ახმატ კადიროვის მეთაურობით.**

რაც შეეხება სირიას, ბევრი სამხედრო ანალიტიკოსი ამ სამხედრო კამპანიას რიურიკების პერიოდიდან დღემდე ყველაზე ბრწყინვალე ოპერაციას უწოდებს. ამის დამამტკიცებელ ბაზას წარმოადგენს ინფორმაცია დანაკარგებისა და წარმატებების თანაფარდობის შესახებ. **რუსეთის არმიის დანაკარგები სირიაში 100 კაცამდეა. სირიის ტერიტორიაზე ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ სრულად არის განადგურებული და ესეც გაკვეთილია ამერიკელებისთვის. დღეს სირიის ტერიტორიის 85 პროცენტს კანონიერი ხელისუფლება აკონტროლებს. ამ ქვეყანაში ჩვენ შევქმენით 2 მძლავრი სამხედრო ბაზა, შედეგად მსოფლიოს ამ რეგიონში ჩვენი გავლენა გაძლიერდა. სირიაში იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობის დიდი ნაწილი, გამოცდილია იარაღის 600-მდე სახეობა.**

**— მეთაურს ისეთი სახელმწიფოსი, როგორიც არის რუსეთი, უნდა ჰქონდეს უამრავი ისეთი თვისება, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის არსებობისთვის.**

— დავიწყოთ ყველაზე მთავარით – სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობით. გასული საუკუნის ომებში მხედართმთავრებს, სახელმწიფო მეთაურებს, გენერალური შტაბის წარმომადგენლებთან ერთად, საკმაოდ კომფორტულ რეჟიმში შეეძლოთ მსჯელობა ქვეყნის თავდაცვაზე. ტანკები, როგორც ცნობილია, ნელა მოძრაობენ, თვითმფრინავებიც დიდხანს ვერ ფრენენ. **ჩვენს დროებაში, თუკი არ გსურთ, რომ თქვენი ქვეყანა გადაიქცეს რადიოაქტიურ ნანგრევებად, ბევრი გადაწყვეტილება 10 წუთის განმავლობაში უნდა მიიღოთ, ამასთანავე, შეიძლება, ვერც მოასწროთ ვინმესთან დალაპარაკება რჩევის მისაღებად. ეს კრიტიკულად სერიოზული პასუხისმგებლობაა, როცა საჭიროა, მაგალითად, მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებების მიმღებ ცენტრებზე საპასუხო დარტყმისთვის სანქციის გაცემა.** აშშ-ში ხუთი ასეთი ცენტრია. ამის შესახებ მშვენივრად იციან ჩვენს გენერალურ შტაბში. ასეთი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა ახალი პროტოკოლის მიხედვით და არა იმით, რაც იყო 30 წლის წინათ. **ბირთვული ჩემოდანი, როგორც ცნობილია, ხელის გაწვდენაზე უნდა იყოს მთავარსარდლისგან. ასეთი გადაწყვეტილებების მიმღებ ადამიანს უნდა ჰქონდეს ცივი გონება და შეეძლოს შესაძლო შედეგების გაანალიზება. აქ, როგორც ხვდებით, შეცდომის დაშვება გამორიცხულია.**

**— თქვენ მეუბნებოდით, რომ პუტინი რუსეთის ისტორიაში თავის კვალს დატოვებს იდეოლოგიური კონცეფციის სახით. უფრო დაწვრილებით რა შეგიძლიათ თქვათ ამ საკითხზე?**

**როი მედვედევი:** — პუტინი სპეციალობით არც იდეოლოგია, არც ისტორიკოსი და არც ფილოსოფოსი. როცა პრეზიდენტი გახდა, მის წინაშე წარმოიქმნა არა მხოლოდ სამხედრო პრობლემები ჩეჩნეთსა და პოლიტიკური საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ იდეოლოგიურიც. მას, როგორც სახელმწიფო მეთაურს, მიმართავდნენ სხვადასხვა საკითხზე, რომლებსაც, ერთი შეხედვით, არ ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მაგალითად, **სკოლებში ისტორიის სწავლებისა და სახელმძღვანელოების პრობლემები შეიქმნა. პუტინი პატივისცემით ეპყრობა პროფესიონალების თვალსაზრისს, აფასებს ექსპერტთა მოსაზრებებს. ის იწვევდა ისტორიის მასწავლებლებს და დიდხანს ესაუბრებოდა მათ. თუ გახსოვთ, მონაწილეობაც მიიღო დისკუსიაში „წითლებს“ უჭერთ მხარს თუ „თეთრებს“.**

**— ეს ძალიან რთული, მტკივნეული საკითხია, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა მხარედ გაყო მილიონობით ადამიანი. მიგაჩნიათ, რომ პუტინმა ერთი ხალხის გაყოფის ნაცვლად ისტორიული შერიგების კონცეფცია იპოვა?**

**როი მედვედევი:** — 2000 წელს პუტინი პარიზის გარეუბანში მდებარე სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას ისტორიულ სასაფლაოზე მივიდა. ის არის ჩვენი სახელმწიფოს პირველი ხელმძღვანელი, რომელმაც მოინახულა ნეკრიოპოლი, სადაც დაკრძალულია რუსული კულტურისა და ხელოვნების ბევრი ცნობილი მოღვაწე. რუსეთის ხელმძღვანელმა ყვავილებით შეამკო **ივანე ბუნინისა** და ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის გმირის, თავადის ქალის, **ვერა ობოლენსკაიას,** საფლავები. შემდეგ ის შეჩერდა თეთრგვარდიელი ოფიცრების საფლავებთან და თქვა: **„ჩვენ უნდა გვახსოვდეს აქ დაკრძალული ყველა რუსი, რომლებიც სამშობლოდან შორს გარდაიცვალნენ. ყველას უნდა გვახსოვდეს და არასოდეს დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვართ შვილები ერთი დედისა და მისი სახელია რუსეთი“.** ეს ისტორიული სიტყვები მოისმინეს არა მხოლოდ მათ, ვინც მის გვერდით იდგა. ეს თეზისი პუტინს არაერთხელ გაუმეორებია. არც ისე დიდი ხნის წინათ მისი ინიციატივით გაიხსნა სიმბოლური ძეგლი სიმფეროპოლში. ერთმანეთის პირისპირ დგანან წითელარმიელი და თეთრგვარდიელი ოფიცერი. ეს რუსი ადამიანები სიცოცხლეში ვერ შერიგდნენ, დაე, ეს მოხდეს დღეს, მათი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ.

პუტინმა საკმაოდ მკაფიოდ ილაპარაკა პატრიოტიზმზე, როგორც სახელმწიფოებრივ იდეაზე. მხოლოდ პატრიოტიზმიც საკმარისია იმისთვის, რომ ქვეყნის ღირსეული მოქალაქე იყო. მახსოვს, მან ასეთი ტერმინიც კი გამოიყენა: **„ნაციონალიზმი, ამ სიტყვის კარგი გაგებით“.** ვფიქრობ, ეს სიტყვები მართებულად გაიგეს. აი, **ლიბერალად კი პუტინი თავს არასოდეს მიიჩნევდა: „მეამაყება, ამბობდა ის, რომ ჩემი წინაპრების რამდენიმე თაობა ერთ ადგილას ცხოვრობდა, დადიოდნენ ერთ ეკლესიაში და, რომ მე რუსი ვარ“.**

მიმაჩნია, რომ პუტინის იდეოლოგიაში ცენტრალური ადგილი უკავია ერთობის ფორმულას. როდესაც ის ჯერ კიდევ პრემიერმინისტრი იყო და იქმნებოდა ახალი პარტია, შესაძლოა, სახელწოდებაში სიტყვა „ერთიანი“ პუტინმა უკარნახა. ეს ცნება მისი შინაგანი სამყაროდან მოდის. მოგვიანებით, როცა მოხდა **ლუჟკოვ-პრიმაკოვის** პარტია „მამულთან“ გაერთიანება, გაჩნდა სახელწოდება „ერთიანი რუსეთი“ („Единная Россия“), როგორც ხედავთ, ერთიანობის ცნება აქაც შენარჩუნებულია. ის ამას ხედავს, როგორც რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის ერთიანობას. მრავალეროვან რუსეთში ერთ ხალხად მიიჩნევს რუსებს, უკრაინელებსა და ბელარუსებს. და აქ ერთიანობა, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი, პირველ ადგილზეა.

**პუტინის მიერ გამოთქმული თვალსაზრისების სისტემატიზაციას, მათ მეცნიერულ დასაბუთებას შემდეგი თაობა გააკეთებს. ეს არის იდეური მემკვიდრეობის განზოგადებაზე ნორმალური, ბუნებრივი მსჯელობა. რაც შეეხება ჩვენი პრეზიდენტის ეკონომიკურ თვალსაზრისს, მე მათ „პუტინონომიკას“ დავარქმევდი. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის პოსტზე „რკინის ლედის“ ყოფნისას მის მოსაზრებებს „ტეტჩერიზმს“ უწოდებდნენ, ხოლო როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი იყო, გაჩნდა ტერმინი „რეიგნომიკა“.**

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ პუტინს სურს, შექმნას ეროვნულად ორიენტირებული ბურჟუაზია, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ გამოდის. **მას ამოცანად აქვს დასახული სოციალურად პასუხისმგებელი კლასის შექმნა. თუ მარქსიზმი ლაპარაკობს შეურიგებელ დაპირისპირებაზე, აბსოლუტური გაღატაკების ზრდაზე, როგორც რევოლუციის საბაბზე, ამ საკითხის მიმართ პუტინს სოციალ-დემოკრატიული პოზიცია უკავია: დამსაქმებლის კეთილდღეობამ არ უნდა მოიმატოს დაქირავებული მუშაკის კეთილდღეობის შესაბამისად მომატების გარეშე.**

ამ წლების განმავლობაში პუტინმა რუს მაღალჩინოსნებს ასწავლა, ნახევარი სიტყვითაც გაუგონ მას და მანამდე მიხვდნენ, რა სურს, სანამ ფრაზას დაამთავრებს.

**rg.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**«პუტინის იდეოლოგიაში ცენტრალური ადგილი უკავია ერთობის ფორმულას. ეს ცნება მისი შინაგანი სამყაროდან მოდის. ის ამას ხედავს, როგორც რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის ერთიანობას. მრავალეროვან რუსეთში ერთ ხალხად მიიჩნევს რუსებს, უკრაინელებსა და ბელარუსებს. და აქ ერთიანობა, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი, პირველ ადგილზეა»**







**«მას ამოცანად აქვს დასახული სოციალურად პასუხისმგებელი კლასის შექმნა. ამ საკითხის მიმართ პუტინს სოციალ-დემოკრატიული პოზიცია უკავია: დამსაქმებლის კეთილდღეობამ არ უნდა მოიმატოს დაქირავებული მუშაკის კეთილდღეობის შესაბამისად მომატების გარეშე»**

ენერგო-კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ შინ ლეპტოპს ყოველდღე იყენებთ, შეიძლება გაგიჩნდეთ ცდუნება, რომ ის დატოვოთ ლოდინის რეჟიმში. და თუ მას დატოვებთ ლოდინის რეჟიმში 10 საათის განმავლობაში, თქვენ ფუჭად დახარჯავთ ფულს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მოგეჩვენოთ წვრილმანად, თუ ლეპტოპს ღამე გამორთავთ მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში შეძლებთ, დაზოგოთ ახალი ლეპტოპის საყიდელი თანხა. ასე რომ, გირჩევთ, თუ შესაძლებელია, გამორთეთ თქვენი ლეპტოპი.**

# ბრიტანეთი ენერგეტიკული კოლაფსის ზღვარზე: იქ უკვე შეიმუშავეს რჩევები მკაცრი ეკონომიისთვის. ასეთი რამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა

**დიდ ბრიტანეთში ენერგეტიკული კრიზისია — სათბობზე ფასები სწრაფად იზრდება, ხოლო შინამეურნეობები რეკორდულად მაღალი კომუნალური გადასახადებისთვის ემზადებიან. რამდენიმე პატარა ენერგეტიკული კომპანია სექტემბერში გაკოტრდა, ხოლო მოლოდინი იმისა, ვინ გაკოტრდება უახლოეს მომავალში, კიდევ უფრო ამძაფრებს შიშს, ვინაიდან ბევრი ენერგეტიკული კომპანია აცხადებს, რომ კრახის პირას არის.**



მომხმარებელთა დამცველი **მარტინ ლუისი** გვაფრთხილებს, რომ ბევრი ადამიანი შეიძლება დადგეს გათბობასა და საკვებს შორის „კატასტროფული“ არჩევანის წინაშე, რადგან სათბობის ფასი კვლავ მატულობს.

ამის გათვალისწინებით, ციფრული საბანკო მომსახურებების მომწოდებელმა კომპანია Thinkmoney-მ შეადგინა ენერგოდაზოგვის რჩევების ჩამონათვალი, რათა საოჯახო ბიუჯეტი დაზოგონ მათ, ვისაც სურს, შექმნილ რთულ ვითარებაში შეამცირონ ელექტროენერგიის გადასახადის თანხა:

**1. შეამცირეთ ოთახის ტემპერატურა 1 გრადუსით** — ეს დაგიზოგავთ 80 გირვანქა სტერლინგს წელიწადში. გათბობის თერმოსტატზე დააყენეთ თქვენთვის ნორმალურ ტემპერატურაზე 1 გრადუსით ნაკლები, რაც დაგიზოგავთ 80 გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ჩართეთ რადიატორები მხოლოდ იმ ოთახებში, რომლებსაც იყენებთ, ხოლო ყველა ავეჯი, რომლებიც ფარავს თქვენს რადიატორებს, გადაიტანეთ სხვაგან, რათა უზრუნველყოთ სითბოს სათანადო ცირკულაცია. მათ, ვისაც მეტი თავისუფალი დრო აქვს, შეუძლიათ, ამოავსონ კარის ქვემოთ არსებული ღრიჭოები ძველი ტანსაცმლისა და ზეწრების გამოყენებით;

**2. გამორთეთ ის ელექტროჩანგლები,** რომლებიც არ გჭირდებათ. ყოველ ჯერზე, როდესაც გამოუყენებელი ელექტრომოწყობილობის ჩანგალს შტეფსელში ჩართულს ტოვებთ, თქვენ კარგავთ 0,27 გირვანქა სტერლინგს. ასე რომ, თუ მუდმივად გაქვთ მიერთებული ტელევიზორის, ტელეფონის ან სხვა ელექტროტექნიკის ჩანგლები, დანაკარგები სწრაფად დაგიგროვდებათ. უსარგებლოდ მიერთებული მხოლოდ ერთი ელექტროჩანგალი ელექტროენერგიის ხარჯს წელიწადში 99 გირვანქა სტერლინგით გაზრდის. თუ ყოველდღე უსარგებლოდ გექნებათ მიერთებული ხუთი ჩანგალი, ეს ელექტროენერგიის ხარჯს 491 გირვანქა სტერლინგით გაზრდის წლის განმავლობაში. ასე რომ, როდესაც დაასრულებთ საქმეს, მაშინვე გათიშეთ ელექტრომოწყობილობა ქსელიდან;

**3. გამოიყენეთ ბუნებრივი განათება.** ნათურებით თქვენი ბინის განათება ფული ჯდება, ამიტომ დარწმუნდით, რომ უკვე გამორთეთ ზედმეტი ნათურები. შეეცადეთ, გამოიყენოთ ბუნებრივი განათება. შეცვალეთ ჩვეულებრივი ნათურები ეკონომიური ნათურებით;

**4. ნუ დატოვებთ ელექტრომოწყობილობას ლოდინის რეჟიმში.** ელექტრომოწყობილობები ლოდინის რეჟიმში მოიხმარენ ელექტროენერგიას. თითქმის ყველა ელექტრომოწყობილობა შეიძლება გამორთოთ, როდესაც მათ არ იყენებთ. ზოგიერთი ელექტრომოწყობილობა (მაგ., მაცივარი) საჭიროა იყოს სულ ჩართული, მაგრამ სხვა დანარჩენი შეგიძლიათ ქსელიდან გათიშოთ;

**5. აიდუღეთ წყალი ელექტროჩაიდნით** მხოლოდ მაშინ, როდესაც გჭირდებათ. რამდენჯერ ყოფილა, რომ ჭიქა ჩაის დასალევად აგიდუღებიათ წყალი, მაგრამ დაგვიწყებიათ და ხელახლა დაგჭირვებიათ მისი ადუღება? ყოველ ჯერზე, როდესაც ასე აკეთებთ, ფლანგავთ თქვენს ფულს;

**6. შეამოწმეთ თქვენი ინტერნეტტარიფი,** იქნებ შეიძლება, შეცვალოთ უფრო იაფით, ან იქნებ აჯობებდა, შეგეცვალათ ინტერნეტპროვაიდერი? იაფი ქსელის არჩევით შეძლებდით თანხის დაზოგვას;

**«ვლადიმერ პუტინი თითოეულ ევროპელ ლიდერს ინდივიდუალური რიგის მიხედვით მიიღებს, რათა შეძლოს თავისი არგუმენტების გადმოცემა. პუტინი თითოეულ მათგანს შეეკითხება, რატომ უნდა მიაწოდოს ბუნებრივი აირი მის ქვეყანას. ეჭვი არ შეგეპაროთ, მომავალი ზამთარი საშინელი იქნება. გაფრთხილდით!»**

7. **ელექტროქსელიდან გამორთეთ ლეპტოპი**. თუ შინ ლეპტოპს ყოველდღე იყენებთ, შეიძლება გაგიჩნდეთ ცდუნება, რომ ის დატოვოთ ლოდინის რეჟიმში. და თუ მას დატოვებთ ლოდინის რეჟიმში 10 საათის განმავლობაში, თქვენ ფუჭად დახარჯავთ ფულს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მოგეჩვენოთ წვრილმანად, თუ ლეპტოპს ღამე გამორთავთ, შეძლებთ, მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში დაზოგოთ ახალი ლეპტოპის საყიდელი თანხა. ასე რომ, გირჩევთ, თუ შესაძლებელია, გამორთეთ თქვენი ლეპტოპი;

**8. გაიშრეთ თმა ბუნებრივად.** დაბალი სიმძლავრის ფენი მოიხმარს 73 კვტ/სთ ენერგიას, სულ რაღაც, 10 წუთის განმავლობაში. თუ იყენებთ მას ყოველდღიურად, ეს შეადგენს 13 გირვანქა სტერლინგს წელიწადში;



**9. ელექტროქსელიდან გამორთეთ ბავშვების სათამაშო კონსოლები.** ხშირად ბავშვები თამაშობენ კონსოლებზე, შემდეგ კი ავიწყდებათ მათი გამორთვა. მაგრამ სათამაშო კონსოლი ლოდინის რეჟიმში მოიხმარს ენერგიას, ასე რომ, გათიშეთ ისინი;

**10. შეამცირეთ რეცხვის რაოდენობა.** თუ სარეცხ მანქანაში დაამატებთ ჭიქა თეთრ ძმარს, ის იმოქმედებს, როგორც ბუნებრივი ანტიბაქტერიული საშუალება, რომელიც საშუალებას მოგცემთ, გარეცხოთ დაბალ ტემპერატურაზე. ასევე, გარეცხეთ კვირაში ერთხელ და არა ყოველდღე;

**11. გააშრეთ ტანსაცმელი გარეთ.** თუ საშრობს ამუშავებთ ხუთი საათის განმავლობაში ორ კვირაში ერთხელ, ეს დაგიჯდებათ, საშუალოდ, 142 გირვანქა სტერლინგი წელიწადში, მაგრამ ტანსაცმლის გარეთ გაშრობამ შეიძლება დაგიზოგოთ ეს თანხა.

ლონდონელმა ანალიტიკოსმა **ბილ ბლეინმა** საკმაოდ მკვეთრად შეაფასა ენერგეტიკული ვითარება გაერთიანებულ სამეფოსა და ევროპაში. **„ამ ზამთარში ადამიანები სიცივით დაიხოცებიან. იმის მიხედვით, როგორ მოიმატებს ფასები ენერგორესურსებზე, ხარჯები შეუსაბამოდ მძიმე ტვირთად დააწვება მხრებზე საზოგადოების ყველაზე ღარიბ წევრს. შემოსავლებში უთანასწორობა სრულად გამოვლინდება, რადგან ყველაზე მოწყვლადი მოქალაქეები აღმოჩნდებიან მძიმე არჩევანის წინაშე — სითბო ან საკვები. ამ ზამთარში დიდი ბრიტანეთი მუხლებზე დადგება და ყველას, ვისაც შეიძლება, ენერგორესურსებს შეევედრება. ევროპაშიც არ იქნება უკეთესი ვითარება. ახლო აღმოსავლეთი სათბობზე ფასებს იქამდე მოუმატებს, სადამდეც შეუძლია, მიწოდების შესაძლებლობები კი შეზღუდულია. ვლადიმერ პუტინი თითოეულ ევროპელ ლიდერს ინდივიდუალური რიგის მიხედვით მიიღებს, რათა შეძლოს თავისი არგუმენტების გადმოცემა. პუტინი თითოეულ მათგანს შეეკითხება, რატომ უნდა მიაწოდოს ბუნებრივი აირი მის ქვეყანას. ეჭვი არ შეგეპაროთ, მომავალი ზამთარი საშინელი იქნება. გაფრთხილდით!“**

**ამ ისტორიის მორალი ასეთია: როდესაც ზაფხულში უკრაინაში „ბოინგს“ ჩამოაგდებ, შემდეგ სკრიპალებს მოწამლავ და მერე ამ ყველაფერს სხვას აბრალებ, ისიც უნდა გახსოვდეს, რომ ზაფხულის შემდეგ ზამთარი მოდის...**



**«ამ ზამთარში ადამიანები სიცივით დაიხოცებიან. იმის მიხედვით, როგორ მოიმატებს ფასები ენერგორესურსებზე, ხარჯები შეუსაბამოდ მძიმე ტვირთად დააწვება მხრებზე საზოგადოების ყველაზე ღარიბ წევრებს. შემოსავლებში უთანასწორობა სრულად გამოვლინდება, რადგან ყველაზე მოწყვლადი მოქალაქეები აღმოჩნდებიან მძიმე არჩევანის წინაშე — სითბო ან საკვები. ამ ზამთარში დიდი ბრიტანეთი მუხლებზე დადგება და ყველას, ვისაც შეიძლება, ენერგორესურსებს შეევედრება»**

კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარიზის ამჟამინდელი საქციელი აშკარად ტოვებს ძლიერი ისტერიკის შთაბეჭდილებას, რომელიც საფრანგეთის მმართველ ელიტას სულ ნაკლებად ადეკვატური მოქმედებებისკენ უბიძგებს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს დამანგრეველ შედეგებს, პირველ რიგში, მისთვის.**

# საფრანგეთი მსოფლიო პოლიტიკის მეორე ლიგაში

**რა „უჯდება“ ცუდი პრეზიდენტი სახელმწიფოს — დღეს ყველას შეუძლია ამის დანახვა ემანუელ მაკრონის მაგალითზე. სწორედ მისი პრეზიდენტობის პერიოდში, უფრო ზუსტად კი, მისი უშუალო მოქმედებების შედეგად დაიწყო მეხუთე რესპუბლიკის საერთაშორისო დიდების ნარჩენების კრახი. საფრანგეთის დომინაციას ყოფილ აფრიკულ კოლონიებში ღრმა ბზარები გაუჩნდა.**



ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბზარი ფუნდამენტში თვით ფრანგებისთვისაც მოულოდნელად გაჩნდა. ერთ არაფრით გამორჩეულ კვირას, 2021 წლის 3 ოქტომბერს, ალჟირის მეზობელ მალიში ოპერაცია „ბარხანის“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე მუშაობისას საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავებს ფრენის ნებართვა არ ჰქონდათ ალჟირის საჰაერო სივრცეში. შედეგად „ბარხანის“ კალენდარულ და ფინანსურ გეგმებს მყისვე საფრთხე დაემუქრა.

მალე გაირკვა, რომ ეს, რომელიღაც კლერკის წინდაუხედავი შეცდომა კი არა, ალჟირის ხელისუფლების საკმაოდ სწრაფი და ხისტი „საპასუხო რეაქციაა“ ემანუელ მაკრონის ინტერვიუზე, რომელიც მან გამოცემა Le Monde-ს მისცა. მასში მაკრონი საკმაოდ ქედმაღლურად გამოეხმაურა ალჟირის პოლიტიკას, როცა მიუთითა, რომ ალჟირის ამჟამინდელი ისტორია „არასწორია“ და არსებობს მისი ერთადერთი „სწორი“ და „ოფიციალური“ (წაიკითხე — მკაცრად ფრანგული) ვერსია, რომლის გადაწერასაც ახლა ცდილობენ თითქოს სპეციალურად, რათა ფრანგებს „მეტად ატკინონ“.

**ცოტა ხნის წინათ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს არ სჭირდებოდათ განმარტება, რატომ არ უნდა ილაპარაკო ასეთი ტონით უცხო სახელმწიფოებთან, „რომელიღაც აფრიკულ“ ქვეყნებთანაც კი, თუნდაც ისინი ადრე კოლონიები ყოფილიყვნენ. ის დრო წარსულს ჩაბარდა.** პარიზის ამჟამინდელი საქციელი აშკარად ტოვებს ძლიერი ისტერიკის შთაბეჭდილებას, რომელიც საფრანგეთის მმართველ ელიტას სულ ნაკლებად ადეკვატური მოქმედებებისკენ უბიძგებს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს დამანგრეველ შედეგებს, პირველ რიგში, მისთვის. რასაკვირველია, ადამიანურად შეიძლება გაუგო **ემანუელ მაკრონს.** ბოლო წლების განმავლობაში საფრანგეთი თავგანწირვით იბრძვის პლანეტის წამყვანი აქტორების გეოპოლიტიკურ ტოპში ადგილის შესანარჩუნებლად და ეს ძალიან ცუდად გამოსდის.

**კოლექტიური დასავლეთის შიგნით გლობალური ბონუსების იმედით, აშშ-ის ინიციატივითა და პირდაპირი არასაჯარო ზეწოლით, პარიზმა, როგორც იტყვიან, „რუსები „მისტრალებზე“ გადააგდო“ და ბონუსების ნაცვლად მიიღო სერიოზული ზარალი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე გემთმშენებელი დარგისთვის — მოუწია ფულის დაბრუნება რუსებისთვის, თანაც პროცენტებით. სადესანტო ვერტმფრენმზიდები შემდეგ ეგვიპტეში აგეს, მაგრამ პარიზმა 66 მლრდ დოლარი იზარალა. ვაშინგტონისგან კი სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო.**

**BREXIT-ის შემდეგ ფრანგები შეეცადნენ, განეცხადებინათ ევროკავშირში განსაკუთრებულ უფლებებზე იმ საბაბით, რომ მხოლოდ მათ ჰქონდათ სტრატეგიული ბირთვული იარაღი, მაგრამ აქაც მარცხი განიცადეს.**

ბრიუსელმა შეძლო „COVID-19-ის ანტიკრიზისული პაკეტის“ გატანა ევროპარლამენტის მეშვეობით, რომელმაც ევროკომისიას განუმტკიცა უფლება, პირდაპირ შეეგროვებინა „ქვანახშირის გადასახადი“ ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. ამით დაახლოებით მეოთხედით შემცირდა მისი დამოკიდებულება ნებაყოფლობით შენატანებზე, რომლებიც აყალიბებენ „საერთო ევროპული ბიუჯეტის“ შემოსავლით ნაწილს. ეს კი ნიშნავს, რომ გაძლიერდა ზეწოლა ყველაზე, მათ შორის, პარიზზე, როგორც სამხედროები იტყოდნენ, „შეეწყვიტა საუბრები მწყობრში ყოფნისას“. ანუ ბრიუსელი დაუფარავად აყენებს საფრანგეთს აღმოსავლეთ ევროპის ლიმიტროფების დონეზე. ფრანგებისთვის ეს თითქმის შეურაცხმყოფელია. **კიდევ ერთმა სტრატეგიულმა პარტნიორმა და მოკავშირემ — აშშ-მა, რომელთანაც მსოფლიოში გეოპოლიტიკურ თანასწორობაზე ელისეს სასახლე, სამი წელია, ცდილობს, პრეტენზია ჰქონდეს, ფრანგები უცერემონიოდ გაძარცვა.**

AUKUS-ის (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) სამმხრივ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში შესვლისთანავე ავსტრალიამ უარი თქვა უახლესი წყალქვეშა ნავების შესყიდვის კონტრაქტზე, რომელიც საფრანგეთში საუკუნის კონტრაქტად ითვლებოდა და გადარჩენის გარანტიას აძლევდა ფრანგულ სამხედრო გემთმშენებლობას. პარიზის პირდაპირმა ზარალმა 66 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც საფრანგეთისთვის უკვე საბედისწერო მნიშვნელობას იძენს.

ბოლოს კი ფრანგულ სამხედრო ავიამშენებლობას, პრაქტიკულად, შვეიცარიელებმა მოუღეს ბოლო. მათ გადაწყვიტეს, გაეუქმებინათ „რაფალის“ ტიპის გამანადგურებლების შესყიდვის კონტრაქტი ამერიკული F-35-ის შეძენის სასარგებლოდ. პარიზის ზარალი დიდი არ იყო (სულ რაღაც, 6,5 მლრდ ევრო), მაგრამ ახლა „შვეიცარული კონტრაქტის“ გარეშე კორპორაცია Dassault Aviation-ს მოუწევს ქვეყანაში თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავების ბოლო ქარხნის დახურვა. ამით საფრანგეთი დავიდა „სასოფლო-სამეურნეო ზესახელმწიფოს“ დონეზე და აქაც, დეგრადაციის ტემპის მიხედვით, მხოლოდ უკრაინას ჩამორჩება.

**გენერალურმა შტაბმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავებს ფრენის ნებართვა არ ჰქონდათ ალჟირის საჰაერო სივრცეში. შედეგად «ბარხანის» კალენდარულ და ფინანსურ გეგმებს მყისვე საფრთხე დაემუქრა. მალე გაირკვა, რომ ეს, რომელიღაც კლერკის წინდაუხედავი შეცდომა კი არა, ალჟირის ხელისუფლების საკმაოდ სწრაფი და ხისტი «საპასუხო რეაქციაა» ემანუელ მაკრონის ინტერვიუზე, რომელიც მან გამოცემა Le Monde-ს მისცა. მასში მაკრონი საკმაოდ ქედმაღლურად გამოეხმაურა ალჟირის პოლიტიკას**

რასაკვირველია, შვეიცარიიდან პარიზმა კონსულტაციებისთვის გამოიხმო თავისი ელჩი. მაგრამ ფრანგების ამჟამინდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი დიდხანს ვეღარ მისცემენ თავს „ღრმა იმედგაცრუების“ დემონსტრირების უფლებას. ხმაურიანი საჯარო განცხადებების შემდეგ, „როცა მასმედიაში თემა ცოტა ჩაცხრება“, ელჩს ისევ უკან დააბრუნებენ. ზუსტად ისე, როგორც პარიზმა უკვე აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა აშშ-თან და ნატოსთან, თუმცა დებდა პირობას, რომ თითქმის დაშლიდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს „ღალატის გამო“.




**მაკრონს ისღა დარჩენოდა, „ნაცარი შეეყარა თვალებში“ თავისი ამომრჩევლებისთვის, თუნდაც „ვიღაც აფრიკელების“ ხარჯზე. ალჟირი ფრანგებისთვის მტკივნეული თემაა 1962 წლის მარტში მეხუთე რესპუბლიკისგან ალჟირის გამოყოფიდან. პარიზი შეეცადა, ეჩვენებინა, „ვინ არის სახლში უფროსი“, მაგრამ შედეგები არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ელოდნენ. გაგულისებულმა მაკრონმა ფეხები დააბაკუნა, მაგრამ იატაკი ფეხქვეშ ჩაუვარდა. აღმოჩნდა, რომ ის საბოლოოდ დალპა.** ალჟირის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაიწვია ელჩი და აკრძალა ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენება საფრანგეთის ავიაციის ტრანზიტული ფრენებისთვისაც კი. ეს ნიშნავს შავ კონტინენტზე საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში საფრანგეთის დომინაციის ეროზიას, პარიზის გეოპოლიტიკური გავლენის ნარჩენების საჯარო კრახის ფაზაში გადასვლას. საქმე მხოლოდ მალიში ფრანგული ოპერაცია „ბარხანის“ ჩავარდნის საფრთხეს როდი ეხება. ალჟირის გავლით მარშრუტის დახურვა ნიშნავს ლოჯისტიკის ღირებულების გაორმაგებას და მაგისტრალური ტვირთამწეობის სამმაგ დაცემას საფრანგეთის სატრანსპორტო ავიაციის შემადგენლობის შეზღუდულობის გამო.

„ბარხანი“ წარმოადგენს საფრანგეთის „სამშვიდობო“ კონტინგენტის შემცირების გეგმას ამჟამინდელი 5100-დან 2500 „ხიშტამდე“ 2023 წლისთვის. ისევე, როგორც აშშ დამარცხდა ავღანეთში, მალიში ომს ისლამისტებთან საფრანგეთიც აგებს; უწინარესად, იმის გამო, რომ მას არ აქვს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია ყველა მონაწილე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, **მოიმატა ისლამურმა რადიკალიზმმა საფრანგეთის ტუარეგებს შორის. საერთოდ, პარიზმა გადაწყვიტა, მალი ბედის ანაბარა მიეტოვებინა, ზუსტად ისე, როგორც ვაშინგტონმა ქაბულის მიმართ გააკეთა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამერიკელები „გაიქცნენ“ სწრაფად და მოულოდნელად, ხოლო ფრანგები შეეცადნენ, ეს გაეკეთებინათ „განსაკუთრებული ევროპული დახვეწილობით“, და ჩაფლავდნენ.**

მალის მთავრობამ დახმარებისთვის უმალ მიმართა კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ (მასთან კავშირს მოსკოვი უარყოფს). რუსეთმა დახვეწილად, მაგრამ საკმაოდ გასაგებად „აუხსნა ევროკავშირს შემდგომი მოძრაობის ყველაზე სწორი მიმართულება“, როგორც ამას ვირტუოზულად აკეთებს ხოლმე რუსული დიპლომატიის მეთაური. საერთოდ, საფრანგეთმა მხოლოდ ცა როდი დაკარგა ალჟირის თავზე, როგორც ჩანს, პარიზს მოუწევს, საკმაოდ სწრაფად გაიქცეს მალიდან. ამასთან, კარგავს გეოპოლიტიკურ გავლენას ჩრდილოეთ აფრიკაში — მავრიტანიიდან ჩადამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ მალის ხელისუფლება ხაზს უსვამს კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ ოფიციალური შეთანხმების მიღწევის მნიშვნელობას, ხოლო ალჟირი ეგვიპტესთან ერთად აფართოებს რუსული მაღალტექნოლოგიური შეიარაღების შესყიდვას, აშკარაა, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში რუსები მასშტაბური მოსვლის ზღურბლზე დგანან. მოკლედ, საინტერესო დრო დგება.

ფრანგებს შეიძლება ვურჩიოთ პრეზიდენტის შეცვლა, რასაკვირველია, დემოკრატიული ნორმების შესაბამისად, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მაკრონი ასე სწრაფად ჩარეცხავს ბოლო საუკუნეების საფრანგეთის ყველა გეოპოლიტიკურ მიღწევას და პარიზს მსოფლიო პოლიტიკის მეორე ლიგაში გადაიყვანს, იქნებ არც ღირდეს ხელის შეშლა.

სხვადასხვა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ — ეს შეგონება „ქართული ოცნების“ პარტიაზეა ზედგამოჭრილი. რატომ? — იმიტომ, რომ სააკაშვილი და მისი პარტია 2008 წლის სამხედრო ავანტიურისთვის და ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვისთვის არ გაასამართლა და სათანადოდ არ დასაჯა. მაგრამ რა ქნას „ქართულმა ოცნებამ“, თუ ცხინვალის ავანტიურისთვის სააკაშვილის გასამართლება დასავლეთმა კატეგორიულად აუკრძალა? აშშ-მა თავისი „ძაღლიშვილი“ სააკაშვილი დაიცვა და დღემდე იცავს.**

# პოლიტიკური მინიატურები







**საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით, მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.**

განსახილველად გთავაზობთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს: როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 6 წელიწადში ერთხელ ავირჩიოთ. ასეთი პრაქტიკა ქვეყანას დიდ სარგებელს მოუტანს: პირველი — მნიშვნელოვნად დავზოგავთ ფულად სახსრებს; მეორე — უფრო მყარს გავხდით ქვეყნის ცხოვრებას; მესამე — ხელისუფალთ ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად ხანგრძლივი მშვიდი გარემო ექნებათ და ა.შ. **თქვენ რას იტყვით? გთხოვთ გამოეხმაუროთ!**

***

ლამის 25 წელიწადია, დასავლეთი ნატოს ორგანიზაციაში გასაწევრებელ ასპირანტ ქვეყნად გვთვლის; 2-3-წლიანი ასპირანტურა ცნობილია, მაგრამ 25-წლიანი?! სასაცილოა ეს! როცა ბატონ **დავით ზალკალიანს** ვხედავ, როგორ ეტრფის და ეთაყვანება წყეულ ნატოს, ირონიულად მეღიმება, რადგან მას ეს ორგანიზაცია ლამაზი ქალწული ჰგონია ქართული სახელით ნატო. უნდა გავაწბილო ბატონი დავითი — ის ამაოდ ოცნებობს, რადგან ნატოს დე იურე წევრად საქართველოს არასოდეს არ მიიღებენ. ნატოს დე ფაქტო წევრის ამპლუაში კი აშშ საქართველოს, დიდი ხანია, ხმარობს, ოღონდ ცალმხრივად.

***

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ — ეს შეგონება „ქართული ოცნების“ პარტიაზეა ზედგამოჭრილი. რატომ? — იმიტომ, რომ სააკაშვილი და მისი პარტია 2008 წლის სამხედრო ავანტიურისთვის და ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვისთვის არ გაასამართლა და სათანადოდ არ დასაჯა. მაგრამ რა ქნას „ქართულმა ოცნებამ“, თუ ცხინვალის ავანტიურისთვის სააკაშვილის გასამართლება დასავლეთმა კატეგორიულად აუკრძალა? აშშ-მა თავისი „ძაღლიშვილი“ სააკაშვილი დაიცვა და დღემდე იცავს.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**



# ჩინეთი კრიპტოვალუტას კრძალავს

**ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა გამოაცხადა, რომ ყველა სახის კრიპტოვალუტის გარიგება, მოპოვება და ვაჭრობა აიკრძალება. ამან ქვეყანაში აჟიოტაჟი და ქაოსი გამოიწვია.**

ახლა, როდესაც კრიპტოვალუტის ყველა ფუნქცია არალეგალურად არის გამოცხადებული, მოქალაქეების ნაწილი, რომლებიც კრიპტოვალუტის მოპოვებითა და სხვა მანიპულაციებით ცხოვრობდნენ, გაურკვევლობაში არიან. თუმცა, მათი ზარალი ნამდვილად უმნიშვნელოდ ჩანს იმ კრიპტომილიარდერებთან შედარებით, რომლებმაც ჩინეთის ბაზარი ამ სფეროს საშუალებით დაიპყრეს. აკრძალვის მთავარი მიზეზი გარემოში ნახშირორჟანგის დიდი რაოდენობით გამოყოფაა.

ბევრმა კრიპტომილიონერმა და მილიარდერმა ქვეყნიდან წასვლა და ბიზნესის სხვაგან კეთება გადაწყვიტა. მათგან ერთ-ერთია FTX დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი **სემ ბანკმენფრიდი.** 29 წლის ბიჭმა ჩინეთში კრიპტოვალუტის კომპანიის შექმნით 8 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა.

**bpn.ge -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაიისურაძემ**

# ავსტრიაში კანცლერის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყეს

**ავსტრიის პროკურატურამ კანცლერ სებასტიან კურცის, 9 პირისა და 3 ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება ბრალდებას, რომ ტაბლოიდის მიერ სასურველი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის მთავრობის ფული კორუფციულ გარიგებაში გამოიყენეს.**



ბრალდებების თანახმად, 2016-დან 2018 წლამდე „ფინანსთა სამინისტროს რესურსი გამოიყენებოდა ნაწილობრივ მანიპულაციური გამოკითხვის დასაფინანსებლად, რომელიც ემსახურებოდა პარტიულ პოლიტიკურ ინტერესებს“. ეს ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც სებასტიან კურცი „ავსტრიის სახალხო პარტიის“ ლიდერი გახდა, პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა და კურცმა ავსტრიის კანცლერის თანამდებობა დაიკავა.

ახლა კი თავის დროზე ევროპული პოლიტიკის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ავსტრიის ახალგაზრდა კანცლერი პოსტიდან გადადგა. მას პატიმრობა ემუქრება.

ავსტრიის ფედერალური კანცლერის პოსტი **ალექსანდრე შალენბერგმა** დაიკავა.

# საქართველოში უმუშევრობის დონე 22,1 პროცენტია

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში 1 214 600 ადამიანი იყო დასაქმებული, უმუშევარი — 344 600, 381 800 კი — თვითდასაქმებული.**



2021 წლის მეორე კვარტლის აღრიცხვით, ქვეყანაში 15 წელს ზემოთ 3 032 000 ადამიანია, მათგან შრომისუნარიანი (აქტიური მოსახლეობა) — 1 559 100, დაქირავებულია — 831 700, თვითდასაქმებული — 381 800. უმუშევრობის დონე ქვეყანაში 22,1%-ია. დასაქმებულთა 33% ქალია, ხოლო 48,1% — კაცი.

დასაქმებულთა 41,9% ქალაქში მუშაობს, ხოლო 37,7% — სოფლად. უმუშევარი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან 124 200 პირი არის ქალი, ხოლო 220400 — მამაკაცი.

**interpressnews.ge-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოიამზადა**
**ლუკა მაიისურაძემ**

# ბრაზილიის პრეზიდენტი სტადიონზე არ შეუშვეს

**ბრაზილიის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონარუს, რომელიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აქამდე არ აცრილა, სტადიონზე ფეხბურთის მატჩის საყურებლად შესვლის უფლება არ მისცეს, — იუწყება Business Today.**


ჟაირ ბოლსონარუ

სტადიონის შესასვლელთან, რომლის მოედანზეც ერთმანეთს „სანტოსი“ და „გრემიო“ უნდა დაპირისპირებოდნენ, ქვეყნის პრეზიდენტს განუმარტეს, რომ, წესების თანახმად, ის ან აცრილი უნდა ყოფილიყო, ან PCR ტესტის პასუხი წარედგინა.

მსგავსი რამ ბრაზილიის პრეზიდენტს სექტემბერშიც შეემთხვა — აუცრელობის გამო ნიუ-იორკში მდებარე პიცერიაში არ შეუშვეს და ბრაზილიის მეთაურს ქუჩაში ჭამა მოუწია. ჟაირ ბოლსონარუმ აცრაზე უარი რამდენიმე თვის წინათ თქვა და სხვებსაც მოუწოდა, არ აიცრან.

imedinews.ge

**სამასი წელი ესვენენ დავით და კონსტანტინეს უხრწნელი სხეულები იმ აკლდამაში. XI საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ბაგრატ III-მ ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან დანგრეული ეკლესია და იმ ჟამამდე უჩინარქმნილი წამებული გმირები მასში გადაასვენა. წმიდანთა გაუხრწნელი და უვნებელი ცხედრები თავშექცევით იწვნენ სამარეში და მრავალ სასწაულებრივ კურნებას აღასრულებდნენ.**

სულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წმიდა დიდმოწამენი — არგვეთის მთავარნი დავითი და კონსტანტინე

**735 წელს საქართველოს არაბთა ლაშქარი შემოესია მურმან იბნ-მუჰამადის მეთაურობით. მემატიანე აღნიშნავს: „იყვნენ სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჯალაკთა ეგრისთა“. მურვანს ქართველებმა თავისი გულქვაობისა და სისასტიკის გამო ყრუ უწოდეს. მის ლაშქრობაზე მემატიანე წერს: „აღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა“. არაბებმა ქართველთა წინააღმდეგობა დაძლიეს და 735-738 წლებში ჩვენს მიწაზე გაბატონდნენ.**

იმერეთში ისინი ფერსათის მთიდან გადმოვიდნენ და არგვეთის სამთავროს (დღევანდელი ზემო იმერეთი) მიადგნენ, რომელიც ცალკე სამთავრო იყო. არგვეთის მთავრებმა — დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა უმალვე შეკრიბეს ჯარი, ერს კი გაძლიერებული ლოცვები და ღამისთევები დაუდგინეს.

ჯარი ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან შეეგება მტრის მოწინავე ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა. აღშფოთებული მურვან ყრუ ურიცხვი ლაშქრით თვითონ დაიძრა არგვეთისკენ და ააოხრა იგი, ასევე ციხესიმაგრე „წყალწითელა“. დამარცხების შემდეგ არგვეთის მთავრები მოულოდნელი თავდასხმებით თავზარს სცემდნენ მტერს, მურვან ყრუმ მათი ცოცხლად შეპყრობა ბრძანა.

როგორც მემატიანე ამბობს, დავითი და კონსტანტინე იყვნენ „მეცნიერნი ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“ და როდესაც ისინი უსჯულოებმა ტყვედ აიყვანეს, მურვანყრუს წარუდგინეს. უსჯულო სარდალმა დაცინვა დაუწყო შებორკილ ქრისტიანებს, მათ კი უპასუხეს: „სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებაი შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათვის იქმნა ძლევაი შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათვის, რომელ გარდავხედით მცნებათა ღმრთისათა, იქმნა მრავლობაი თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან ხელითა თქუენ უსჯულოთა და უღმთოითა“.

დავითისა და კონსტანტინეს მხნეობით გაკვირვებულმა მურვანმა ლიქნით მოინდომა ძმების მოდრეკა. მან დავითს უთხრა: „გამიგია შენი ვაჟკაცობის ამბავი, ამიტომ გირჩევ, დაუტეო ცუდი და ამაო სიტყუაი სიცრუფისა თქუენისაი და დაემორჩილო სჯულსა მუჰამედისა“. სასყიდლად პატივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდა. წმიდა დავითმა პირჯვარი გამოისახა და უპასუხა: „ნუ უყოფინ ჩუენდა, რაითა დაუტეოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა, ღმერთმან ჩუენმან განგვანათლა, რაჟამს ძე თვისი მოავლინა ქვეყნად და კაც იქმნა ჩვენთვის, ყოველი განგებულება თავს იდვა: ჯვარცმა, დაფლვა, აღდგომა, ამაღლება; კვალად მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. მაცხოვარმა წარავლინა მოწაფენი თვისნი ყოველსა ქვეყანასა საქადაგებლად. ჩვენთან მისმა ორმა მოწაფემ იქადაგა და მოგვაქცია კერპთა მსახურებისაგან. ჩვენ, მის მიერ განსწავლულნი და განათლებულნი, არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, არამედ მზად ვართ ქრისტესთვის გვემისა, ტანჯვისა, ცეცხლისა, წყალისა, მახვილისა და სიკვდილისა“. შემდგომ ამხილა ყურანი და სჯული აგარიანთა: **„მუჰამედმა ცეცხლის მსახურებისაგან მოგაქციათ, მაგრამ ღმერთი ვერ შეგამეცნებინათ, ამიტომ ემსგავსებით იმ ნავდანთქმულთა, რომელნიც შუა ზღვაში გადარჩნენ, მაგრამ ნაპირს მიწევნულნი დაინთქნენ“.**

დავითის პასუხით განრისხებული მურვანი კონსტანტინეს მიუბრუნდა და მისი გადაბირება მოინდომა, მაგრამ კონსტანტინემაც უშიშრად აღიარა წმიდა სამება: „ვითარცა იწამა და აღიარა უფალმან ჩემმან დავით... მეცა ვწამებ და აღვიარებ, რამეთუ ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და მრწამს მამა და ძე და სული წმიდა და მისთვის მოვკუდები“.

**გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა, შიმშილითა და წყურვილით მოეუძლურებინათ ძმები. ათი დღის შემდეგ „მრავალფერი ტანჯვის“ შემდეგ მან მოგვნი და მისანნი წარავლინა არგვეთელ წმიდანთა წინაშე, მაგრამ მოწამეებმა ისევ უშიშრად აღიარეს ქრისტე.**

**მათ კადნიერ პასუხზე მურვანი განრისხებულა და წმიდათა წამება უბრძანებია. ძმები წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად (შემდგომდროინდელი „ჯაჭვის ხიდის“ ქვემოთ), მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები გამოაბეს და მდინარეში გადააგდეს.**

სიკვდილის წინ ძმებმა ილოცეს: **„ჰოი, უფალო ღმერთო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვნენ წამებასა სახელისა შენისათვის წმიდისა, აწცა შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიმარხენით ხორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისათვის შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩვენნი განუხრწნელად და დაურღვეველად და რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობაი შენი და მიეც შენდობაი ბრალთაი და ყვენ ასონი ხორცთა ჩუენთანი მკურნალ ყოველ სენთა და უძლურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა“.**

ზეცით გაისმა ხმა, რომელიც მათი თხოვნის შესმენას ადასტურებდა. ზეციური ხმით შეშინებული მტარვალები გაიქცნენ.

**ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათლის სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით მოწამეებს „ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა“ და წმიდა სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: „აღიხუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავლეთით და სადა-იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაი უფლისა ღმრთისაი, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი“.**



**ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათლის სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით მოწამეებს «ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა» და წმიდა სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: «აღიხუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავლეთით და სადა-იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაი უფლისა ღმრთისაი, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი»**




გაკვირვებულმა მსახურებმა წმიდანთა ცხედრები მთელი ღამე ატარეს და ბოლოს წყალწითელას ხეობაში ალმართული კლდის თხემს მიატანეს. იმ ადგილას ადრე ხარების სახელობის ეკლესია მდგარა, რომელიც მურვან-ყრუს დაუქცევია. ნაეკლესიარის ქვემოთ, კლდეში ცარიელი აკლდამა იხილეს და მოწამენი სწორედ იმ აკლდამაში დაასვენეს. ამიერიდან გმირთა საფლავს და მის შემოგარენს **მოწამეთა** ეწოდა.

**სამასი წელი ესვენენ დავით და კონსტანტინეს უხრწნელი სხეულები იმ აკლდამაში. XI საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ბაგრატ III-მ ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან დანგრეული ეკლესია და იმ ჟამამდე უჩინარქმნილი წამებული გმირები მასში გადაასვენა. წმიდანთა გაუხრწნელი და უვნებელი ცხედრები თავშექცევით იწვნენ სამარეში და მრავალ სასწაულებრივ კურნებას აღასრულებდნენ „ვითარცა — ესე თვით მათ ითხოვეს ღმრთისაგან“.**

მაგრამ ძმათა მხეიძეთა წამება თურმე ამით არ დამთავრებულა. ახალი მარტვილობა მათ წინ ისევ ელოდათ...

ულმერთო-ათეისტები 1923 წელს შეიჭრნენ მოწამეთის მონასტერში.

ათეისტური გაზეთი „მუშა და გლეხი“ წერდა: „მოხდა მოწამეთის მონასტრის წმიდანების — დავითისა და კონსტანტინეს ნაწილების გახსნა... ეკლესიიდან გარეთ გამოაქვთ წმიდა ნაწილები, მაღლობ ადგილზე ჩნდება ამხანაგი ვალია ბახტაძე, მას ხელში უჭირავს თავის ქალა...“. წმიდა ნაწილებს ურმით დაატარებდნენ სხვადასხვა რაიონსა და სოფელში.

ერთი პერიოდი ქუთაისში პროფკავშირების სახლში მოათავსეს. წმინდა დავითისა და კონსტანტინეს ნაწილებს ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევა. მრავალ მკრეხელობას ჩადიოდნენ... გადმოცემით, ბოლშევიკებმა განიზრახეს წმიდა ნაწილების მდინარე რიონში გადაყრა. ამ დროს, აღსანიშნავია საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებლის, ტრიფონ ჯაფარიძის, ღვაწლი.

1954 წელს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძის, დეკანოზ ნაუმ შავიანის (შემდგომში მიტროპოლიტი) და მღვდელ ტრიფონ სულაკაძის ძალისხმევით, მოწამეთის მონასტერში ღვთისმსახურება აღდგა და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმიდა ნაწილები მონასტერს დაუბრუნდა და ტაძარში დაბრძანდა. მას შემდეგ არ შეწყვეტილა ღვთისმსახურება მოწამეთის მონასტერში. **ადგილობრივ ქრისტიანთა მართლაც გასაოცარი თავდადებით წმინდანთა სხეულები საბოლოო განადგურებას გადარჩა და ისინი უფლის ნებით, ყოველთა მორწმუნეთა მეოხად კვლავ თავის საუკუნო განსასვენებელს დაუბრუნდა.**

**დრო გადის, ხალხი არ ივიწყებდა არგვეთის მთავართა გმირობას. ისინი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. წამებულთა სახელთა მოსახსენიებლად მონასტერში ყოველწლიურად ძველი სტილით 2 ოქტომბერს (ახალი სტილით 15 ოქტომბერს) იმართება სახალხო დღესასწაული „მოწამეთობა“, ანუ „ორწიფობა“. ეს არის დღე, როდესაც აწამეს დავითი და კონსტანტინე.**

მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.

# Fox News: ბაიდენის «კურატორები» ყველანაირად ცდილობენ, დამალონ, ვის ეკუთვნის ძალაუფლება აშშ-ში

**„ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, აღიარება, რომ ბაიდენი საქმის კურსში არ იყო საფრანგეთთან ურთიერთობის გაუარესების მიზეზებზე, გვაიძულებს, დავფიქრდეთ, სინამდვილეში ვინ მართავს ამერიკის შეერთებულ შტატებს“, — აღნიშნავს Fox News-ი.**

**დონალდ ტრამპის** ყოფილი მრჩევლის, გენერალ **მაიკლ ფლინის** თქმით, რომელიც თავის დროზე ხელმძღვანელობდა სადაზვერვო სამსახურს, ამერიკაში ორი ხელისუფლებაა: ერთს ირჩევენ დემოკრატიულად, მეორე კი თავისთავად არსებობს და არანაირ წესს არ აღიარებს.




ჩვენ არ ვცდილობთ ჯო ბაიდენის დაკნინებას, არაერთხელ გვითქვამს, რომ ის გვეცოდება. ვიმედოვნებთ, რომ მივაღწევთ იმ ასაკამდე, როცა მსგავსი პრობლემები იწყება. სიმართლე ასეთია: ამომრჩევლებმა იცოდნენ, რას მიიღებდნენ, როცა ხმას აძლევდნენ **ჯო ბაიდენს.** საინტერესოა, რომ ახლა, როცა ის პრეზიდენტია, მისი კურატორები ყველაფერს აკეთებენ, რათა ვერავინ შენიშნოს, რომ სინამდვილეში ქვეყნის საჭესთან ის არ არის.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# რუსეთში განათლების შესახებ კანონიდან ამოიღებენ ცნებას «საგანმანათლებლო მომსახურება»



**„განათლების სამინისტრომ კანონში „განათლების შესახებ“ შესწორებები მოამზადა, რომლებიც გამორიცხავს ცნებას „საგანმანათლებლო მომსახურება“, — განაცხადა რუსეთის განათლების მინისტრმა სერგეი კრავცოვმა.**

„სახელმწიფო საბჭოს დავალებით, მიღებულია გადაწყვეტილება, მასწავლებლის მოღვაწეობიდან გამოირიცხოს ცნება „საგანმანათლებლო მომსახურება“, იმიტომ, რომ მასწავლებელი არავის უწევს მომსახურებას. მასწავლებლობა, უწინარესად, აღიარებაა, მისიაა, აღზრდაა“, — განაცხადა კრავცოვმა დონის როსტოვში კონკურს „წლის მასწავლებლის“ ლაურეატებთან შეხვედრისას.

**rg.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# როცა დალაპარაკების უფლებას არ გაძლევენ

## ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოს მოსთხოვა, არ აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან

**საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა იან კელიმ განაცხადა, რომ დაუშვებელია საქართველოს მონაწილეობა ახალ რეგიონულ ე.წ. 3+3-ის ფორმატში, ერთი მხრივ, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს; მეორე მხრივ, ირანის, რუსეთისა და თურქეთის მონაწილეობით.**

„რუსეთი შემოიჭრა და დაგიპყროთ, თქვენს მეგობრებს ერჩივნათ, თქვენგან მოესმინათ სიტყვა „შეუძლებელია“ ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე“, — ასეთი იყო ამერიკელი დიპლომატის რეაქცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანის** 8 ოქტომბრის განცხადებაზე, რომ „რთულია, საქართველო „3+3“-ის ფორმატში ჩაერთოს, მაგრამ ქვეყანამ რაღაც ფორმით მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში. ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროექტებსა და ურთიერთობებში ჩვენ წარმოდგენილი უნდა ვიყოთ რაღაც ფორმით, ოღონდ არა სახელმწიფო ინტერესების ან რაღაცის დათმობის ფასად“.

2020 წელს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** ექვსი ერის პლატფორმის შექმნის იდეაზე განაცხადა, რომელიც გულისხმობს თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, რუსეთისა და ირანის თანამშრომლობას რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. ერდოღანმა ეს ინიციატივა კიდევ გაიმეორა 2021 წლის ივნისში აზერბაიჯანში ვიზიტისას და განაცხადა, რომ კავკასიაში მშვიდობის დამყარება რეგიონული კოოპერაციითაა შესაძლებელი, რაც სრულიად მსოფლიოსთვის სასიკეთო იქნება.



მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

**P.S მოგვიანებით იან კელიმ, ასე ვთქვათ, გაასწორა თავისი ტვიტი და დაწერა: „სასიამოვნოა, რომ საქართველოს საგარეო უწყებამ განმარტა პოზიცია „3+3“ ფორმატზე. საქართველო არ განიხილავს რუსეთს ამ ფორმატში. საქართველო ხალხთა დემოკრატიულ ოჯახს მიეკუთვნება“.**
**ლ.მ.**



# «ფეისბუქს» სპეციალისტები ტოვებენ

**„ფეისბუკის“ თანამშრომლები გაოგნებული და აღშფოთებული არიან კომპანიის პოლიტიკით. „ვაშინგტონ პოსტის“ მონაცემებით, სპეციალისტები უკმაყოფილებას გამოხატავენ „ფეისბუკის“ ქსელში. ისინი ჩივიან, რომ ხელმძღვანელობა უარყოფს კომპანიაში გარემოს გაუმჯობესების ყველა წინადადებას.**

სტატიაში წერია, რომ იმედგაცრუებული სპეციალისტები ტოვებენ კომპანიას, „ფეისბუკის“ ოფიციალური წარმომადგენლები კი გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# პოლონეთმა ევროკავშირზე შეტევა გააძლიერა

**პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ევროკავშირთან შეთანხმების რამდენიმე მუხლი არ შეესაბამება პოლონეთის კანონმდებლობას. კერძოდ, ტრიბუნალმა მიუთითა, ევროკავშირის კანონები არ დგას პოლონეთის კონსტიტუციაზე მაღლა.**

„კონსტიტუციური სამართლის უზენაესობა სამართლის სხვა წყაროების მიმართ პირდაპირ გამომდინარეობს პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციიდან. დღეს (კიდევ ერთხელ) ეს მკაფიოდ დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლომ“, — დაწერა სოციალურ ქსელში მთავრობის წარმომადგენელმა **პეტრე მიულერმა.**



ვარშავასა და ბრიუსელს შორის ურთიერთობა მას შემდეგ გაცივდა, როცა პოლონეთმა უარი თქვა, დამორჩილებოდა ევროპელთა მოთხოვნას, არ აეკრძალა ლგბტ-იდეოლოგიის პროპაგანდა, გაეუქმებინა დისციპლინური პალატა სასამართლოში და ჩაეტარებინა მასმედიის შესახებ კანონმდებლობის რეფორმა. ევროკომისიამ გააკრიტიკა პოლონეთის ხელისუფლების ქმედებები: „კომისია მხარს უჭერს და ადასტურებს ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის ფუძემდებლურ პრინციპებს, სახელდობრ, იმას, რომ ევროკავშირის სამართალი პრიორიტეტულია ეროვნულ სამართალზე, მათ შორის საკონსტიტუციო კანონმდებლობაზე; ევროკავშირის სასამართლოს ყველა დადგენილება სავალდებულოა წევრი სახელმწიფოების ყველა ორგანოსთვის, მათ შორის ეროვნული სასამართლოებისთვის“.

საფრანგეთის ევროპული საქმეების მინისტრმა **კლემან ბონმა** პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ევროკავშირზე შეტევა უწოდა. **„ეს ძალიან სერიოზულია. ფაქტობრივად, არსებობს ევროკავშირიდან პოლონეთის გასვლის რისკი“.** ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრ **ჟან ასელბორნის** განცხადებით, **„პოლონეთის მთავრობა ცეცხლს ეთამაშება“.**

ევროპის სამართლებრივი საკითხების კომისარმა **დიდიე რეინედრსმა** განაცხადა, რომ ყველა შესაძლო ინსტრუმენტს გამოიყენებს, რათა ვარშავა აიძულოს, დაემორჩილოს ევროპულ კანონმდებლობას.

პრობლემა არის ის, რომ ევროპული კანონმდებლობისადმი მორჩილება პოლონეთისთვის ხელსაყრელი არ არის. მაგალითად, ევროკავშირი პოლონელებისგან ჩეხეთის საზღვარზე მდებარე ტურუვის ქვანახშირის შახტების დახურვას მოითხოვს. ვარშავა უარს ამბობს, რადგან ასეთ შემთხვევაში მოუწევს, ქვანახშირი გერმანიისგან იყიდოს. ახლა ბრიუსელი პოლონეთს დაჯარიმებით ემუქრება შახტის მუშაობისთვის — თითოეულ დღეზე 500 ათასი ევროს ოდენობით.

ევროკავშირის სხვა მოთხოვნებს შორის არის სასამართლოებზე კონტროლის შესუსტება და მასმედიის ფუნქციებისთვის საჭირო მექანიზმების დაქვემდებარება ევროპული სტანდარტებისადმი.

ამ ყველაფრის მიზანი კი არის პოლონეთის მთავრობისთვის ზემოქმედების ბერკეტების წართმევა იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოქალაქეების თვალსაზრისზე.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია აბდულრაზაკ გურნას გადაეცა

**ნობელის კომიტეტმა ლიტერატურის დარგში პრემიის გამარჯვებული დაასახელა. 2021 წლის პრემიის ლაურეატობა აბდულრაზაკ გურნამ მოიპოვა, კულტურებისა და კონტინენტების მორევში კოლონიალიზმის შედეგებისა და ლტოლვილთა ბედის უკომპრომისო და თანაგრძნობით მხილებისთვის.**



აბდულრაზაკ გურნა ტანზანიაში, ზანზიბარზე დაიბადა 1948 წელს. 1968 წელს საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში, სადაც კენტის უნივერსიტეტში სადოქტორო ხარისხი დაიცვა. გურნა თანამედროვე პოსტკოლონიური მწერლების მოღვაწეობაზე კვლევების ავტორია.

საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009